გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
13 ნოემბერი პარასკევი 2009
№ 268 (12 947) ფასი 60 თეთრი

# გადახალისებული შემადგენლობით



დღეს, 18:00. ეროვნული სტადიონი.

## საქართველო A-უკრაინა



წინასამატჩო ამბები >> გვერდი 13



# ტაისონი ისევ დაიჭირეს

>> გვერდი 16

# გუგა ტყავაძე: შეიტანონ სარჩელი



>> გვერდი 2



# ფერგიუსონი ორი მატჩით დასაჯეს

>> გვერდი 10

# შვიდგუნდიანი პლეი ოფი




ბერნში კლუბებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრა გაიმართა. არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში შვიდი გუნდი ითამაშებს - კონტინენტალური საკლუბო ტურნირების გამარჯვებულები და მასპინძელი გუნდი „ალ-აჰლი“.

ტურნირი პლეი ოფის სისტემით ჩატარდება. ყველაზე მაღალი განთესვის ნომრები ჩემპიონთა ლიგისა და ლიბერტადორესის თასის გამარჯვებულებს - „ბარსელონასა“ და „ესტუდიანტესს“ ერგოთ.

გახსნის მატჩი 9 დეკემბერს გაიმართება, ფინალი - 19 დეკემბერს

| კალენდარი |
|---|
| 9 დეკემბერი |
| 1. ალ აჰლი (საემიროები)-ოკლენდი (ახ. ზელანდია) |
| 11 დეკემბერი |
| 2. მაზემბე (კონგო)-პოჰანი (ს. კორეა) |
| 12 დეკემბერი |
| 3. 1-ის გამარჯვებული-ატლანტე (მექსიკა) |
| 1/2 ფინალი. 15 დეკემბერი |
| 2-ის გამარჯვებული-ესტუდიანტესი (არგენტინა) |
| 16 დეკემბერი |
| 3-ის გამარჯვებული-ბარსელონა (ესპანეთი) |



ეროვნული ბიბლიოთეკა

U 21 საქართველო-ირლანდია შესარჩევი მატჩი

# გაბელიამ ძალამიძე გამორიცხა

## კაკუბავამ ივარჯიშა, დაუშვილმა დაისვენა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩებისთვის მზადებას აგრძელებს. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ 14 ნოემბერს ირლანდიას ვმასპინძლობთ, 18-ში კი გასვლაზე შვეიცარიას ვეთამაშებით. გუშინ საღამოს **ოთარ გაბელია** ფეხბურთელებს „ამერის" სტადიონზე საათისა და 20 წუთის განმავლობაში ავარჯიშებდა.

ამ ორი მატჩის მნიშვნელობას ყველა კარგად აცნობიერებს - გუნდი ან სასურველ ქულათა მარაგს დააგროვებს და ჯგუფიდან გასვლისთვის იბრძოლებს, ან ლიდერებს გვარიანად ჩამორჩება.

სამწუხაროდ, ტრავმირებულებისა და დისკვალიფიცირებულების (**ლევან ყენია, მათე ვანაძე, გიორგი ხიდეშელი, ამირან სანაია, ლევან მჭედლიძე**) გარდა, გუნდს შეკრებაზე გამოცხადებული კიდევ ორი ფეხბურთელი დააკლდა - ტრავმა აწუხებდა „დინამოს" მცველ **ლევან კაკუბავას,** რომელმაც 11 ნოემბერს ვერ ივარჯიშა. სამაგიეროდ, ამ დღეს საერთო ჯგუფში იყო ზუგდიდის „ბაიას" ნახევარმცველი **ნიკა ძალამიძე,** თუმცა გუშინ გაირკვა, რომ მისი თამაში გამორიცხულია.

*"ნიკა ძალამიძე ვერ ითამაშებს, რადგან ვარჯიშზე კოჭი კიდევ უფრო ასტკივდა და შესაბამისად, ვერ ივარჯიშა. ცხინვალის „სპარტაკთან" სათასო შეხვედრაში ის კოჭის არეში დაშავდა და იმედი გვქონდა, რომ თამაშამდე მომჯობინდებოდა, მაგრამ ექიმებმა სურათი გადაუღეს და აღმოჩნდა, რომ ერთი კვირა უნდა დაისვენოს.*

*რაც შეეხება კაკუბავას, მან დღეს ივარჯიშა და თავს გაცილებით უკეთაც გრძნობს. მცირე ტკივილი აწუხებდა ნახევარმცველ ბუბა დაუშვილს და ერთი დღე ამიტომაც დავასვენეთ",* - გვითხრა გაბელიამ.


ნიკა ძალამიძე

რაც შეეხება მეტოქის ბანაკს. ირლანდიელთა მთავარმა მწვრთნელმა **დონ გივენსმა** საქართველოსა და სომხეთთან მატჩებისთვის შემდეგი ფეხბურთელები შეარჩია:

მეკარეები - **სტივენ ჰენდერსონი** (ბრისტოლი), **შონ რედმონდი** (ბარტონ ალბიონი);

მცველები - **სიმუს კოულმენი** (ევერტონი), **კალუმ მორისი** (ნიუკასლი), **ლანრე ოებანიო** (ჰისტონი), **დარენ დენეჰი** (ჰერეფორდი), **გიან ჰატონი** (ლინკოლნი), **სემუს კონელი** (გოლუეი), **კევინ ლონგი** (კორკი);

ნახევარმცველები - **გრემ კერი** (სელტიკი), **ჯეიმს მაკარტი** (უიგანი), **დევიდ მეილერი** (სანდერლენდი), **ალან ჯაჯი** (ბლექბერნი), **ოუენ გარვანი** (იფსვიჩი), **სტივენ გლისონი** (დონსი);

თავდამსხმელები - **ქილიან შერიდანი** (სელტიკი), **ჯეიმს კოლინზი** (ასტონ ვილა), **ჯეი ოში** (ბირმინგემი).

ირლანდიის ახალგაზრდული ნაკრები თბილისს 11 ნოემბერს ესტუმრა და სასტუმრო „რედისონში" დაბინავდა. სტუმრებმა პირველი ვარჯიში გუშინ კარლო მჭედლიძის სახელობის საფეხბურთო აკადემიის მოედანზე ჩაატარეს, დღეს კი 11:00 საათზე „ლოკომოტივზე" ივარჯიშებენ. ამავე არენაზე ოთარ გაბელიას შეგირდთა მატჩისწინა „რეპეტიცია" 16 საათზე დაიწყება.

**მერაბ მამულაშვილი**

დინამო

### ბუბა ტყავაძე:

# შეიტანონ სარჩელი

**მერაბ ჟორდანია** შეტევაზე გადავიდა. მან თბილისის „დინამოს" ამჟამინდელი მმართველები გააკრიტიკა და მისი მეგობრების მხრიდან კლუბის დაბრუნების სურვილი გააჟღერა. თუ ვინ არიან ეს მეგობრები, ჯერჯერობით არ კონკრეტდება. თუმცა ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ლაპარაკია **რომან შოთაძესა** და **ლერი სულაბერიძეზე,** რომლებიც ჟორდანიას დროინდელ „დინამოში" წამყვანი ფიგურები იყვნენ.

*„მე ფეხბურთიდან არსად წავსულვარ",* - თქვა ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ჟორდანიამ „ლელოსთან" ექსკლუზიურ ინტერვიუში.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი უცხოეთში გაიხიზნა. რას არ ამბობდნენ ამ ხნის განმავლობაში - რომ თითქოს „ჩელსის" მეპატრონე **რომან აბრამოვიჩმა** დაიყენა გვერდში; რომ ვითომ ერთ-ერთი სამხრეთამერიკული კლუბის ყიდვა სურდა; და კიდევ - უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** თითქოს მის უწყებაში დასაქმებას ჰპირდებოდა...

ჰო, მართლა - უეფას ხსენებაზე არ დაგვავიწყდეს, რომ ჟორდანიას გული მხოლოდ „დინამოზე" არ სწყდება. საქმე ისაა, რომ ჟორდანიამ უეფაში ვერ მიიღო პოსტი, რადგან ვერ ელირსა ქართული მხარის თანხმობას...

ახლა ის მოლაპარაკებებს აწარმოებს „დინამოს" დასაბრუნებლად, თან ერიდება ზედმეტ ხმაურსა და ალიაქოთს. ჯერჯერობით, არც იმ ბიზნესჯგუფებს ასახელებს, რომლებიც მას გვერდით დაუდგებიან. ჩვენი ინფორმაციით, თუ „დინამო" ჟორდანიასა და მის მეგობრებს დაუბრუნდა, სერიოზული ბიუჯეტის მქონე კლუბის შექმნა იგეგმება. თუმცა ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია.

ჟორდანიას განცხადებებზე კომენტარი „დინამოს" ახლანდელ მმართველ დირექტორ **ბუბა ტყავაძეს** ვთხოვეთ:

*„როგორც ვიცი, მერაბ ჟორდანიამ „რუსთავი 2-ის" ეთერში განაცხადა, რომ მისი მეგობრები თბილისის „დინამოს" დაბრუნებას აპირებენ. „ლელოსთან" ინტერვიუშიც იგივე გაიმეორა. ჩემთვის გაუგებარია - თუ სარჩელის შეტანას აპირებენ, შეიტანონ. ხომ აქვთ იმედი, რომ პროცესი მათთვის სასურველი შედეგით დასრულდება? მე კი ვფიქრობ, რომ უკვე იმ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც ურთიერთობები სამართლებრივი გზით ირკვევა",* - გვითხრა ტყავაძემ.

**მერაბ მამულაშვილი**


ბუბა ტყავაძე

ინტერვიუ



### მამუკა აბუსერიძე

# არასდროს მიგრძვნია, რომ კუპერის საქმეში ვინმე ერეოდა

**მამუკა აბუსერიძე** კლაუს ტოპმიოლერისა და ექტორ კუპერის სამწვრთნელო შტაბში მუშაობდა და მეკარეებს ამზადებდა. ის თავისი საქმის პროფესიონალია და ეს ეროვნულის ახალ თავკაც თემურ ქეცბაიასაც არ დარჩენია შეუმჩნეველი, ის შტაბში დაასახელა და ისევ მეკარეებს მოამზადებს.

აბუსერიძესთან განვლილი პერიოდის გარდა სხვა საინტერესო თემებზე გვინდოდა საუბარი. მას გუშინ შევეხმიანეთ.

**- ინტერვიუ განვლილი საკვალიფიკაციო ეტაპის შეფასებით დავიწყოთ...**

- სამწუხაროდ ისე მოხდა, რომ ეროვნულმა გუნდმა მოუგებლად დაასრულა შესარჩევი ციკლი. სპორტის ნებისმიერ სახეობაში, ამა თუ იმ გუნდის ასპარეზობა შედეგით ფასდება. ჩვენს ნაკრებს შედეგი უარყოფითი ჰქონდა და საკვალიფიკაციო ეტაპის ჩემეული შეფასებაც ასეთია.

**- ნაკრების მეკარეების მწვრთნელი ხართ და ჩვენს გოლკიპერებს სხვებზე უკეთ იცნობთ. ამ წარუმატებლობაში რამდენი იყო მეკარეების წვლილი?**

- სხვათა შორის, ამ თემაზე თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულ ინტერვიუებს გავეცანი. აბსოლუტურად ვეთანხმები სერგო კოტრიკაძესა და ოთარ გაბელიას. გოლკიპერების წვლილი 20-30 %-ზე მეტი არ ყოფილა.

**- მეკარეების თემაზე ვსაუბრობთ და ამ მხრივ ყველაზე ავადსახსენებელი სოფიის მატჩი იყო...**

- მართალი გითხრათ, აღარ მინდა იმ თამაშის გახსენება. სოფიაში, იმ მატჩის შემდეგ ყველა შოკში ვიყავით. დღემდე ვცდილობ იმ მატჩის დავიწყებას და აქამდე მიჭირს ამის გაკეთება. თუმცა ყველამ უნდა შევძლოთ იმ თამაშის დავიწყება. ამ ბოლოს მომხდარი ცვლილებების შემდეგ, ეროვნული ნაკრების ახალ თავკაცად თემურ ქეცბაიას დანიშვნას ვგულისხმობ, ხალხი, გულშემატკივარი იმედიანაა განწყობილი. მომავალს მეც დიდი იმედით ვუყურებ და მჯერა, რომ ეს მოლოდინი არც მე და არც გულშემატკივარს არ გაუცრუვდება.

**- გასაგებია, რომ ნაკრების წარუმატებლობა 20-30 %-ით მეკარის ბრალი იყო. სხვა რა ფაქტორებით შეიძლება აიხსნას ეს წარუმატებლობა?**

- მართალი გითხრათ, მიჭირს პასუხის გაცემა. მიზეზებზე ბევრი ითქვა და დაიწერა... ალბათ ერთიცაა, სპორტში და ფეხბურთში ზოგჯერ ისეც ხდება ხოლმე, რომ როცა ძალიან მონდომებული ხარ და გულით გინდა განახორციელო ჩანაფიქრი, არ გამოგდის...

>> მე-3 გვერდზე

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე,
ბარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# არასდროს მიგრძვნია, რომ კუპერის საქმეში ვინმე ერეოდა

« გიორგი გვერდიძე

**- ბევრი თვლის, რომ ექტორ კუპერმა ეროვნულ ნაკრებში ფეხბურთელთა რესურსი სრულად ვერ გამოიყენა...**

- იმას ვერავინ იტყვის, რომ კუპერმა ცდა დააკლო და გულიანად არ მუშაობდაო. არგენტინელი დაუზარელად, გულმოდგინედ უძღვებოდა საქმეს, მაგრამ არ გამოვიდა...

**- ეროვნულ გუნდში მეკარეების მწვრთნელი ხედავს თუ არა ნაკრებისთვის გოლკიპერის ნატურალიზაციის აუცილებლობას?**

- ამ თემაზე დისკუსია ჯერ კიდევ გასულ თვეში დაიწყო და ამ საკითხზე სპეციალისტთა მიერ გამოთქმულ არაერთ მოსაზრებას გავეცანი. მართალი გითხრათ, ნატურალიზაციის წინააღმდეგი ნამდვილად არ ვარ. თუმცა ამ საკითხში აჩქარება გამართლებული არ იქნება. სანამ გადავწყვეტდეთ მეკარის ნატურალიზაციას, მანამდე ვნახოთ, თუ რას ითვალისწინებს ნატურალიზაციის წესი და რამდენად გვაწყობს. თუ ამ გზას ავირჩევთ, მერე კარგი დაფიქრება გვმართებს საიმედო მეკარის მოსაძიებლად.

**- სხვადასხვა სამეკარეო სკოლებს შორის რომელს ანიჭებთ უპირატესობას?**

- რუსული სკოლაც კარგია, მაგრამ იტალიურ და გერმანულ სამეკარეო სკოლას ყველაზე წინ დავაყენებდი. მოქმედ მეკარეებს შორის, ყველას ჯანლუიჯი ბუფონი მირჩევნია, მერე პეტრ ჩეხი და სხვები.

**- მოდი, იმ მეკარეებზეც ვთქვათ, რომელთაც ეროვნულში ჯერ არ უთამაშიათ და ქვეყნის უმთავრესი გუნდის მწვრთნელებისგან ყურადღებას იმსახურებენ...**

- მართალი გითხრათ, ახალგაზრდა მეკარეებს ყოველთვის ვაქცევ ყურადღებას, მაგრამ არ მინდოდა ავჩქარებულიყავი. ეს აჩქარება, სხვა კიპერზე გამოიკვეთა და არ მინდოდა მასთან მიმართებაშიც იგივე ყოფილიყო. ზოგი თვლის, მერე რა, რომ ახალგაზრდაა, ითამაშოს, უკეთესიაო, მაგრამ ჩემი აზრით, უმჯობესი იქნებოდა, მას ჯერ ახალგაზრდულში ეთამაშა...

**- ვის გულისხმობთ, „ზესტაფონის" მეკარე როინ კვასხვაძეს?**

- დიახ, მას ეროვნულ გუნდში ჯერ არ უთამაშია... მართალია ის უკვე იმსახურებს მეტ ყურადღებას, მაგრამ მთავარ ნაკრებში მის თამაშს ცოტა ფრთხილად უნდა მივუდგეთ. უმჯობესი იქნება, თუ კვასხვაძე მეტ გამოცდილებას მოიხვეჭავს... არ მინდა, რომ მისთვის ადრე იყოს ეროვნულში თამაში, ისევე როგორც ეს ადრე იყო... მთავარ ნაკრებში თამაში მხოლოდ ფორმასა და კონდიციებზე არაა დამოკიდებული. აქ სხვა წვრილმან ფაქტორებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

**- სხვისთვის ადრე იყო ეროვნულში თამაშიო, გიორგი მაკარიძეს გულისხმობთ?**

- დიახ, ჩემი აზრით, ცოტა ადრე იყო ნაკრებში მისი თამაში. უმჯობესი იქნებოდა, გიორგის 19 და 21-წლამდელთა ნაკრებში, თუნდაც კლუბში, მეტი სათამაშო პრაქტიკა ჰქონოდა, მაგრამ იმ მომენტში ეროვნული გუნდის თავკაცმა კლაუს ტოპმიოლერმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო და მაკარიძეს ანდო ეროვნული გუნდის კარი... დღეს მაკარიძე „ლე მანშია", რამდენადაც ვიცი, დუბლებში უწევს თამაში. მას კარგი მონაცემები აქვს და ბუნებრივია, ისიც ყურადღების არეალში უნდა გვყავდეს.

**- მაკარიძის სათამაშო პრაქტიკაზე ვსაუბრობთ და როინ კვასხვაძეს „ზესტაფონში" იშვიათად უწევს თამაში... ერთსაც დავამატებდი, კვასხვაძეზე ამბობენ, სათანადო სიმაღლის არ არის, მაგრამ სწრაფი რეაქციისა და ნახტომის ხარჯზე ამ ნაკლს ანეიტრალებს. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

- 184 სმ ხელწამოსაკრავი სიმაღლე ნამდვილად არ არის. გარდა ამისა, როინს ჩინებული რეაქცია და სხვა კარგი თვისებებიც აქვს.

**- კონკრეტულად?**

- კარგი ნახტომი, სწრაფი რეაქცია, თამაშში ბოლომდეა ჩართული, თანაგუნდელებს კარნახობს... ერთი სიტყვით, თამაშს კითხულობს და სათანადო გადაწყვეტილებებსაც სწრაფად ღებულობს. ჩვენ კვასხვაძესაც დავაკვირდებით, მაკარიძესაც და სხვა, ასაკოვან გამოცდილ მეკარეებსაც.

**- განვლილ პერიოდზე ერთსაც გკითხავთ. მალხაზ ასათიანმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა - კლაუს ტოპმიოლერი და ექტორ კუპერი გადაწყვეტილებებში დამოუკიდებლები არ იყვნენო. ამ მწვრთნელების დროს მათ შტაბში იყავით. მართლა ერეოდნენმათ საქმეებში?**

- ყველას შეუძლია საკუთარი აზრი გამოთქვას. პირადად, არასდროს მიგრძვნია, რომ რომელიმეს საქმიანობაში ვინმე ჩარეულიყო. ტოპმიოლერიც და კუპერიც ყოველთვის პატივს სცემდნენ სხვა სპეციალისტების აზრს, მაგრამ გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად იღებდნენ.

**- ტოპმიოლერიც და კუპერიც ჩვენი ნაკრებისთვის უკვე გუშინდელი დღეა. იქნებ ისინი ერთმანეთს შეადაროთ...**

- მომიტევეთ, მაგრამ ორივე ეს მწვრთნელი დიდი პიროვნება იყო და მათი შედარება გამიჭირდება.

**- კვირის წინ გადაწყდა - ეროვნულ გუნდს თემურ ქეცბაია ჩაიბარებს. მას სოსი ჭედია და ფიზიკური მომზადების მწვრთნელი მიხალის მიხალისი დაეხმარებიან. მეკარეების მწვრთნელი კი კვლავ თქვენ იქნებით... ალბათ ქეცბაიასთან უკვე გქონდათ შეხვედრა. უახლოეს გეგმებზე რას გვეტყოდით?**

- სხვათა შორის თემურთან ჯერ არ მქონია საუბარი. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მას ეროვნულის თავკაცობა მივულოცო და წარმატებები ვუსურვო. მოხარული ვარ, რომ მან ნდობა გამომიცხადა და თავის შტაბში დამასახელა. მას უდიდესი საქმე დაევალა, დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრა. თემურს კარგად ვიცნობ და საკუთარი თავის იმედი რომ არ ჰქონოდა, ამ საქმეს ხელს არ მოჰკიდებდა. მას ყველა მხარში უნდა ამოვუდგეთ. მხოლოდ მწვრთნელები კი არა, ფედერაცია, სპორტული სამყარო, გულშემატკივარი, მასმედია, მთელი ქვეყანა ერთად უნდა დავდგეთ. გასაკეთებელი ბევრია, არაერთი პრობლემაა მოსაგვარებელი და ერთიანობით ყველაფერს გავუმკლავდებით.

**- თემურს მართლაც კარგად იცნობთ. ერთად თამაშობდით თბილისის „დინამოში". პიროვნულად მას როგორ დაახასიათებდით?**

- თემურ ქეცბაია ჟინით, მონდომებით, შემართებით, ბრძოლისუნარიანობით ჯერ კიდევ ფეხბურთელის ამპლუაში გამოირჩეოდა. მჯერა, ეროვნულის თავკაცის რანგში თემური ამ თვისებებს გაათმაგებულად გამოავლენს. მას გუნდში დადებითი მუხტის შეტანა, კარგი ფსიქოლოგიური ფონის შექმნა შეუძლია. ტელევიზიით თვალს ვადევნებდი მის მიერ მომზადებულ „ანორთოსისის" მატჩებს და აშკარად ჩანდა, რომ თემურს ტაქტიკური მარაგიც საკმაოდ აქვს. მან უცნობი კვიპროსული გუნდი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ რაუნდში გაიყვანა და ევროპას გააცნო. უცნობი ფეხბურთელებით, მან ბევრს მიაღწია და მჯერა საქართველოს ნაკრებსაც აათამაშებს.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

# ვინაა უფრო პოპულარული? კიკაბიძე არა, ანანიძე!

## სპარტაკის მეპატრონემ დაადასტურა: ჯანოს რუსეთს ვუნახავდით

**ჯანო ანანიძემ** არა მხოლოდ ქართულ-რუსული, არამედ ევროპული მედიის ყურადღებაც მიიპყრო. „ლელო" უკვე იუწყებოდა, რომ 17 წლის ფეხბურთელს ძველი კონტინენტის სახელოვანი კლუბები - „არსენალი", „სევილია", „მილანი" და „იუვენტუსი" აკვირდებიან. მათ შორის, განსაკუთრებით, ლონდონელი „მეთოფეები" აქტიურობდნენ. ინტერნეტგამოცემა „გოლის" მტკიცებით, **არსენ ვენგერმა** მოსკოვში „არსენალის" ერთ-ერთი სკაუტი გაგზავნა.

„სპარტაკის" სპორტული დირექტორის **დმიტრი პოპოვის** განცხადებით, ქართველ ვუნდერკინდს უახლოეს 3-4 წელიწადში არსად გაუშვებენ. თუმცა პოპოვი იქვე მიანიშნებს - „არსენალისა" და „სევილიას" ინტერესი არ გამკვირვებია, რადგან ორივე კლუბის სასელექციო პოლიტიკა მთელ მსოფლიოში ახალგარდა ტალანტების მოძიებაზეა ორიენტირებულიო.

ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ანანიძეს „არსენალი" იწვევდა, „ლელოს" პირველწყარომაც დაუდასტურა. თუმცა, მისივე თქმით, რუსები 19-წლამდე არსად გაუშვებენ - ბრენდის ჩამოყალიბებასთან ერთად, რუსებს ქართველი ფეხბურთელის სარფიანად გაყიდვა სურთ.

ქართველი ბიჭის ნიჭიერებით აღფრთოვანებას ვერ მალავს მოსკოვის „სპარტაკის" მწვრთნელ-კონსულტანტი **ოლეგ რომანცევი**: *„ჯანო ძალიან მომწონს. მიუხედავად უამრავი საქებარი სტატიებისა, ანანიძე ძველებურად უბრალო ადამიანად რჩება და ოსტატობის დახვეწას აგრძელებს. ორი აზრი არაა, მან გუნდის თამაში გააძლიერა".*

ჟურნალისტის კითხვაზე - „ანანიძემ, აირჩია რა საქართველო, სპარტაკი" გააძლიერა, მაგრამ რუსეთის ნაკრები დაასუსტა. ასე არაა?" - რომანცევი იმედგაცრუებას ვერ მალავს: *„ჯანომ აირჩია ის, რაც საჭიროდ ჩათვალა - საქართველო, სადაც დაიბადა და ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაატარა. თუმცა არ დავმალავ - გული დამწყდა, რუსეთზე უარი რომ თქვა".*

გუშინაც ვწერდით - რუსული ფეხბურთის ვარსკვლავი **იგორ ტიტოვი** გაზეთ „სოვეტსკი სპორტთან" ინტერვიუში აცხადებს: *„ანანიძე ჯერ კიდევ დუბლებში გამოსვლისას დამამახსოვრდა. ერთად ვივარჯიშეთ და შევნიშნე, როგორ სწრაფად იზრდებოდა და რაოდენ ნათელი გონება ჰქონდა. როდესაც გავიგე, რომ სულ რაღაც 15 წლის იყო, შოკში ჩავვარდი".*

სხვათა შორის, მოსკოვის „სპარტაკის" მეპატრონე ვლადიმირ ფედუნმა იმავე „სპორტ ექსპერესთან" ინტერვიუში საჯაროდ განაცხადა - *„სპარტაკის" ხელმძღვანელობა ფეხბურთელის რუსეთისთვის შენახვას ცდილობდა, საქართველოს ნაკრებში მის გაშვებას ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ანანიძემ არ გვისმინაო.*

რუსეთის პროფლიგის პრეზიდენტი **სერგეი პრიადკინი** კი იმითაა უკმაყოფილო, რუსეთში უცხოტომელს გასაქანს რომ აძლევენ: *„ერთ-ერთ გაზეთში ანანიძის მამის ინტერვიუ წავიკითხე. რატომ თამაშობს ბავშვი რუსეთში და არა საქართველოშიო, ეკითხებიან. „შვილის თბილისის „დინამოში" მიყვანა არ მსურს. იქ ფეხბურთი მხოლოდ ახლა ვითარდება და ისეთი დონეა, რაც ჯანოს არ შეეფერებაო, პასუხობს. საინტერესოა, რატომ უნდა განვავითაროთ ქართული ან რომელიმე სხვა ქვეყნის ფეხბურთი და არა - საკუთარი? მაყურებელთა ინტერესი და ტურნირის სანახაობრივი მხარე სხვაგვარადაც შეიძლება გავზარდოთ".*

ცნობილი ფეხბურთელი **სერგეი იურანი** კი ანანიძეს სეზონის აღმოჩენას უწოდებს: *„უნდა ვაღიაროთ, რომ „სპარტაკის" მთავარი მწვრთნელის ვალერი კარპინის ხელში თავი ორმა ახალგაზრდა ფეხბურთელმა გამოიჩინა - ანანიძემ და იაკოვლევმა. გასაოცარია, რაოდენ დამაჯერებლად თამაშობენ ეს ბიჭები და ამასთან, გააქვთ გოლები. ახალ „სპარტაკში" ლამაზ მოზაიკას ქმნიან და საერთო სურათს ახალი ელემენტებით ავსებენ".*

რუსეთში უკვე გაჩნდა ჯანო ანანიძისადმი მიძღვნილი ინტერნეტგვერდებიც. ლექსები, სიმღერები - ბევრ რამეს მოისმენთ, მაგალითად, ასეთს:

*„ვინაა უფრო პოპულარული, ვიდრე კიკაბიძე? - რა თქმა უნდა, ანანიძე".*

**მერაბ მამულაშვილი**




ალიარება

# ანანიძე ოქტომბერში მეოთხეა

რუსული „სპორტ-ექსპრესი" დსთ-ისა და ბალტიისპირეთის სივრცის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენ გამოკითხვას განაგრძობს. შეგახსენეთ, ყოველთვიურად 15 ქვეყნის გამოცემები თვის საუკეთესო ფეხბურთელს ასახელებენ, ქულათა ჯამით კი გამარჯვებულიც ვლინდება. ამავდროულად, 12 თვის შედეგების შეჯამებით წლის საუკეთესო ფეხბურთელის ვინაობაც ირკვევა.

დიდი ხანია, ამ გამოკითხვაზე არაფერი დაგვიწერია. მიზეზი მარტივია – მიმდინარე წლის განმავლობაში არც ერთ ქართველ ფეხბურთელს ერთი ქულაც კი არ მოუპოვებია. ნავსი ოქტომბრის შეჯამებისას გატყდა. მოსკოვის სპარტაკელი **ჯანო ანანიძემ** სამმა გამოცემამ თვის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნია, კიდევ რამდენიმემ კი მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე ადგილები მიაკუთვნა. ამით მან 39 ქულა დააგროვა და ოქტომბრის რეიტინგში მეოთხე ადგილი დაიკავა, ხოლო მთლიან რეიტინგში 21-ე ადგილს იყოფს მოსკოვის ცსკა-ს ნახევარმცველ **ევგენი ალდონინთან ერთად.** ოქტომბრის საუკეთესო მოთამაშედ კი ყაზანის „რუბინის" მეკარე **სერგეი რიჟიკოვი** აღიარეს და სავსებით დამსახურებულადაც. მან ხომ „ბარსელონასთან" სასწაულები ჩაიდინა და ჩემპიონთა ლიგის მოქმედ გამარჯვებულთან ორ მატჩში ოთხი ქულის მოპოვებაში ლომის წილი დაიდო.

ანანიძეს ოქტომბრის რეიტინგში მხოლოდ ჩემპიონთა ლიგაში თავგამოჩენილმა ფეხბურთელებმა გაუსწრეს. ოქტომბრის საუკეთესო ხუთეულს აქვე გაგაცნობთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

| ოქტომბრის პირველი ხუთეული | | |
|---|---|---|
| 1. სერგეი რიჟიკოვი | რუბინი | 54 ქ |
| 2. ანდრეი შევჩენკო | დინამო კ | 44 |
| 3. ალექს. რიაზანცევი | რუბინი | 42 |
| 4. ჯანო ანანიძე | სპარტაკი | 39 |
| 5. ანატოლი ტიმოშჩუკი | ბაიერნი | 25 |

| წლის პირველი ხუთეული | | |
|---|---|---|
| 1. ანდრეი არშავინი | არსენალი | 285 |
| 2. ვლადიმირ ბისტროვი | ზენიტი | 190 |
| 3. ანდრეი პიატოვი | შახტარი | 127 |
| 4. ანდრეი ვორონინი | ლივერპ. | 125 |
| 5. ალექს. კერჟაკოვი | დინამო მ | 110 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



U 21



გიორგი ჭედია

# გიორგი ჭედია
# კარგად ვიცით მეტოქის ნაკლი

ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებული თავდამსხმელი გიორგი ჭედია რუსთავის „ოლიმპს“ საკმაოდ იოლად შეეწყო და ნელ-ნელა გოლეადორული თვისებებიც გამოავლინა. გიორგის ნაკრებშიც სისტემატურად იწვევენ და ამიტომ, მოსალოდნელი იყო, რომ ოთარ გაბელია ჭედიას ირლანდია-შვეიცარიისთვისაც გამოიძახებდა...

**- გიორგი, ბოლო დროს „ოლიმპში“ გაშინაურდი და გოლების გატანაც დაიწყე. ეტყობა, კლუბს უკვე შეეწყვე...**

- ეს არის მთავარი, ნებისმიერ გუნდს უნდა შეეწყო. მიხარია, რომ „ოლიმპში“ კარგად მიმიღეს და თამაშიც კარგად მიმდის. იმედია, ნელ-ნელა კიდევ მოვუმატებ.

**- გუნდი შეთამაშდა და უკეთ გამოიყურება. თუმცა „ზესტაფონის“ სახით სერიოზული კონკურენტი გყავთ...**

- ძალიან კარგი გუნდია, მაგრამ ჩემპიონობა გვინდა და სხვა გზა არ გვაქვს - უნდა ჩამოვიტოვოთ. ჩვენი ბრძოლა მაყურებლისთვისაც საინტერესო იქნება.

**- ერთი ხანობა, „ოლიმპს“ ჩავარდნა დაეწყო. რა იყო ამის მიზეზი?**

- „ოლიმპი“ სეზონის დაწყებამდე ხელახლა ჩამოყალიბდა. ასეთ პირობებში საჩემპიონო გუნდის შეკვრა რთულია. თუმცა ურთიერთგაგება მალე გაჩნდა, უკეთეს ფეხბურთს ვაჩვენებთ და თამაშებს ვიგებთ. ძალიან მახარებს ის ფაქტი, რომ გუნდში ერთსულოვნებაა. ჩვენი მიზანი ჩემპიონობაა, რასაც ერთსულოვნების გარეშე ვერ მივაღწევთ.

**- ირლანდია-შვეიცარიასთან მატჩები ჯგუფში გადამწყვეტი იქნება - ან ვიბრძოლებთ გასვლისთვის, ან ჩავრჩებით. შენი აზრით, რა შედეგის იმედი უნდა გვქონდეს?**

- ამ შემთხვევაშიც იმავეს ვიტყვი, რაც კლუბთან დაკავშირებით გითხარით - შეკრული ნაკრები გვყავს, რაც წარმატების წინაპირობაა. ვეცდებით, ირლანდიასთან მოვიგოთ და შვეიცარიაში არ წავაგოთ. დაგვიდგეს გვერდში გულშემატკივარი და ჩვენც გავახარებთ. ახალგაზრდული ნაკრების ერთადერთი მიზანი ჯგუფიდან გასვლაა და საამისოდ, ყველაფერს გავაკეთებთ. გული ესტონეთთან წაგებაზე მწყდება, ჩვენი შანსები ტალინში რომ გამოგვეყენებინა, ჯგუფში ლიდერები ვიქნებოდით - ბალტიისპირეთში მოგება კი ნაღდად შეგვეძლო.

**- ნაკრებში გამართულ შეხვედრებში ჯერ გოლი არ გაგიტანია.**

- ამის დროც მოვა...

**- „ამის დრო“ თავდამსხმელისთვის ყველა შეხვედრაშია.**

- ესტონეთში გატანა შემეძლო, მაგრამ ვერ მოვახერხე. ეს ჩემთვის მნიშვნელოვანია, სხვაგვარად ნაკრებში დამკვიდრება გამიჭირდება.

**- ირლანდიის ნაკრებს შეისწავლიდით. შენი აზრით, როგორი ფეხბურთი უნდა ითამაშოთ მათ დასამარცხებლად?**

- ირლანდიელები აგრესიულ, შემტევ ფეხბურთს თამაშობენ და მთელი 90 წუთი იბრძვიან, რაც მათი დიდი პლუსია. თუმცა პლუსების გარდა, მათი მინუსებიც ვიცით, მაგალითად, დაცვაში უჭირთ და ამით უნდა ვისარგებლოთ. რაც მთავარია, ჩვენც არ ვართ სუსტები, თამაში შეგვიძლია და გულშემატკივრის გახარებაც გვსურს.

მერაბ მამულაშვილი

# გიორგი ივანიშვილი
# საქართველოს სკანდირება მაგიჟებს...

გიორგი ივანიშვილი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ბომბარდირად ყალიბდება. ჯერ იყო და, ზესტაფონში თურქების დარბევა მისი გოლით დაიწყო, შემდეგ კი ირლანდიას ბოლო წუთზე ორი ქულა აართვა. ისედაც, ყველა შეხვედრაში მოტივირებული და გოლზე დაგეშილია. შვეიცარიის ჩელენჯლიგის „ვოლენის“ ფორვარდი 14 ნოემბერს ირლანდიასთან შეხვედრასაც იმედით ელის და ფიქრობს, რომ საქართველოს გამარჯვება შეუძლია.

**- გიორგი, ირლანდიასთან შანსებს როგორ შეაფასებ? რეალურად მეორე ადგილისთვის ბრძოლა შეგვიძლია?**

- დარწმუნებულიც ვარ, თურქეთთან და ირლანდიასთან მეორე ტაიმში რომ გამოგვივიდა, ისეთი ფეხბურთი თუ ვაჩვენეთ, ირლანდიას აუცილებლად მოვუგებთ. მთავარია, საკუთარი ძალების ვირწმუნოთ და ჩვენი ფეხბურთი მოვახვიოთ თავს.

**- მეტოქის პლუს-მინუსებზე რას გვეტყვით?**

- მათი შეხვედრების ჩანაწერები რომ ვნახეთ, დაგვრჩა შთაბეჭდილება, თითქოს ძლიერი გუნდი არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციულად ბრძოლისუნარიანები არიან. ამის გამო პირველ შეხვედრაში ირლანდიელთა მიერ ნაჩვენები საკმაოდ ტექნიკური ფეხბურთი ჩვენთვის სიურპრიზი აღმოჩნდა. პირველ ტაიმში ძალიან აგრესიულად გვიტევდნენ. სწრაფი ბიჭები ჰყავთ, ფლანგებს კარგად იყენებენ და მაღალ თავდამსხმელს მშვენივრად ამარაგებენ. ბურთს ძირითადად მისკენ უშვებენ, ის კი ან არტყამს, ან ანაწილებს. ჩემი აზრით, ფლანგებს და მოედნის ცენტრს თუ ჩავუკეტავთ, ნახევარზე მეტ საქმეს გავაკეთებთ.

**- რაც შეეხება მინუსებს?**

- როგორც შევნიშნე, დაცვაში საკმაოდ უჭირთ. ჩემი აზრით, მათი კიდევ ერთი მინუსი ისაა, რომ სრულ კონცენტრაციას ვერ ახერხებენ, რაც საკმაოდ გამიკვირდა. ისიც გამიკვირდა, მეორე ტაიმის ბოლოს რომ დაილალნენ - ველარ გვიტევდნენ და ის მაღალი თავდამსხმელიც გაჩერდა.

**- ყველას სურდა, შეხვედრა ზესტაფონში გამართულიყო, სადაც გულშემატკივარმა თურქებთან მოგებაში დიდი როლი შეასრულა. „ლოკომოტივის“ სტადიონი ნაღდად ვერ შეივსება და ეს თქვენზე ცუდად ხომ არ იმოქმედებს?**

- ხომ შეიძლებოდა, დისკვალიფიკაცია მოეცათ და ცარიელი ტრიბუნების წინაშე გვეთამაშა? ნებისმიერ შემთხვევაში, პროფესიონალები თუ ვართ, ირლანდიელებთან სათამაშოდ უნდა განვეწყოთ. თუმცა, ვგიჟდები, გულშემატკივრები „საქართველო, საქართველოს!“ რომ ყვირიან, ძალა მემატება და მეტი თავდადებით ვიბრძვი. მაყურებელი ჩემთვის განსაკუთრებული სტიმულია. აქ იშვიათად მიწევს ჩამოსვლა და ყველაფერი ქართული მენატრება.

**- ირლანდიის შემდეგ სახლში შენთვის კარგად ნაცნობი შვეიცარია გვიმასპინძლებს.**

- ვფიქრობ, შვეიცარია ირლანდიაზე ბევრად ძლიერი და ტექნიკური გუნდია. ირლანდიელები მაინც ძალაზე თამაშობენ.

**- „ვოლენში“ გადასვლით კმაყოფილი ხარ?**

- გარკვეულწილად ვარ, რადგან ჩემპიონატს, ტემპს და ორთაბრძოლებს შევეჩვიე, ორთაბრძოლების სიმრავლეა და ვიზრდები. ბევრი შეხვედრის გამართვა ვერ მოვახერხე, მაგრამ ჩემი აზრით, „ციურიხის“ სკამზე ჯდომას აქ გამოსვლა ჯობდა. „ვოლენში“ გადასვლა სწორი ნაბიჯი იყო, მაგრამ საერთო დონე სასურველი მაინც არაა და მომავალ სეზონში იქ დარჩენას არ ვაპირებ.

**- შენით რომელიმე გუნდი დაინტერესდა?**

- აქ ყველა შეხვედრას საკამოდ ბევრი სელექციონერი ესწრება, ისინი შეუბნებიან, ესა და ეს გუნდი დაინტერესდაო, მაგრამ სანამ უშუალოდ არ დამელაპარაკებიან, ტრანსფერზე ლაპარაკი ზედმეტი იქნება. ისე ვთვლი, რომ შვეიცარიის უმაღლესი დივიზიონისთვის ზამთარში თუ არა, ზაფხულისთვის მაინც მზად ვიქნები. მაქვს ინდივიდუალური გეგმა, რომლის მიხედვითაც ნაკლი უნდა გამოვასწორო. ნაკრებში ქვეყნისთვის თამაშობ, უფრო გულიანად ხარ, გუნდში კი განვითარების საკუთარი გეგმა უნდა გქონდეს. თუ კარგად ვარჯიშობ, თავად იხეირებ, თუ არა და, საკუთარ თავს ავნებ.

მერაბ მამულაშვილი



გიორგი ივანიშვილი (მარჯვნივ)

ინტერვიუ



ირაკლი კლიმიაშვილი

# ირაკლი კლიმიაშვილი
# მესამე ადგილი ვერ დაგვაკმაყოფილებს

ვიტჯორჯიელი ირაკლი კლიმიაშვილი მიმდინარე შესარჩევ ციკლში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შეუცვლელი ფიგურაა. მან ჯგუფის ყველა მატჩში ითამაშა და სავარაუდოდ, ირლანდიასთან შეხვედრაშიც მოედანზე იქნება. როგორც გაირკვა, მას მცირე ტრავმა აქვს, მაგრამ შაბათს მისი თამაში კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას.

- ეროვნული ჩემპიონატის გასული ტური ამ ტრავმის გამო გამოვტოვე. მოხარული ვარ, რომ „ვიტ ჯორჯიამ“ „სპარტაკს“ ჩემ გარეშეც მოუგო. საბედნიეროდ, დაზიანება სერიოზული არაა, ტკივილმა გამიარა, ექიმები მარწმუნებენ, რომ ირლანდიასთან თამაშს უპრობლემოდ შევძლებ.

**- ირლანდიის ახალგაზრდულ ნაკრებს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გარეშე დავუპირისპირდებით...**

- საკმაოდ სერიოზული დანაკლისი გვაქვს, მაგრამ ოპტიმალური შემადგენლობით, ფაქტობრივად, ერთი მატჩიც არ ჩაგვიტარებია და მაინც ნორმალურ შედეგებს ვაღწევდით. შვეიცარიასთან მატჩისთვის კი ხიდეშელსა და სანაიას დისკვალიფიკაციები ექნებათ მოხდილი და თუ იმ შეხვედრისთვის სხვები არ გამოგვაკლდნენ, კარგი იქნება. ძალიან ცუდია, რომ ლევან ყენია ვერ გვეხმარება. საკადრო პრობლემების მიუხედავად, ყველა მატჩში გამარჯვებისთვის ვიბრძვით, გუნდში იდეალური ატმოსფეროა.

**- ირლანდიასთან გასვლით მატჩს როგორ გაიხსენებ?**

- ძალიან დაძაბული თამაში იყო, გამარჯვება ჩვენც შეგვეძლო და ირლანდიელებსაც. ბოლომდე ვიბრძოლეთ და შეხვედრის მიწურულს ანგარიში გავათანაბრეთ. დასანანი ისაა, რომ გათანაბრების შემდეგ კიდევ ერთი რეალური საგოლე მომენტი გავუშვით ხელიდან.

**- ირლანდია როგორი სტილის გუნდია?**

- ტიპურ ბრიტანულ ფეხბურთს თამაშობს, ჰყავს ათლეტური და ფიზიკურად ძლიერი ფეხბურთელები. ყველა რგოლი მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალისაა, ყველაზე მაღალი დონის მოთამაშე მათი ცენტრფორვარდია.

**- ირლანდიასთან დაპირისპირების შემდეგ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები შვეიცარიას ესტუმრება, რომელსაც ბევრი ჩვენი ჯგუფის ფავორიტად მიიჩნევს.**

- შედეგებიდან გამომდინარე, ასეა, მაგრამ ჩვენს ჯგუფში თითქმის ყველა გუნდი ძლიერია. ირლანდიაც ანგარიშგასაწევი მეტოქეა, თურქეთიც და ესტონეთიც.

**- საკუთარი კონდიციებით კმაყოფილი ხარ?**

>> მე-5 გვერდზე

ლეგიონერები



ოთარ მარცვალაძე (მარცხნივ)

## მარცვალაძე საუკეთესოებში არაერთხელ

„სპორტ-ექსპრესმა“ პირველ დივიზიონში დასრულებული სეზონი შეაჯამა და საუკეთესოები გამოარჩია. გაზეთმა გამარჯვებულები სხვადასხვა ნომინაციაში დაასახელა. აღსანიშნავია, რომ საუკეთესოთა შორის, არაერთხელაა დასახელებული საქართველოს ნაკრებისა და მახაჩყალის „ანჟის“ შემტევი ნახევარმცველი **ოთარ მარცვალაძე.**

ოქტომბერ-ნოემბრის გამორჩეულებში ვერც „ანჟი“ მოხვდა და ვერც რომელიმე ქართველი ფეხბურთელი. სეზონის მთლიან შეჯამებაში საუკეთესო ფეხბურთელთა ოცეულში მარცვალაძე 27 ქულით მე-3 ადგილზეა. ჩვენებურს „კამაზის“ ფორვარდი **სპარტაკ გოგნიევი** და „სიბირის“ თავდამსხმელი **ალექსეი მედვედევი** უსწრებენ.

„სპორტ-ექსპრესმა“ გამორჩეულთა ხუთეულები ყველა სათამაშო რგოლში დაასახელა. ნახევარმცველთა კვინტეტში მარცვალაძე პირველია. ოთარი ასევე პირველია დივიზიონის რჩეულ უცხოელთა შორისაც. ლიგის ბომბარდირებში კი მარცვალაძე 22 შეხვედრაში გატანილი 13 გოლით მე-5 ადგილზეა. „გოლი+პასის“ ნომინაციაში კი მარცვალაძე 14 ქულით მე-7 ადგილზეა.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ

### ირაკლი კლიმიაშვილი

## მესამე ადგილი ვერ დაგვაკმაყოფილებს

« მეორე გვერდიდან

- ნაკრებშიც და კლუბშიც ბოლომდე ვიხარჯები, მოედანზე თავგანწირვით ვიბრძვი და საერთო წარმატებისთვის ძალ-ღონეს არ ვიშურებ. დანარჩენი გულშემატკივარმა უნდა შეაფასოს.

**- „ვიტ ჯორჯიას“ შედეგები თუა შენთვის დამაკმაყოფილებელი?**

- მოქმედი ჩემპიონები ვართ და მესამე ადგილი ვერაფრით დაგვაკმაყოფილებს. არავინ იფიქროს, რომ ჩემპიონობის შემდეგ მოტივაცია მოგვაკლდა. პირიქით, ეს უფრო დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. ჩემპიონატშიც და თასზეც მაქსიმალური შედეგისთვის ვიბრძვით.

**- თასზე ბრძოლის გაგრძელების შანსი არცთუ დიდი გაქვთ...**

- მართალია, მაგრამ „ზესტაფონთან“ განმეორებით მატჩში თავს არ დავზოგავთ და ყველაფერს ვილონებთ ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად. 0:3 ურთულესი ამოსაქაჩია, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. „ზესტაფონი“ რომ დაუმარცხებელი არაა, ეს „დინამოსთან“ შეხვედრაშიც გამოჩნდა. „დინამომ“ დაამტკიცა, რომ ჩამოსაწერი არაა და ნებისმიერი მეტოქის დამარცხების შანსი აქვს.

**- შენი აზრით, მიმდინარე ჩემპიონატი წინაზე დაძაბულია?**

- ეს ფაქტია. თითოეული ქულის მოპოვებას ძალიან დიდი ბრძოლა სჭირდება, ჩემპიონობისთვის კი ერთბაშად ოთხი გუნდი იბრძვის, რაც სეზონის მთავარი ინტრიგაა.

**- ალბათ, ეროვნულ ნაკრებში დამკვიდრებაზეც ფიქრობ.**

- ნაკრებში თამაში ყველა ფეხბურთელისთვის უდიდესი პატივი უნდა იყოს. კიდევ ბევრს ვიშრომებ იმისთვის, რომ ეროვნულ ნაკრებში მიმიწვიონ. იქ უკვე მითამაშია და მინდა, მალე დავბრუნდე. მანამდე კი არანაკლები მონდომებით ვიბრძოლებ ახალგაზრდული ნაკრების წარმატებისა და ქომაგთა გახარებისთვის.

**- პოპულარულია აზრი, რომ საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები ეროვნული ნაკრების დონეს ვერ აკმაყოფილებენ...**

- ყველას თავისი აზრი აქვს, მე კი ამ მოსაზრებას მხოლოდ ნაწილობრივ დავეთანხმები. ჩვენს ჩემპიონატშიც თამაშობს რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი, რომელსაც ნაკრებისთვის სარგებლობის მოტანა შეუძლია. ისე კი კარგ უცხოურ კლუბში გადასვლა ყველასთვის სასურველია. უდავოა, რომ ფეხბურთელისთვის იქ უკეთესი გარემოა, წინსვლისთვის მეტი ხელშეწყობა და მოტივაციაა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### მიხეილ აშვეთია

## შემიძლია, ნაკრებს ისევ გამოვადგე

**რუსეთის პირველ დივიზიონში სეზონი უკვე დასრულდა. მიხეილ აშვეთიას „ნიჟნი ნოვგოროდმა“ მე-14 ადგილი დაიკავა. ვეტერანი ქართველი ფორვარდი კარიერის დასრულებაზე ჯერ არ ფიქრობს და შვებულების დასრულებისთანავე თავის გუნდთან ერთად გააგრძელებს ვარჯიშს. „ლელოსთან“ ინტერვიუში აშვეთია თავის სამომავლო გეგმებზეც საუბრობს და წარსულსაც იხსენებს.**

**- სად ატარებთ შვებულებას?**

- ამჟამად მოსკოვში ვარ, რამდენიმე დღეში კი თბილისში ჩამოვალ.

**- უკვე გადაწყვეტილია, რომ მომავალ სეზონსაც „ნიჟნი ნოვგოროდში“ გაატარებთ?**

- კონტრაქტის ამოწურვამდე კიდევ ერთი წელიწადია დარჩენილი და წასვლას არ ვაპირებ. ამჟამინდელ კლუბში ყველაფერი მაკმაყოფილებს. აქ ნდობას ვგრძნობ და თუ ტრავმებმა ხელი არ შემიშალა, მომავალი სეზონის უკეთ ჩატარება შემიძლია.

**- და თვითონ კლუბი ისევ აუტსაიდერთა შორის იქნება თუ გაძლიერდება?**

- ამის თაობაზე ჯერ ვერაფერს გეტყვით. ისე კი ამბობენ, რომ მომავალ სეზონში უფრო ბრძოლისუნარიან გუნდს ჩამოაყალიბებენ. ბუნებრივია, ეს მოტივაციას გამიზრდის. ყოველთვის სასიამოვნოა, როცა შენი გუნდი მაღალი მიზნებისთვის იბრძვის. „ნიჟნი ნოვგოროდის“ სამომავლო ამოცანები ამ თვის ბოლოს გახდება ცნობილი. იმედია, ყველაფერი უკეთესობისკენ წავა და პრემიერლიგის კანდიდატებს შორის მოვხვდებით.

**- როგორც ჩანს, „ნიჟნი ნოვგოროდს“ იოლად შეეწყვეთ.**

- დიახ, აქ თბილად მიმიღეს და ყველა პირობა შემიქმნეს იმისთვის, რომ საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვავლინო.

**- საკუთარი თამაშით კმაყოფილი ხართ?**

- არ შეიძლება, ფეხბურთელი საკუთარი თავით კმაყოფილი იყოს. თუმცა, ვფიქრობ, რომ დაკისრებულ მოვალეობას თავი ნორმალურად გავართვი. დარწმუნებული ვარ, ახალ სეზონში კიდევ უკეთ ავთამაშდები.

**- საკუთარ თავს საქართველოს ნაკრების კანდიდატად თუ მიიჩნევთ?**

- თუ ჩემს ქვეყანას დავჭირდი, მზად ვარ ბოლომდე დავიხარჯო. მგონია, რომ კიდევ შემიძლია საქართველოს ნაკრებს გამოვადგე, მაგრამ მოვლენებს რეალურად ვუყურებ. მართალია, 32 წელი არაა კრიტიკული ასაკი, მაგრამ ნაკრებში მოსახვედრად კონკურენცია საკმაოდ დიდია და ვეჭვობ, რომ აღარ გამომიძახებენ. თანაც, ქვედა ლიგის ფეხბურთელისთვის ნაკრებში მოხვედრა ერთიორად რთულია. ამაზე გული ნამდვილად არ მწყდება, კარიერის საუკეთესო წლებში ჩვენი ეროვნული გუნდისთვის არაფერი დამიშურებია და ახლა დროა, ახალგაზრდებმა თქვან თავიანთი სათქმელი. შემთხვევით ვისარგებლებ და თემურ ქეცბაიას ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე წარმატებებს ვუსურვებ. მჯერა, ამ მძიმე საქმეს იგი თავს ღირსეულად გაართმევს.

**- თუ არ ვცდები, რუსეთის მოქალაქეობა მიიღეთ.**

- დიახ, უკვე რუსეთის მოქალაქე ვარ. თუმცა კი საქართველოს ნაკრებში რომ ვთამაშობდე, ეს ფაქტორი ხელს ვერ შემიშლიდა.

**- საქართველოს ნაკრებში გატარებულ პერიოდს როგორ გაიხსენებთ?**

- ახლანდელი ნაკრებისგან განსხვავებით, გამარჯვების გემოც ვიცოდით. რა დამავიწყებს რუსეთის ნაკრების დამარცხებას, როცა მთელი საქართველო გავახარეთ და ნამდვილი სახალხო დღესასწაული მოვაწყვეთ. კიდევ იყო სხვა დასამახსოვრებელი მომენტებიც. ნაკრებში ყოველთვის დიდი სიხარულით ჩამოვდიოდი, კლუბის ინტერესები უფრო მაღლა არასოდეს დამიყენებია. საქართველოს ნაკრებისთვის თავი არასოდეს დამიზოგავს, არც მონდომება დამიშურებია და არც ჯანმრთელობა. ამას გულშემატკივრებიც აფასებდნენ. მათ წინაშე ყველა ქართველი ფეხბურთელი ვალშია და ღმერთმა ქნას, მალე დადგეს ის დრო, როცა ჩვენი ხალხიც გაიხარებს დიდი საფეხბურთო გამარჯვებებით.

**- ჩვენი ნაკრების ბოლოდროინდელ წარუმატებლობებს რით ახსნით?**

- იმის მიუხედავად, რომ ინტერნეტითა თუ ტელევიზიით ქართულ ფეხბურთში მიმდინარე პროცესებს აქტიურად ვადევნებ თვალს, დასკვნების გამოტანა მაინც გამიჭირდება. ნათლად მხოლოდ ის ჩანს, რომ მაღალი დონის ფეხბურთელების დეფიციტი გვაქვს.

**- ფეხბურთის თამაშს კიდევ რამდენ ხანს აპირებთ?**

- ჯერჯერობით, ხელს არაფერი მიშლის, ჭარბი წონა არ მაწუხებს, ფიზიკურად საკმაოდ კარგად ვარ მომზადებული და სანამ ფეხბურთის თამაში სიამოვნებას მანიჭებს, კარიერის დასრულებაზე არ ვიფიქრებ.



მიხეილ აშვეთია

**- განვლილი კარიერიდან რამეს ხომ არ ნანობთ?**

- კონკრეტულად არაფერს. თუმცა ჩემს კარიერაში იყო რამდენიმე მომენტი, როცა ჩემი ბრალი არაფერი ყოფილა, მაგრამ უფრო დიდი ფეხბურთის თამაშში ხელი მაინც შემეშალა. მოსკოვის „ლოკომოტივში“ ყველაზე წარმატებული პერიოდი გავატარე, მაგრამ სამწუხაროდ, ტრავმა მივიღე და როცა გამოვჯანმრთელდი, „ლოკომოტივში“ ჩემი ადგილი აღარ აღმოჩნდა...

**ლევან ჯანეზაშვილი**

ქალთა ფეხბურთი

## ჯერ საჩხერისთვის, მერე...

„ლელოს“ აქტიური მკითხველი ვარ ბავშვობიდან. დღემდე ალბათ, არც ერთი ნომერი არ მექნება წაუკითხავი. გული დამწყვიტა ამას წინათ დაბეჭდილმა ინფორმაციამ საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ნაკრების წარუმატებლობის შესახებ. ქართული სპორტი, როგორც წესი, პერიფერიული „სისხლით“ ცოცხლობს და ამან მიბიძგა, საჩხერეში ქალთა ფეხბურთის განვითარებაზე მეზრუნა. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო სკოლები არ დაინტერესდნენ, საკმაოდ გამოჩნდნენ ენთუზიასტები სოფლებში, უპირველესად, ჩემს მშობლიურ საირხეში.

საირხის საჯარო სკოლის ფეხბურთელებს ჭიათურელი გოგონები ესტუმრენ. მართალია, წავაგეთ 1:9, მაგრამ გული არ გაგვტეხია. და აი, 2-9 ნოემბერს, პირველად საჩხერის სპორტის ისტორიაში, ჩემპიონატიც გავმართეთ 6 გუნდის მონაწილეობით, რაშიც უდიდესი დახმარება გაგვიწია რაიონის კულტურის სამსახურმა, რესურსცენტრმა და საბავშვო სპორტულმა სკოლამ. ფინალში ერთმანეთის პირისპირ საირხისა და არგვეთის საჯარო სკოლების გუნდები წარდგნენ. 2:1 გაიმარჯვეს საირხელებმა. მათ გადაეცათ სპეციალური პრიზი. ბომბარდირის პრიზი (7 გოლი) მიიღო არგვეთელმა **სალომე მუკათარიძემ.**

ყველაფერს ვილონებთ საჩხერეში ქალთა ფეხბურთის პოპულარიზაციისთვის, რათა საქართველოს ნაკრებსაც დავეხმაროთ. მანამდე კი ჭიათურელებთან სარევანშოდ ვემზადებით.

**თამაზ ლაშხი,**
*საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი*

R



ეროვნული ბიბლიოთეკა



**ესპანეთი.** სამეფო თასი. 1/16 ფინალები



უტევს ბილბაოელი ფერნანდო ლორენტე

# ალკორკონი, ხომ არ არის ბარსელონას ჯერი?

## ფინალისტიც გავარდა

ესპანეთის სამეფო თასის ოთხი საპასუხო მეთექვსმეტედფინალური მატჩის შემდეგ პრიმერა დივიზიონის კიდევ ერთი წარმომადგენელი დაემშვიდობა გათამაშებას ქვედა დივიზიონის წარმომადგენელთან ბრძოლაში - თასის ფინალისტი ბილბაოს „ატლეტიკი" გათამაშებიდან მადრიდის „რაიო ვალეკანომ" გამოაგდო.

**ბილბაო-რაიო ვალეკანო 2:2 (0:2)**

**გოლები:** 1:0 ფ. ლორენტე (42), 1:1 კოლანტესი (72), 2:1 ხავი მარტინესი (75), 2:2 ალბაკარი (78)

**ბილბაო:** არმანდო, ირაოლა, უსტარისი, ამორებიეტა, კოიკილი (46. კასტილიო), სუსაეტა, ორბაისი, მარტინესი, დე მარკოსი (54. ეჩებერია), ტოკერო, ლორენტე.

„ათლეტებს" „სან მამესზე" ორგოლიანი დეფიციტის აღმოფხვრა ესაჭიროებოდათ, ბასკები თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით გამოვიდნენ და ტაიმის მიწურულს პირველი გოლიც გაიტანეს - მარჯვენა ფლანგიდან **ანდონი ირაოლამ** ჩააწოდა, ბურთს კი **ფერნანდო ლორენტე** გამოეხმაურა. მეორე ტაიმში ბილბაოელები საგოლე მომენტების გამოუყენებლობისთვის დაისაჯნენ, „რაიოს" ფორვარდმა **ხუან კოლანტესმა** თავზე გადაუგდო ბურთი გოლკიპერ **არმანდოს**. ორ წუთში ლორენტეს პასით **ხავი მარტინესმა** კვლავ დააწინაურა „ატლეტიკი", მაგრამ მალევე სტუმარმა **ედუ ალბაკარმა** გაათანაბრა და ბასკური გუნდი თასის გათამაშებიდან გამოთიშა - 2:2.

**ესპანიოლი-ხეტაფე 1:1 (0:2)**

**გოლები:** 0:1 სოლდადო (21), 1:1 ალონსო (37)

ესპანიოლი: კრისტიანი, დ. გარსია, პილუდი, ნაკამურა (75. საჰარი), დე ლა პენია (58. ვერდიუ), ლ. გარსია (58. კალეხონი), რონკალია, პარეხა, მოისესი, ტამუდო, ალონსო.

ხეტაფე: კოდინა, დიასი, სელესტინი, სოლდადო (74. ალბინი), მანუ, რაფა, პარეხო (67. ბოატენგი), ლეონი (81. კონტრა), კორტესი, კასკერო, ტორესი.

პირველ მატჩში „ხეტაფეს" 2:0 ჰქონდა მოგებული, მაგრამ პრიმერა დივიზიონში ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ სტუმრებს თავდაჯერება აკლდათ, ამიტომ 21-ე წუთზე გატანილმა გოლმა (თავი **რობერტო სოლდადომ** გამოიჩინა) მათ სულზე მოუსწრო. ახლა კატალონიელებს სამი გოლის გატანაც არ შველოდათ. „ესპანიოლმა" პირველივე ტაიმში გაათანაბრა, ეს **ივან ალონსომ** შეძლო. სხვათა შორის, **მაურისიო პოჩეტინომ** სასტარტო შემადგენლობაზე კლუბთან მწვრალად მყოფი ყოფილი კაპიტანი **რაულ ტამუდო** დააყენა.

**რასინგი-სალამანკა 4:1 (0:1)**

**გოლები:** 0:1 პერიკო (20), 1:1 ტჩიტე (36), 2:1 ტჩიტე (45), 3:1 მურილიო (58 ს.კ.), 4:1 სისკო (76)

**რასინგი:** კოლტორტი, პინილიოსი, ენრიკე, მორისი, სეპსი, ლასენი, კოლსა, მუნიტისი, გეიხო (74. სისკო), ტჩიტე (79. მორატონი), სერანო (51. ლ. გარსია).

მატჩის 21-ე წუთზე სეგუნდა დივიზიონის კლუბი **პერიკოს** გოლით დაწინაურდა - 1:0, ორი მატჩის ჯამში „სალამანკას" უპირატესობა უმწვრთნელო „რასინგზე" უკვე ორბურთიანი იყო, მაგრამ სტუმრებმა ვერ შეინარჩუნეს ეს უპირატესობა და განადგურდნენ. რამდენიმე დღის წინათ „რასინგში" **ხუან კარლოს მანდია** მოხსნეს, ახალი თავკაცი კი ჯერ არ დაუნიშნავთ. პირველივე ტაიმში დუბლი შეასრულა **მოჰამედ ტჩიტემ**, თუმცა ეს საკმარისი არ იყო საბოლოო წარმატებისთვის. მეორე ტაიმში „ვერდიბლანკოსს" სტუმართა მცველი **ანდერ მურილიო** დაეხმარა, საკუთარ კარში ბურთი გაიტანა. „რასინგში" იჯარით მყოფმა ფორვარდმა **სისკომ** მე-4 გოლი გაიტანა, 77-ე წუთზე მორისის გაძევებამ ველარაფერი შეცვალა.

**მალიორკა-ვალიადოლიდი 1:0 (1:2)**

**გოლი:** 1:0 კეიტა (40)

**მალიორკა:** ლუქსი, ნუნიესი, კორალესი, მარიო, კასტრო, კეიტა, რუბენი, მატიონი, ვიქტორი (83. პეზოლანო), ალვარესი (72. მარტი), ბორხა (91. ტუნი).

**ვალიადოლიდი:** ფაბრისიო, ბარაგანი, ბარახა, არსო, პელე (62. რუბიო), ბორხა, ასიერი (46. სესმა), ფონტი (46. კოსტა), მარკიტოსი, მანუჩო, იური.

მე-40 წუთზე გამარჯვების გოლი გვინეელმა **ალჰასან კეიტამ** გაიტანა. სტუმრად გატანილი მეტი გოლის წყალობით ბრძოლას კეიტას გუნდი აგრძელებს. მეორე ტაიმში „მალიორკას" კიდევ ერთი გოლის გატანა მართებდა, მაგრამ **ხულიო ალვარესს ფაბრისიო აგოსტომ** პენალტი აუღო.

10 ნოემბრის კენჭისყრის შედეგად მერვედფინალში ერთმანეთს ხვდებიან: ალკორკონი-ბარსელონა; ატლეტიკო-სევილია; ვალენსია-ვილიარეალი; რაიო ვალეკანო-ერკულესი ან ალმერია; რასინგი-სელტა; უელვა-დეპორტივო; ოსასუნა-მალიორკა; მალაგა-ხეტაფე. 1/16 ფინალის გმირი „ალკორკონი" ახლა მეორე ესპანურ გრანდს შეეჭიდება, „ბარსელონას".

**ამბები**

## სანსი დაიჭირეს და გაუშვეს

ოთხშაბათს ესპანეთის დედაქალაქში პოლიციამ **ლორენსო სანსი** დააკავა. კაცი, რომელიც 1995-2000 წლებში „სამეფო კლუბს" ედგა სათავეში. „რეალის" ყოფილი პრეზიდენტი მადრიდის უბან რეტიროში გასულ დეკადაში ჩადენილი თაღლითობებისთვის დაიჭირეს - ამ ცნობას პოლიტიკური გაზეთი „ელ პაისი" ავრცელებს. დაკითხვის შემდეგ ლორენსო სანსი შინ გაუშვეს. საუბარია 2005 წელს 7,5 მილიონ ევროდ შეძენილ ხელოვნების ნიმუშებზე, იმ თანხით, რომლის დახმარებითაც სანსს იტალიური „პარმა" უნდა შეეძინა. იტალიელებთან ხელშეკრულება 2006 წლის იანვარში ჩაიშალა, სავარაუდოდ, ლორენსო სანსმა დაკარგა თანხის ნაწილი, რომელიც მან წინასწარ გადაიხადა. ლორენსო სანსი პირველად 2008 წელს შეამჩნიეს თაღლითობაში. „რეალის" ყოფილი პრეზიდენტი ფინანსურ სირთულეებს განიცდის, აპრილში მას კრედიტორებმა მარბელიის ვილა წაჰგვარეს.

## გვარდიოლა და ბავშვები

სანაკრებო პაუზის დაწყებასთან ერთად „ბარსელონაში" პრობლემებმა იჩინა თავი, **ხოსეპ გვარდიოლას** კინაღამ სამწვრთნელო პროცესი ჩაეშალა - გუნდში მხოლოდ 7 ფეხბურთელი დარჩა, აქედან ორი გოლკიპერი (**ვალდესი, პინტო, მაქსველი, მარკესი, მილიტო, პედრო და კრკიჩი**). „ბლაუგრანას" თავკაცმა სასწრაფოდ ექვსი ფეხბურთელით შეავსო გუნდი, ბ გუნდიდან დაიმატეს: **ვიქტორ ესპასანდინი, მარკ ბარტრა, მარტინ მონტოია, ორიოლ რომეუ, ჟონათან დოს სანტოსი და ნოლიტო.**

ანალოგიური მიზეზით **მანუელ პელეგრინიმ** „რეალის" ვარჯიშს ბ გუნდის ორი წევრი დაამატა, **ადამ სალაი და ლუის ერნანდესი.**

## ესპანეთის ნაკრების ახალი მაისურა

ესპანეთის ნაკრებმა და მისმა სპონსორმა „ადიდასმა" გარისკეს და ნახევარ წელიწადში მეორედ შეუცვალეს დიზაინი ეროვნული ნაკრების საშინაო ფორმას. რისკი ვახსენეთ და... საქმე იმაშია, რომ ესპანეთში ეკონომიკური დაღმასვლაა, ამიტომაც ეჭვობენ, რომ მაისურები სარფიანად გასაღდება. ევროპის ჩემპიონები ამ მაისურებით მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე იასპარეზებენ. ახალი მაისური ძალზე წააგავს 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ესპანეთის ნაკრების მაისურს, ყვითელი ზოლები შეცვლილია ოქროსფრით. ამ მაისურებით ესპანეთის ნაკრები უკვე შაბათს წარდგება არგენტინის ნაკრების წინააღმდეგ. მაისურის ფასი 65 ევრო იქნება.

## პელეგრინის ბედი ელ კლასიკოს ხელშია

ესპანური პრესა არ ეშვება „რეალის" ჩილელ თავკაც **მანუელ პელეგრინის.** მისი ხელმძღვანელობით „სამეფო კლუბი" უკვე გამოეთიშა (თანაც სამარცხვინოდ) „სამეფო თასს". პრესის ცნობით, პელეგრინის მოხსნიან თუკი „რეალი" ვერ შეძლებს „ელ კლასიკოზე" ღირსეულ თამაშს. 29 ნოემბერს მადრიდის „რეალი" „კამპ ნოუს" ეწვევა, თუკი ბარსელონაში შარშანდელი შედეგი (6:2) ან რამე მისი მსგავსი განმეორდება, გუნდის თვითმფრინავი უკან გზაზე ერთი მგზავრით შემსუბუქდება.

**აღიარება**



ლეო მესი ორ ლეგენდას შორის

# მესი ესპანეთის საუკეთესო ფეხბურთელია

„ბარსელონას" არგენტინელმა ვარსკვლავმა **ლიონელ მესიმ** „ტროფეო ალფრედო დი სტეფანო" მოიგო. ეს პრიზი გაზეთმა „მარკამ" დააწესა და მისი მფლობელი ესპანეთის (ჩემპიონატი, თასი, სუპერთასი) საუკეთესო ფეხბურთელი ხდება, რომელსაც საგანგებოდ შერჩეული ავტორიტეტული ჟიური ირჩევს. ლეგენდარული ფეხბურთელის სახელობის პრიზი მადრიდში ლეო მესიმ თავად **ალფრედო დი სტეფანოსგან** და... **დიეგო არმანდო მარადონასგან** მიიღო.

*„ძალიან ამაყი ვარ, რომ ახლა აქ ამ პრიზით ხელში ორი ლეგენდის გვერდით ვდგავარ. თვალებს არ ვუჯერებ დი სტეფანოს ტროფეი თავად დი სტეფანომ გადმომცა, ეს ჩემთვის უდიდესი პატივია"*, - განაცხადა კონკურსის გამარჯვებულმა მესიმ.

„მარკას" დირექტორმა **ედუარდო ინდამ** განაცხადა, რომ მესიმ ეს ტიტული ისევე მოიგო, როგორც „ბარსელონამ" ჩემპიონობა და თასი - უდიდესი უპირატესობით. ნომინანტთა შორის იყვნენ მესის თანაგუნდელები, **ჩავი ერნანდესი** და **ანდრეს ინიესტა**, ასევე ჩემპიონატის ბომბარდირი **დიეგო ფორლანი.** „მარკას" ჟიურიში თავად დი სტეფანო, **ხორხე ვალდანო, ანდონი სუბისარეტა, ფერნანდო იერო, ემილიო ბუტრაგენიო, ლუის არაგონესი, ლუის სუარესი, იოჰან კრუიფი** და **ზინედინ ზიდანი** იყვნენ. მეორე ადგილზე ინიესტა გავიდა, მესამეზე - ფორლანი.

ტროფეი შარშან დაარსდა და მისი პირველი მფლობელი „რეალის" კაპიტანი **რაულ გონსალეს ბლანკო** გახდა. მეორე ადგილზე **სერხიო აგუერო** გავიდა, მესამეზე - **იკერ კასილიასი.** როგორც ხედავთ, მოწინავე სამეული მთლიანად შეიცვალა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახალი ვარსკვლავი

# გალოპა მუნდიალსა და ინტერზე ფიქრობს


დანიელე გალოპა

მიმდინარე სეზონს შესანიშნავად ატარებს „პარმას" ნახევარმცველი **დანიელე გალოპა**. შემთხვევითი არ არის, რომ მისი თამაში **მარჩელო ლიპისაც** მოეწონა და ეროვნულ ნაკრებშიც იხმო. გალოპას ალმავლობის ხანა უდგას, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ მისით რამდენიმე ევროპული გრანდია დაინტერესებული. მათ შორის, ერთ-ერთი „ინტერი" გახლავთ და თანაც, საკმაოდ დიდია იმის შანსი, რომ მომავალი სეზონიდან გალოპამ „ნერაძურის" მაისურა მოირგოს. დიახ, აქ მხოლოდ ინტერესზე არაა ლაპარაკი, თუ პრესას დავუჯერებთ, წინასწარი შეთანხმება უკვე მიღწეულიც ყოფილა. ჟურნალისტთან საუბარში გალოპამ დიდი დრო სწორედ „ინტერზე" საუბარს დაუთმო:

„არ ვმალავ, „ინტერში" გადასვლასთან ძალიან ახლოს ვარ, მაგრამ ახლა ამაზე არ ვფიქრობ. ჯერ „პარმას" ფეხბურთელი ვარ და სწორედ „ჯალობლუში" ასპარეზობაზე ვარ კონცენტრირებული. მიმდინარე სეზონს შესანიშნავად ვატარებთ და შემთხვევით არ გვიკავია მოწინავე პოზიცია. სიმართლე გითხრათ, მიზნად სერია A-ში ადგილის შენარჩუნება დავისახეთ, მაგრამ დღეს ამბიციები მოძალებული გვაქვს. ალბათ ამაში ცუდი არაფერია, რადგან ვგრძნობთ, გაცილებით მაღალი ადგილის დაკავება შეგვიძლია, გვსურს ათეულში მოვხვდეთ და თუ ევროტურნირის საგზურსაც გამოვკარით ხელი, უკეთესი რა იქნება. არსებული რეალობიდან გამომდინარე, გულშემატკივრები სწორედ ამას ითხოვენ ჩვენგან და ვეცდებით მათი იმედები გავამართლოთ. ვგულშემატკივრობ თუ არა „ინტერს? - მესმის, საითაც მიგყავთ საუბარი. ვგულშემატკივრობ, მაგრამ არა იმიტომ, რომ შესაძლოა ამ გუნდში გადავიდე, უბრალოდ, ბავშვობიდან „ნერაძურის" ქომაგი ვარ. ისე კი ძალიან მომწონს ჟოზე მოურინიო და გამიხარდება, თუ მასთან მომინევს მუშაობა. როგორც ვიცი, თითოეულ ფეხბურთელთან ინდივიდუალური მიდგომა აქვს და მათთან საუბარს დიდ დროს უთმობს. ბოლო პერიოდში, ხშირად წერენ დავიდე სანტონის და მარიო ბალოტელის პრობლემების შესახებ. მოურინიო მათ იმიტომ სჯის, რომ პერსპექტიულები არიან და დიდი პოტენციალი აქვთ. უბრალოდ, ვარსკვლავური ავადმყოფობის სიმპტომებს ხედავს და ამას აქედანვე ებრძვის".

ბოლოს, გალოპამ ეროვნულ ნაკრებზეც ისაუბრა: „მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრება ჩემი ერთ-ერთი მთავარი ოცნება იყო, რომელიც რეალობას ემსგავსება. ვეცდები, შანსი გამოვიყენო და მარჩელო ლიპის იმედები ბოლომდე გავამართლო. მართალია, ამხანაგურ შეხვედრებში მომიწევს ასპარეზობა, მაგრამ ამას არ აქვს მნიშვნელობა - ნაკრებში თამაში ყოველთვის საპატიო და საპასუხისმგებლოა".

გალოპამ **სანტონი** ახსენა და ბარემ მასზეც ვთქვათ. საქმე იმაშია, რომ ბოლო დროს, **მოურინიო** დავიდეს აღარ სწყალობს. რამდენჯერმე სანტონი „ინტერის" სამატჩო განაცხადშიც ვერ მოხვდა, რაც ახალგაზრდა ფეხბურთელმა ძალიან განიცადა. ემოციები ვერც ჟურნალისტებთან დამალა და უკმაყოფილება საჯაროდ გამოხატა. ბუნებრივია, ამან კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობა მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის. პრესაში უკვე არაერთი სტატია გამოქვეყნდა იმის შესახებ, რომ სანტონი ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას სხვა გუნდში გააგრძელებს კარიერას. ამ საკითხზე გუშინ ფეხბურთელის პირადმა აგენტმა, **რენცო კონტრატომ** ილაპარაკა:

„სანტონი მსოფლიოს ჩემპიონატზე ოცნებობს და სურს, ეროვნული ნაკრების ღირსება სამხრეთაფრიკულ ფორუმზე დაიცვას. ამიტომ ძალიან განიცდის, როდესაც სასტარტო შემადგენლობაში ვერ ხვდება. ახალგაზრდაა და ხშირად ემოციებს ვერ იკავებს, უნდა გავუგოთ. თუმცა ის, რომ „ინტერიდან" წასვლას აპირებს, სრული აბსურდია. პირიქით, მისი გეგმები მხოლოდ „ნერაძურის" უკავშირდება. არაერთხელ უთქვამს ჩემთვის, რომ სურს „ინტერის" მალდინი გახდეს. ასე რომ, გუნდის გამოცვლაზე ლაპარაკი არასერიოზულია".

იტალიური პერსპექტივა


მაურო სარატე

# ლიპიმ სარატე მოინდომა

საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა გუშინ „კორიერე დელო სპორტმა". ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, ფედერკალჩომ იტალიის ეროვნულ ნაკრებში ასპარეზობა „ლაციოს" არგენტინელ თავდამსხმელს **მაურო სარატეს** შესთავაზა. აღნიშნული ცნობა ფეხბურთელის პირადი აგენტის კომენტარით გახლავთ გამყარებული, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

„დიახ, ასეა. დაახლოებით ორი თვის წინ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის დირექტორატის წარმომადგენელი დამიკავშირდა, რომლის გვარსაც ახლა ვერ ვიხსენებ. პირდაპირ მითხრა, რომ თუ მაუროს იტალიის ნაკრებში სურდა თამაში, მას უახლოეს შეხვედრაში გამოიძახებდნენ. როგორც ჩანს, ეს ამბავი მარჩელო ლიპისთან გახლდათ შეთანხმებული. ჩემს კლიენტს იტალიური პასპორტი აქვს, მისი მშობლები წარმოშობით აპენინელები არიან და დოკუმენტებიც უპრობლემოდ მიიღო. შესაბამისად, მისი გამოძახება ლიპის თავისუფლად შეუძლია. მეორე საქმეა, რამდენად სურს სარატეს „სკუადრა აძურაში" თამაში. ვესაუბრე მას და ვიცი, რა პოზიცია აქვს. „აძურას" მიმართ დიდი სიმპათიებით არის განმსჭვალული, მაგრამ უპირატესობას არგენტინის ეროვნულ ნაკრებს ანიჭებს. ჯერჯერობით მარადონას ზარს ელოდება და თუ ეს ლოდინი ამაო აღმოჩნდა, იტალიურ შეთავაზებაზე აუცილებლად დაფიქრდება. ისე კი ძალიან სასიამოვნოა, რომ მისით ლიპი დაინტერესდა, ზარი ფედერკალჩოდან სწორედ ამას მოასწავებს".

აქვე დავძენთ, რომ სარატეს არგენტინის ახალგაზრდულ ნაკრებში აქვს ერთი შეხვედრა ჩატარებული. ფიფას ახალი წესების თანახმად, ოლიმპიურ გუნდში თამაში ფეხბურთელს ეროვნული ნაკრების არჩევანში არ აბრკოლებს - შესაბამისად, მაუროს სრული უფლება აქვს, „სკუადრა აძურას" მაისურა მოირგოს.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# მილანი პეპეს უმიზნებს

საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა გუშინ იტალიურ მედიაში. როგორც ამბობენ, დიდია იმის შანსი, რომ ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას „მილანში" „უდინეზეს" შემტევი **სიმონე პეპე** გადავიდეს. სიმონე ფრიულელთა ერთ-ერთი ნამყვანი ფიგურაა და ეროვნულ ნაკრებშიც სტაბილურად ასპარეზობს. საგულისხმოა, რომ პეპე ფლანგზე თამაშობს და ხშირად გარემარბის ფუნქციებს ასრულებს. შემთხვევითი არ არის, რომ **ლეონარდო** მისით დაინტერესდა. როგორც იცით, ბრაზილიელი სპეციალისტი მიმდინარე სეზონში 4-3-3 ტაქტიკას იყენებს და გარემარბებით თამაშობს. ფლანგებზე **ალეშანდრე პატო** და **რონალდინიო** ირჯებიან, რომელთაც ალტერნატივა სჭირდებათ. „გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, მილანელები უდინელებს ექვსთვიან იჯარას შესთავაზებენ გამოსყიდვის პერსპექტივით. გამოქონილი ინფორმაციით, ასეთი პირობები ფრიულური კლუბის მესვეურთათვის მიუღებელია. უდინელები მხოლოდ იმ შემთხვევაში დაფიქრდებიან ნამყვანი ფეხბურთელის გაშვებაზე, თუ მილანელები სრულფასოვან ტრანსფერზე ჩამოაგდებენ სიტყვას. ვნახოთ, წესით, უახლოეს დღეებში ეს საკითხი უნდა დაიძრას.

„მილანზე" ვსაუბრობთ და ბარემ ვთქვათ, რომ გუნდის უკანასკნელი მიღწევებით კონკურენტებიც კი მოხიბლულნი არიან. **ივან კორდობა** რომ თურმე, სხვებზე მეტად „როსონერის" უფრთხის, უკვე გეცოდინებათ, ასევე ყოფილა **მასიმო მორატი**, ვინაც ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა:

„სიმართლე გითხრათ, „მილანის" თამაშის შემხედვარე გაკვირვებას ვერ ვმალავ. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ რევოლუციური საკადრო ცვლილებების გარეშე გუნდი ასე ათამაშდებოდა. თითქოს ახალი ენერგია შეემატათ, რაც ალბათ მწვრთნელის დამსახურებაა. საერთოდ, ძალიან მიხარია, რომ ლეონარდომ მძიმე პერიოდი დასძლია და გუნდი პროგრესის გზაზე დააყენა. კარგად ვიცნობ მას, შესანიშნავი ადამიანია და წარმატებებს ვუსურვებ. ვფიქრობ, „მილანი" ღირსეულ კონკურენციას გაგვიწევს".


სიმონე პეპეს დიდი კლუბის პერსპექტივა აქვს

# ამაური ჯერ კიდევ ბრაზილიელია

**კარვალიო ამაურის** ჯერაც არ აუღია იტალიური პასპორტი, არადა, წესით, ეს საკითხი სექტემბერში უნდა გადაწყვეტილიყო, თანაც დადებითად. კარვალიოს დღემდე მხოლოდ ბრაზილიური დოკუმენტები აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი გამოძახება **მარჩელო ლიპის** კვლავ არ შეუძლია. ამ საკითხთან დაკავშირებით ამაურის კომენტარი მეტად ბუნდოვანია, სამაგიეროდ კლუბში არსებულ მდგომარეობაზე ილაპარაკა გარკვევით და დალაგებულად:

„პასპორტი ჯერაც არ ამიღია და არ ვიცი, ეს დღე როდის დადგება. არის გარკვეული პრობლემები, რომელთა მოგვარებაა საჭირო. ვერ მოვიცალე, თორემ ეს საკითხები უკვე გარკვეული იქნებოდა. იტალიის ნაკრებში თამაშის პერსპექტივა მხიბლავს, მაგრამ არც იმას გამოვრიცხავ, რომ კარლოს დუნგამ გამომიძახოს".

როგორც ჩანს, ამაურის ინფორმაცია მიაწოდეს, რომ შესაძლოა უახლოეს მომავალში ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებში იხმონ. გამომდინარე აქედან, არ არის გამორიცხული, რომ პასპორტის აღების პროცესი თავად შეაფერხა. რაც შეეხება „იუვენტუსს" და მის საჩემპიონო შანსებს, ამაურის შემდეგი პოზიცია აქვს:


კარვალიო ამაური

„ჩვენი მთავარი პრომლება არასტაბილურობაა და ამიტომ არის, რომ ლიდერს მთელი ხუთი ქულით ჩამოვრჩებით. თუმცა ეს არ გვაშინებს, ვგრძნობთ ძალას და გვჯერა, რომ სკუდეტოს სწორედ ჩვენ მოვიპოვებთ. „ინტერი" შესანიშნავი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია, მაგრამ ნაკლები მოთამაშეები არც ჩვენ გვყავს - მთავარი ისევ და ისევ სტაბილურობაა, რასაც აუცილებლად მივაღწევთ".

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

რობერტ ენკეს ტრაგედია

# დეპრესია ბარსელონაში დაიწყო

## ენკეს გული ყველაზე მეტად ფენერბაჰჩეს ფანებმა ატკინეს

გუშინ, რობერტ ენკეს პანაშვიდს ათასობით ადამიანი დაესწრო. ჰანოვერის ერთ-ერთ უდიდეს ტაძარში მეგობრები, ნათესავები, თანაგუნდელები და, უბრალოდ, გულშემატკივრები „ჰანოვერისა“ და გერმანიის ნაკრების კარის დარაჯს ეთხოვებოდნენ. პოლიციის ინფორმაციით, ქალაქში მსვლელობა 35 000-მა ადამიანმა მოაწყო.

*„რობერტის გარდაცვალება გვიჩვენებს, რომ ამ ცხოვრებაში ფეხბურთი ყველაფერი არ არის. ჩვენ ყველანი ვრწმუნდებით იმაში, რომ პოპულარობისა და წარმატების უკან შეიძლება იმალებოდეს ადამიანი, რომელიც თავს მარტოდ, მიტოვებულად გრძნობს და მუდმივად შიშის ქვეშ იმყოფება. ტანჯვა და სისუსტე ჩვენი ცხოვრების ნაწილია. ამისათვის სტვენა და შეურაცხყოფა არ შეიძლება. პირიქით, ჩვენ ნუგეში უნდა ვცეთ ადამიანებს, რომლებიც ამას საჭიროებენ,* - განაცხადა პასტორმა მარგოტ კესმანმა და იქვე დასძინა, - *რობერტ ენკეს არ სურდა, რომ მის გზას გაჰყოლოდნენ. მას უყვარდა სიცოცხლე.“* პასტორმა ჰაინრიხ პლოხგმა კი ათასობით ჭირისუფალს წარუდგინა ხელთათმანები, რომლებიც მას რობერტ ენკემ ერთ-ერთი თამაშის შემდეგ აჩუქა.

არავინ იცოდა და სანამ რობერტ ენკემ ცხოვრება თვითმკვლელობით არ დაასრულა, ვერც ვერავინ გაიგო ის, რომ რობერტს დეპრესია ჯერ კიდევ 6 წლის წინ დაეწყო და რომ ამის გამო, თვეების განმავლობაში თითქმის ყოველდღე სტუმრობდა ფსიქოლოგ **ვალენტინ მარკზერს**. *„რობერტი ჩემთან პირველად 2003 წელს მოვიდა. მას დეპრესია ჰქონდა იმის გამო, რომ „ბარსელონასა“ და „ფენერბაჰჩეში“ იმედები ვერ გაამართლა. მას ეშინოდა, რომ მეკარის რანგში წარმატებას ველარასოდეს მიაღწევდა. მე მას თვეების განმავლობაში ვმკურნალობდი,“* - ამბობს დოქტორი მარკზერი. მისივე თქმით, ენკეს მდგომარეობა 2004 წლის დასაწყისში სტაბილური გახდა, რის შემდეგაც მას ექიმის დახმარება აღარ დასჭირვებია – ამ დროს რობერტი უკვე „ჰანოვერში“ თამაშობდა და საკმაოდ კარგადაც.

იქით უკვე აღარაფერია. რობერტიც მოხვდა მისთვის საოცნებო გუნდში, რომელსაც იმხანად **ლუის ვან გაალი** წვრთნიდა. სწორედ ვან გაალმა წარუდგინა ენკე კატალონიურ პუბლიკას.

...და მერე მოხდა პირველი კატასტროფა ენკეს ცხოვრებაში: „ბარსელონას“ მაისურით ჩატარებულ პირველივე ოფიციალურ შეხვედრაში ენკემ ძალიან ცუდად ითამაშა. ეს იყო სათასო შეხვედრა მესამე ლიგის წარმომადგენელ „ნოველდასთან“, რომელიც „ბარსამ“ 2:3 წააგო – ენკემ იმ თამაშში 2 უპატიებელი შეცდომა დაუშვა. როგორც ჩანს, სადებიუტო მატჩში ენკე ძალიან ნერვიულობდა. მოკლედ, ახალწვეული ენკე სადებიუტო მატჩშივე განტევების ვაცად იქცა. „ბარსას“ კაპიტანი **ფრანკ დე ბური** ინტერვიუებში პირდაპირ ამბობდა, ენკეს სამარცხვინო შეცდომების გამო დავმარცხდითო. რა გასაკვირია, რომ მას მერე რობერტს „ბარსელონაში“ აღარ უთამაშია...

ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ენკემ „ცხოვრების მუქი მხარეც“ გაიცნო და თავის თავზე გამოცადა ფეხბურთის სიმკაცრე. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა რობერტი საჯაროდ გააკრიტიკეს და სწორედ მაშინ შეეპარა საკუთარ თავში ეჭვი. ერთი წლის შემდეგ ენკე განაცხადშიც კი აღარ შეჰყავდათ. მეტიც: ის მოსამზადებელ შეკრებაზეც კი არ წაიყვანეს. სწორედ მაშინ დაეწყო მას პირველი დეპრესია




ხელმძღვანელებს კატეგორიული მოთხოვნით მიმართა, კონტრაქტი გაეწყვიტათ.

კრისტოფ დაუმი: *„ფენერში“ სულ რაღაც ორი კვირის გადმოსული იყო, როცა ჩემთან მოვიდა და საიდუმლო გამანდო. რობერტმა მითხრა, რომ დეპრესია ჰქონდა და სპეციალურ აბებს სვამდა. მე მას ვუთხარი, ყველანაირად მხარში ამოგიდგები, რადგან შენს შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ-მეთქი.“* სწორედ დაუმმა ურჩია ენკეს, მიემართა დოქტორ ვალენტინ მარკზერისთვის, რომელთანაც რობერტი რამდენიმე თვის განმავლობაში მკურნალობდა.

დაუმი: *„იმ მატჩის შემდეგ, როცა მას ფანებმა სხვადასხვა საგანი დაუშინეს, ვუთხარი, შესანიშნავი მეკარე ხარ და ძალიან გთხოვ, გულშემატკივრების გამოხდომებს ყურადღებას ნუ მიაქცევ, მათ უბრალოდ ის არ სიამოვნებთ, რომ რუშთუ რექბერის კონკურენტი ხარ-მეთქი. ვთხოვე, ნაჩქარევი გადაწყვეტილება არ მიეღო და ჩვენთან დარჩენილიყო, მაგრამ „ფენერიდან“ წასვლა მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი. მაშინ რობერტმა ისეთი რამ მითხრა, რასაც არასდროს გავთქვამ. მე მას შევპირდი, რომ ეს ჩვენი საიდუმლო იქნებოდა. სიმართლე გითხრათ, დარწმუნებული ვიყავი, კარიერას ნაადრევად დაასრულებდა და ძალიან გამიკვირდა, „ტრენერიფეში“ რომ აღმოჩნდა.*






მაინც რა მოხდა 2003 წელს ისეთი, რამაც ენკეს ცხოვრება ასე დრამატულად შეცვალა? 2001 წელს რობერტი მიონხენგლადბახის „ბორუსიის“ კარს იცავდა, ძალიან ახალგაზრდა იყო და მალე გახდა მიონხენგლადბახელი გულშემატკივრების ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელი. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგად თამაშობდა, მაინც ვერ შეძლო „გლადბახის“ გადარჩენა – გუნდი მეორე ბუნდესლიგაში გავარდა, რის შემდეგაც ენკემ ლისაბონის „ბენფიკას“ მიაშურა. რობერტმა პორტუგალიაში იმდენი მოახერხა, რომ გუნდის კაპიტნად დანიშნეს! „ბენფიკაში“ ენკე უაღრესად პოპულარული იყო, ლისაბონელ ქომაგებს ის ძალიან უყვარდათ.

შესაბამისი გახლდათ მისი მომდევნო ნაბიჯიც: 2002 წელს ნიჭიერი რობერტ ენკე „ბარსელონამ“ შეიძინა. „ბარსა“ იდეალური კლუბია იმისათვის, რომ შესაძლებლობები წარმოაჩინო, „ბარსას“ და შიში, რომ მეკარის რანგში წარმატებას ველარასოდეს მიაღწევდა.

ენკეს გერმანელმა მწვრთნელმა **კრისტოფ დაუმმა** „უშველა“. ეს უკანასკნელი იმხანად „ფენერბაჰჩეს“ თავკაცი გახლდათ და მან რობერტი თურქეთში წაიყვანა (არენდით), მაგრამ რობერტმა ვერც თურქულ კლუბში შეძლო თავის გამოჩენა. პირიქით, „ფენერში“ მისი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ერთ-ერთი სათასო მატჩის შემდეგ, რომელიც „ფენერბაჰჩემ“ „ისტანბულსპორთან“ 0:3 წააგო, თურქმა გულშემატკივრებმა, საკუთარი გუნდის ფანებმა, მას სანთებლები და ბოთლები დაუშინეს. სტადიონი ენკეს აგინებდა, თურქები ვერ ეგუებოდნენ იმ ფაქტს, რომ რობერტმა მათთვის პატივსაცემი და საყვარელი მეკარე **რუშთუ რექბერი** ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო. ამ თამაშის შემდეგ ენკემ კლუბის

*მერე კი „ჰანოვერში“ ამოყო თავი, სადაც უკვე ბედნიერი იყო. მეც მიხაროდა, რომ ენკე დაბრუნდა და თავს კარგად გრძნობდა.“*

კრისტოფი მოითხოვს, რომ ფეხბურთში დეპრესია ტაბუდადებული თემა აღარ იყოს. *„დეპრესია თავის ტკივილი არ არის, ეს ძალიან სახიფათო ავადმყოფობაა. როცა ვინმე იტყვის, დეპრესია მაქვსო, მაშინვე ამბობენ ხოლმე, რა სუსტიაო. არადა, პირიქით, დეპრესია მხოლოდ ძლიერებს ემართებათ,“* - ამბობს დაუმი.

„ჰანოვერში“ ენკემ თავისი შესაძლებლობებიც გამოავლინა და გერმანიის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეც გახდა, მაგრამ მერე ისევ დაუბრუნდა დეპრესია, რამაც სავალალო შედეგამდე, თვითმკვლელობამდე მიიყვანა. რობერტ ენკეს დაკრძალავენ...

**გოტფრიდ ლენცი**



მოსაზრება



დავიდ ნგოგი

# გამოსავალი თუ დემაგოგია?

„ლივერპულის" ფრანგი თავდამსხმელი **დავიდ ნგოგი**, რომელმაც ორშაბათს, „ბირმინგემთან" შეხვედრაში, ტყუილი პენალტი „მოინადირა" და შესაძლოა ამით მსოფლიო თუ არა, ინგლისური ფეხბურთი წესების დახვეწის წინაშეც კი დააყენა, ამბობს, რომ ცხოვრებაში რთული პერიოდების გადატანას დაჩვეულია. ახალგაზრდა, რომელიც იმ დღის მერე ინგლისურ პრესა-ტელევიზიას ყბად ჰყავს აღებული, ამბობს:

*„თავს გასაჭირი რომ გატყდება, ადამიანი მაშინ უფრო მეტს სწავლობ საკუთარი ნებისყოფის შესახებ, ვიდრე კარგ პერიოდებში".*

შეგახსენებთ, რომ ნგოგმა ამ სეზონში ოთხი გოლი გაიტანა, რაც ფეხბურთელისთვის, რომელიც ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი არ გახლავთ, ურიგო შედეგი არ უნდა იყოს, მაგრამ ის თავისი გუნდის თამაშით უკმაყოფილოა. ნგოგი განაგრძობს:

*„თუ ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში სირთულეებს გაუმკლავდები, როგორც პიროვნება გაძლიერდები და მომავალში კიდევ უფრო მტკიცედ იმოქმედებ. მახსოვს, „პარი სენ ჟერმენში" რომ ვთამაშობდი და გუნდი ლიგიდან ვარდებოდა, გარს უამრავი არასაფეხბურთო დაბრკოლება გვერტყა. ჩვენ ვცდილობდით მათ გავმკლავებოდით. ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ ფეხბურთელის პროფესიამ ბევრერ წნეხში გამატარა და გამოცდილებაც შემძინა. თან, არცთუ ასაკოვანი ვარ. 20 წლისა გახლავართ, ოცდაერთის აპრილში გავხდები, ასე რომ, ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს სასწავლი. საამისოდ დროც საკმარისად მაქვს. რაფა ბენიტესზე უკეთეს მასწავლებელს და ფერნანდო ტორესზე უკეთეს მეწყვილეს კი სად ვიშოვი?*

*რაც შეეხება წარუმატებლობებს. „ლივერპული" ის გუნდია, რომელიც უნდა იმარჯვებდეს, ასე რომ ის, რაც ამ სეზონში ჩვენს თავს ხდება, ყოვლად დაუშვებელია. როდესაც მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს კლუბს წარმოადგენ, საკუთარი თავის რწმენა არ უნდა დაკარგო".*

არადა, როგორ გინდა ოპტიმიზმი შეინარჩუნო, როდესაც ტრავმებით ისედაც დატანჯულ „ლივერპულს" კიდევ ორი დაშავებული დაემატა - **იოსი ბენაიუნი** და **ალბერტ რიერა**. თან, ექიმები არ გამორიცხავენ, რომ ისინი ბენიტესს ოთხი კვირით გამოაკლდებიან.

ამასობაში კი, როგორც ჩანს, ინგლისში სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება საფეხბურთო თაღლითობასთან ბრძოლის ის ხერხი, რომლის შესახებაც თავდაპირველად ფიფას ყოფილმა არბიტრმა **გრემ პოლმა** ილაპარაკა, ოღონდ პოლი მხოლოდ ეგრეთ წოდებულ „ყვინთვას" შეეხო. მისი მოსაზრება „ლელოს" მკითხველს, რომელიც მან, თავის მხრივ, გერმანელი კოლეგებისგან ისესხა, გუშინ გავაცანით. ახლა კი გვინდა „ტოტენჰემის" მწვრთნელისა და იმავდროულად საგაზეთო მესვეტის, **ჰარი რედნაპის** აზრები გაგაცნოთ.

*„ამბობენ, ტელეკამერა არასოდეს ტყუისო. თუ ასეა, დროა შევიტყოთ, ფეხბურთელები როგორღა იქცევიან, ისინიც კამერებს გვანან თუ ტყუილის თქმა მათთვის ჩვეულებრივი საქმეა, -* წერდა რედნაპი გუშინდელ „სანში", *- ბოლო დროს ჩვენ ხშირად ვხვდებით მოწმენი იმისა, თუ როგორ აფიქსირებს კამერა იმ დარღვევებს, რომლებიც მატჩის მსვლელობისას მსაჯმა ვერ შეამჩნია. ხდება პირიქითაც, კამერა ამტკიცებს, რომ არბიტრმა მცდარი გადაწყვეტილება მიიღო. ერთი სიტყვით, კამერის ფაქტორმა ახალი მოსაზრება გააჩინა: მატჩის მსვლელობისას, რატომ არ ვკითხოთ თავად ფეხბურთელებს, ამა თუ იმ სადავო ეპიზოდში დამნაშავენი არიან თუ არა? ეს ძალიან მარტივი, ალალი და არც ისე გიჟური იდეაა, როგორც ზოგიერთს შეიძლება მოეჩვენოს. და აქ მარტო „ყვინთვას" არ ვგულისხმობ. ის ყველა ტიპის სადავო ეპიზოდს მიესადაგება. მაგალითად, გავიდა გოლი, ოღონდ გაჩნდა ეჭვი, რომ იგი ფეხბურთელმა ხელით შეაგდო. მოდი, ვკითხოთ უშუალოდ მას. თუ იტყვის, რომ გოლი ხელით გაიტანა, დავნიშნოთ ჯარიმა საპირისპირო მიმართულებით (სიმართლის მთქმელს კი ყვითელი ბარათი არ ვაჩვენოთ), ხოლო თუ ის იტყვის, რომ წესი არ დაურღვევია, ტელეგამეორებაზე კი მოგვიანებით გამოჩნდება, რომ იცრუა, დავსაჯოთ ხუთთამაშიანი დისკვალიფიკაციით და არანაირი თავის მართლების თუ აპელაციის საშუალება არ მივცეთ. მახსოვს, რამდენიმე წლის წინ მსაჯმა რობი ფაულერის წაქცევისთვის პენალტი დანიშნა, ფაულერმა კი გადაათქმევინა, მეტოქეს წესი არ დაურღვევიაო. რა აჯობებს, მომავალში ყველა ფეხბურთელი ფაულერივით თუ მოიქცევა"?*

გულისტკივილი

# ნანიმ ცეცხლთან გაითამაშა

პორტუგალიელი **ნანი** ცეცხლს გაეთამაშა. როგორ გაგრძელდება ამიერიდან მისი კარიერა „მანჩესტერ იუნაიტედში", კაცმა არ იცის. რატომ? იმიტომ, რომ მან, არც მეტი არც ნაკლები, სერ **ალექს ფერგიუსონის** სამწვრთნელო მეთოდებზე გაბედა აუგის თქმა.



დაატყდება ნანის (მარცხნივ) ფერგიუსონის რისხვა?

ეს გამაოგნებელი ინტერვიუ, ნანიმ „I"-ს მისცა - პორტუგალიური გაზეთია ასეთი. ინგლისში „იუნაიტედის" ფეხბურთელისგან ასეთ სითამამეს არავინ ელოდა, თუმცა ფიქრობენ, რომ 23 წლის ფეხბურთელის მოსაზრებები ყველაზე მეტად ფერგიუსონს გააოცებს და... ალბათ, განარისხებს კიდეც. ბრიტანეთში წერენ, რომ ფეხბურთელი, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედში" თამაშის წლებში თანამემამულის, **კრისტიანო რონალდოს** ჩრდილიდან ვერ გამოვიდა ამ თამამი ინტერვიუს შემდეგ, სავარაუდოდ, რონალდოს გზას დაადგება - ყოველ შემთხვევაში, მანჩესტერის აეროპორტამდე.

მაინც რა თქვა ასეთი ნანიმ? მან დაიჩივლა, რომ ფერგიუსონმა თავისი ღრიალითა და სიმკაცრით შემოქმედებითი ნაპერწკალი ჩაუქრო, უსახურ ფეხბურთელად აქცია. კიდევ, თქვა, რომ მწვრთნელი მას ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ათამაშებს, რაც მისთვის დამთრგუნველი გამოდგა, დაპირებებისა კი აღარ სწამს. ნანიმ განაცხადა, რომ ფერგიუსონისეულმა სელექციამ იგი ჩიხში მოაქცია, საკუთარი თავის რწმენა დააკარგვინა, მაგრამ ისიც დასძინა, რომ „მანჩესტერიდან" წასვლას არ აპირებს და ამ ინტერვიუს შემდეგ სერ ალექსის რეაქცია აინტერესებს.

*„ფერგიუსონი ძალიან რთული ხასიათის ადამიანია. მასთან ურთიერთობა ძნელია. თუ ყველაფერი კარგად მიდის, გარშემო ყველას ნორმალურად ექცევა, მაგრამ საკმარისია საქმეები აირიოს, რომ მის სიახლოვეს გაჩერება ძნელი ხდება. სულ რაღაც ერთი ან ორი წუთის სხვაობით მას შეუძლია ჯერ კომპლიმენტები დაგაყაროს, შემდეგ კი ისე გეჩხუბოს, მიწასთან გაგასწოროს. ასეთი რამ საკუთარ თავზე თუ მინვნევია? ღმერთო ჩემო, რასაკვირველია. მას ნებისმიერ წამს შეუძლია ღრიალი მორთოს: ნანი, ესა და ეს მომენტი როგორ ვერ გამოიყენე!"*

თუმცა, პორტუგალიელს, რომელიც აქამდე თავის მანჩესტერულ კარიერას თვალის, ჩინივით უფრთხილდებოდა, თავი იმით შეუძლია დაიმშვიდოს, რომ ასეთსავე დღეში ფერგი უკლებლივ ყველა მანჩესტერელს აგდებს, თვით ლეგენდებიც კი. მაგალითად, **რაიან გიგზსა** და **გარი ნევილს**. როგორი სანახავია? დიდის თუ პატარას წინაშე დგას ამხელა დამსახურებებისა და ასაკის კაცი, რაიან გიგზი და მას ტუქსავენ.

ნანი: *„ის ფეხბურთელებს ყველას თანდასწრებით უყვირის. მისთვის ყველა ერთია. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ამას არ აკადრებს. რომ იცოდეთ, გიგზსა და ნევილს სხვებზე მეტი ხვდებათ, რადგან ყველაზე გამოცდილები ისინი არიან და შესაბამისად, ყველაზე მეტს მათგან ითხოვს".*

ბრიტანელ მიმომხილველებს პორტუგალიელის ამ ინტერვიუს წაკითხვისთანავე გაახსენდათ, რომ აქამდე, ფერგიუსონი გუნდიდან უშვებდა ყველას, ვინც მის წინააღმდეგ რაიმეს თქმას საჯაროდ გაბედავდა. მაგალითისთვის შეგვიძლია ჰოლანდიელი მცველის **იაპ სტამის** ამბავი გავიხსენოთ. 2001 წელს, მან ავტობიოგრაფიული წიგნი გამოსცა, რომელშიც რამდენიმე სკანდალური თუ სკანდალურის მაგვარი ამბავი შეიტანა და სერ ალექსმა იგი დაუყოვნებლივ მიჰყიდა რომის „ლაციოს". მაშინ რომაელებმა სტამში 16,5 მილიონი ფუნტი გადაიხადეს. ამ ამბიდან ორ წელიწადში ფერგიუსონთან გაზეთებში გასული კონფლიქტის გამო უკვე **დევიდ ბექჰემს** მოუხდა „რეალში" გადაბარგება, ხოლო 2005 წელს კაპიტანი **როი კინი** წავიდა „სელტიკში", ხოლო ამ ამბიდან ნახევარ წელიწადში საერთოდ დაანება ფეხბურთის თამაშს თავი. მიზეზი: მანაც მწვრთნელის კრიტიკა გაბედა.

თუმცა, დავუბრუნდეთ ნანის. გასულ ზაფხულს, როდესაც „იუნაიტედმა" 80 მილიონი ფუნტის სანაცვლოდ რონალდო „რეალს" მიჰყიდა, ყველას ეგონა, რომ ფერგიუსონი ძველ დანაპირებს ალასრულებდა და თანამემამულის მიერ დატოვებული სიცარიელის შესავსებად ნანის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად აქცევდა. ბოლოს და ბოლოს, ამ ფეხბურთელში 2007 წელს 16 მილიონი ფუნტია გადახდილი და წესით, დანახარჯს ამოღება სჭირდება.

ნანი: *„ვიცი, ხალხი ჩემგან მეტს ელოდა, ეს კი იოლი არ ყოფილა, მაგრამ, თავის მხრივ, არც გუნდი მიწყობს ხელს ისე, როგორც დამპირდა. რასაკვირველია, მეტი გოლი რომ გამქონდეს, უკეთესი იქნებოდა, თუმცა არის მეორე მხარეც: მე შთამბეჭდავად ხშირად ვთამაშობ, მაგრამ არც ასეთი მატჩების შემდეგ მაქვს გარანტია, რომ შემდეგ შეხვედრაში მოედანზე ვიქნები, ასეთი დამოკიდებულება კი საკუთარი თავის რწმენას არყევს.*

*ამ სეზონში მნიშვნელოვან მატჩებში „ტოტენჰემის", „ლივერპულის" და „მანჩესტერ სიტის" წინააღმდეგ სასტარტო შემადგენლობაში არ მათამაშეს. ამის გამო ნაწყენი ვარ, თუმცა გუნდიდან წასვლა მაინც არ მინდა".*

არადა, ნანიმ სეზონი ჩინებულად დაიწყო. 9 აგვისტოს, „უემბლიზე" „ქომუნითი შილდის" შეხვედრაში ანუ, ჩვენებურად, ინგლისის სუპერთასზე, „ჩელსის" გოლი მე-10 წუთზევე გაუტანა. ის თამაში, საბოლოოდ, 2:2 დასრულდა და პენალტებით „ჩელსიმ" მოიგო, მაგრამ ეს ნანის ათვალწუნებასთან რა კავშირში უნდა იყოს? არადა, ფაქტია: იმ დღის მერე პორტუგალიელი „იუნაიტედის" ძირითადში ხან არის, ხან არა. და კიდევ, ერთადერთი გოლი, რომელიც „ქომუნითი შილდის" შემდეგ ნანიმ შეაგდო, „უიგანის" კარში იყო, თუმცა იმ დღეს ამ კარში ვისაც არ ეზარებოდა ყველას გოლი გაჰქონდა - შეხვედრა ხომ 5:0 დასრულდა.



დიდიე დროგბა გაჭირვებულებისთვისაც ზრუნავს

ქველმოქმედება

# დროგბაზე ამას ვინ იფიქრებდა?!

## დიდიე დიდი გულის პატრონი ყოფილა

მრავლისმეტყველი ფაქტი ასეთია: „ჩელსის" აგრესიული, სრულიად გიჟმაჟი და დაუნდობელი იმიჯის მქონე თავდამსხმელი **დიდიე დროგბა** გახდა თუ არა „პეპსი კოლას" სახე, კონტრაქტით აღებული ფულიდან 3 მილიონი ბრიტანული ფუნტი სტერლინგი ანუ დაახლოებით 5 მილიონი ამერიკული დოლარი - და თუ ასე უფრო გასაგებია 3,2 მილიონი ევრო - საავადმყოფოს ასაშენებლად გაიღო! სხვათა შორის, ჩახლართული ხელშეკრულებები ისე იყო გაფორმებული, რომ ამის გასაკეთებლად დროგბას საგანგებო ნებართვა „ჩელსისგან" უნდა აეღო, მაგრამ ლონდონელთა კლუბის რუსმა მეპატრონემ **რომან აბრამოვიჩმა** ფორვარდს პრობლემა არ შეუქმნა და სამომავლო თანადგომასაც დაჰპირდა. ის კი არა, როგორც „დეილი მეილმა" შეიტყო, აბრამოვიჩი დროგბას სპონსორობის ნაცვლად, ამ თანხის უბრალოდ ჩუქების ვარიანტსაც კი სთავაზობდა.

სად უნდა აშენდეს ხსენებული საავადმყოფო? რასაკვირველია, არა ინგლისში, არამედ ფეხბურთელის მშობლიური კოტ დ'ივუარის ყოფილ დედაქალაქ აბიჯანში. „ლურჯთა" ფორვარდის ასეთი გულუხვი გადაწყვეტილება ბრიტანეთში ბევრს უკიდურესად გაუკვირდა. ეს ბუნებრივიცაა. მოგეხსენებათ, სტერეოტიპების მსხვრევა ძნელი საქმეა. ჩვეულებრივი მოქალაქისთვის რთულია იმის დაჯერება, რომ კაცი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის წინა გათამაშების ნახევარფინალში ნორვეგიელი არბიტრი **ტომ ჰენინგ ოვერბო** პენალტის არდანიშვნისთვის ლამის ცოცხლად შეჭამა, რომელიც ხშირად თაღლითობს, რათა მსაჯს პენალტი გამოსტყუოს და ზოგადადაც აგრესიული ადამიანის იმიჯი აქვს, უცბად, ასეთ სიკეთეს გამოავლენდა.

დროგბამ თავისი სახელობის ფონდი მშობლიურ აბიჯანში ჯერ კიდევ ორი წლის წინ დააფუძნა და მიზნად 2010 წლისთვის საავადმყოფოს აშენება დაისახა. დიდიეს ეს აზრი ძმაკაცის, **სტეფანის** გარდაცვალების შემდეგ გაუჩნდა - სტეფანს ლეიკემია სჭირდა. ხოლო, როდესაც აბიჯანის ფელიქს უფუებოინის სახელობის სტადიონზე მარტში მომხდარმა ჭყლეტამ 19 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, 132 კი დასახიჩრდა (ეს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის, კოტ დ'ივუარი-მალავის დაწყების წინ მოხდა), ფეხბურთელის მიერ საავადმყოფოს აშენების იდეა კიდევ უფრო აქტუალური გახდა.

სხვათა შორის, ნოემბრის ბოლოს ლონდონის „დორჩესტერ ოტელში" დროგბას ფონდი საქველმოქმედო ბალს აწყობს და მასზე მოსახვედრი ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ვერდიქტი

# ფერგიუსონი დასაჯეს!

**სერ ალექს ფერგიუსონი** 20 ათასი ფუნტითა და ოთხთამაშიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს, თუმცა ამ ოთხი თამაშიდან ორი პირობით გაუბათილეს. სხვა სიტყვებით, „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცი ინგლისის ჩემპიონს მოედნის კიდიდან ორ უახლოეს შეხვედრაში ვერ უხელმძღვანელებს, ხოლო თუ 2010/11 წლების სეზონის ბოლომდე კვლავ ცუდად მოიქცევა, ის გაბათილებული ორი თამაშიც „გაუცოცხლდება" და ლეგენდარული მწვრთნელი ავტომატურად დაისჯება. მაინც, რას ნიშნავს ცუდად მოქცევა? განა, რა დააშავა სერ ალექსმა ასეთი? „ლელოს" მკითხველს კარგად მოეხსენება, რაზეც არის ლაპარაკი: 3 ოქტომბერს, „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „სანდერლენდის" შეხვედრის შემდეგ, სერ ალექს ფერგიუსონმა არბიტრ **ალან უაილის** წინააღმდეგ გაილაშქრა. მან მსაჯი სასტიკად გააკრიტიკა და განაცხადა, რომ იგი ფიზიკურად ცუდად იყო მომზადებული.

სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარემ **პიტერ გრიფიტსმა** საქმის გარჩევის და ვერდიქტის გამოტანის შემდეგ განაცხადა: *„ჩვენი კომისიის თითოეულ წევრს კარგად ესმის სერ ალექსის დამსახურება და მისი წონა საფეხბურთო სამყაროში. ამასთან ერთად, ჩვენ შევეცადეთ მისთვის აგვეხსნა, რომ დამსახურება და წონა მას ერთიორად ავალდებულებს. კომისიამ განიხილა მისი კომენტარები და გამონათქვამები მისტერ ალან უაილის მსაჯობასთან დაკავშირებით და დაასკვნა, რომ ეს ფრაზები გახლდათ არა უბრალოდ უადგილო, არამედ წარმოუდგენლად უადგილო და, შეიძლება ითქვას, ულირსიც კი. მეორე მხრივ, ვერდიქტი, ალბათ, არ დააკმაყოფილებს იმ ადამიანებს, რომლებიც ფერგიუსონის დასჯას უეფას სტილში ითხოვდნენ. მათ უნდოდათ, ფერგიუსონისთვის საერთოდ სტადიონზე შესვლა აგვეკრძალა. ჩვენ ამაზე კატეგორიული უარი განვაცხადეთ. სერ ალექსს, რასაკვირველია, შეეძლება გუნდს მისცეს დავალება, ხოლო შეხვედრას ტრიბუნიდან ადევნოს თვალი. ეს სასჯელი დაუყოვნებლივ, მომდევნო ორ ტურში ამოქმედდება. იგი ეხება „მანჩესტერ იუნაიტედის" საშინაო მატჩს „ევერტონთან" და სტუმრობას „პორტსმუთთან".*

ახლა კი უფრო ზუსტად გავიხსენოთ, რა თქვა ფერგიუსონმა „სანდერლენდთან" 2:2-ის შემდეგ ალან უაილის შესახებ. „იუნაიტედის" მწვრთნელმა ბრძანა:

*„მსაჯმა იმედი გამიცრუა. თითოეული ფეხბურთელის გაფრთხილებას ის ნახევარ წუთს ანდომებდა, ხოლო გოლების ზეიმზე დახარჯული დრო შეხვედრას აღარ დაამატა. ამის მიზეზი მარტივი იყო, იგი ასეთი დონის შეხვედრისთვის ფიზიკურად არ გახლდათ მზად. შეხედეთ უცხოელ მსაჯებს, ისინი ყასბის ძაღლებივით დარბიან, უაილი კი, როგორც გითხარით, თითოეულ ფეხბურთელს 30 წამის განმავლობაში ფრთხილებდა და თან ისვენებდა. ის სასაცილო შესახედავი იყო".*

მოგეხსენებათ, ფერგიუსონის ამ გამოსვლამ უაილი ძალიან დათრგუნა და ერთი ხანობა მან მსაჯობისთვის თავის დანებებაც კი გადაწყვიტა, თუმცა არბიტრს მხარი ფართო საზოგადოებამ დაუჭირა. სპეციალური ტექნიკური აღჭურვილობით შედგენილ დიაგრამაზე გამოჩნდა, რომ ფერგიუსონი ცდებოდა ანუ უაილი ფიზიკურად სრულიად დამაკმაყოფილებელ ფორმაში იყო. შედეგად, „იუნაიტედის" მწვრთნელს მსაჯისთვის ოფიციალური ბოდიშის გაგზავნამაც მოუწია, მაგრამ ამან სასჯელისგან ვერ იხსნა.

**ილია ბაბუნაშვილი**



სერ ალექსი ძალიან გაცხარდა

ავარია

# კუდიჩინი გადარჩა

„ტოტენჰემ ჰოთსპურის" მეკარე **კარლო კუდიჩინი** ავარიაში მოყვა. ის თავის BMW-ს მარკის მოტოციკლზე იჯდა, რომლითაც „ფიესტას" დაეჯახა. იტალიელ გოლკიპერს ორივე მაჯა და თეძო აქვს გატეხილი. ეს ინციდენტი ლონდონის სამხრეთით უოლტემსტოუში დილის თერთმეტის ნახევარზე მოხდა. მეკარე სასწრაფოდ გააქანეს საავადმყოფოში. აღსანიშნავია, რომ შემთხვევის ადგილზე სასწრაფო დახმარების ვერტმფრენიც კი მიფრინდა, მაგრამ ეს უკანასკნელი საბოლოოდ საჭირო აღარ გახდა. „ფიესტაში" საჭესთან ქალი იჯდა. მასთან ერთად მანქანაში ბავშვიც იმყოფებოდა. არც ერთ მათგანს სამედიცინო დახმარება არ დასჭირვებია.

ავარიის შემდეგ 36 წლის კუდიჩინი გზაზე ეგდო. გარშემო ხალხი შეიკრიბა, რომელთაგან ერთ-ერთმა „ჩელსის" ყოფილი მეკარე იცნო.

**ილია ბაბუნაშვილი**



შემთხვევის ადგილი

ინტერვიუ

ლუსიო



ლუსიოს კარიერის დასრულება ბაიერნში უნდოდა...

# მიუნხენში არ დამაფასეს... ჰოდა, მეც წავედი!

## ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი ინტერში ბედნიერია

**ამას წინათ, „ბაიერნის" პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა თქვა, ლუსიოს გაყიდვა დიდი შეცდომა იყოო, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრი უკვე გვიანია, რადგან 31 წლის ბრაზილიელი მცველი მილანის „ინტერის" ღირსებას იცავს. არადა, ლუსიომ მიუნხენურ გრანდში 5 წელი გაატარა და მასზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, აქტიურ სპორტულ კარიერას რეკორდმაისტერში სიამოვნებით დაამთავრებდა. მაგრამ „ბაიერნის" ახალმა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა მისი შენარჩუნება არ მოისურვა. გთავაზობთ ინტერვიუს ლუსიოსთან, რომელიც გერმანულმა „ბილდმა" გამოაქვეყნა.**

**- მიუნხენში 5 წარმატებული სეზონი გაატარეთ. „ბაიერნის" ქომაგების აბსოლუტური უმრავლესობა ფიქრობს, რომ მიუნხენიდან თქვენი წასვლა დიდი შეცდომა იყო. თვით ფრანც ბეკენბაუერსაც კი ძალიან ენატრებით...**

- ეს იმის ბრალია, რომ ხალხს კარგად ახსოვს, როგორ ვიბრძოდი „ბაიერნისთვის", რომ ამ გუნდისთვის თავი არასდროს დამიზოგავს და რომ რეკორდმაისტერთან ერთად უამრავი ტიტული მოვიგე.

**- გულშემატკივრებს მიაჩნიათ, რომ „ბაიერნს" ლუსიო არ უნდა გაეყიდა, ზოგიერთი კრიტიკოსი კი ფიქრობს, რომ ეს სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან თქვენ უკვე 31 წლის ხართ და თანაც, „ბაიერნთან" კონტრაქტი გიმთავრდებოდათ...**

- ყველანაირ მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება. ფაქტი ის არის, რომ როცა „ბაიერნის" ფორმა მეცვა, მოედანზე ყოველთვის ბოლომდე ვიბრძოდი და რაც შემეძლო, ყველაფერს ვაკეთებდი, რათა გუნდს წარმატებისთვის მიეღწია. მინდა ისიც ვთქვა, რომ „ბაიერნის" ფეხბურთელობა ძალიან ძნელია. მიუნხენში ფეხბურთელი უმძიმესი წნეხის ქვეშ ექცევა.

**- მოდი, გულახდილად ვისაუბროთ და გვითხარით თქვენი ვერსია: რატომ დატოვა ლუსიომ მიუნხენი?**

- ყველაფერი იმით დაიწყო, რომ კონფედერაციათა თასის გათამაშების დროს გავრცელდა არაერთი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ბაიერნს" აღარ ვჭირდებოდი. სწორედ მაშინ დავკარგე რეკორდმაისტერის მიმართ ის სიყვარული, რაც მანამდე მქონდა. კლუბის ხელმძღვანელები პირდაპირ აცხადებდნენ, ლუსიოს გაყიდვაზე სერიოზულად ვფიქრობთო. მაშინ მივხვდი, რომ ჩემი მიუნხენური ერა დასასრულს უახლოვდებოდა.

**- „ბაიერნის" შეფებს ასეთი რამ ოფიციალურად არ უთქვამთ...**

- ჰო, მაგრამ თუკი გავრცელებული ცნობები სიმართლეს არ შეესაბამებოდა, მაშინ შეფებს საჯაროდ უნდა ეთქვათ, რომ ეს სისულელე და სიცრუე იყო. სწორედ ასე იქცევიან ხოლმე ისინი ისეთ დროს, როცა რაიმე ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. ფაქტი ის არის, რომ „ბაიერნის" მიმართ ყოველთვის ლოიალური ვიყავი.

**- რეკორდმაისტერის ხელმძღვანელები ამბობენ, ვალდებულები სულაც არ ვართ, რომ ყველა ჭორს კომენტარი გავუკეთოთო...**

- მაშინ მე ასეთი კითხვა მაქვს: რატომ გამყიდეს ასე იოლად? არავის უცდია, დავერწმუნებინე იმაში, რომ უნდა დავრჩენილიყავი. თუ ეს ჭორები იყო, ული ჰიონესს ან კარლ-ჰაინც რუმენიგეს ხომ უნდა ეთქვათ, ძალიან გვჭირდები და არ გვინდა, რომ „ინტერში" გადახვიდეო...

**- როგორ ფიქრობთ, ლუსიო 8 მილიონ ევროზე მეტად არ ფასობს?**

- რთული სათქმელია. მე ამ კითხვაზე პასუხს ვერ გაგცემთ. ფაქტია, რომ „ბაიერნს" 8 მილიონად ჩემი გაყიდვა ულირდა.

**- ლუის ვან გაალის ხელში სიამოვნებით ითამაშებდით?**

- გაიხსენეთ თუნდაც ერთი მწვრთნელი, რომელთანაც პრობლემები მქონდა. აბსოლუტურად ყველა სპეციალისტს ვუგებდი და ყველა მიგებდა. ვფიქრობ, ვან გაალთანაც გამოვნახავდი საერთო ენას.

**- ლუის ვან გაალი საკუთარ თავს ღმერთს უწოდებს ხოლმე...**

- ასეთი განცხადებების გაკეთებისას ადამიანი ფრთხილად უნდა იყოს. ღმერთი გაცილებით ძლიერია, ვიდრე ისინი, ვინც საკუთარ თავს ღმერთს ადარებენ.

**- „ბაიერნის" მატჩებს თვალყურს თუ ადევნებთ?**

- იშვიათად, მაგრამ ვიცი, რომ მიუნხენური კლუბი კრიზისშია. თუმცა მე მაინც მგონია, რომ წელს ისევ „ბაიერნი" გახდება გერმანიის ჩემპიონი.

**- რეკორდმაისტერი მერვე ადგილზეა და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფიდან ვერ გადის. იმედებს ვერც ვან გაალი ამართლებს. როგორ ფიქრობთ, რატომაა ასეთი რთული „ბაიერნის" განვრთნა?**

- იმიტომ, რომ ეს გუნდი ტრანსფერებში ყოველთვის ბევრ ფულს ხარჯავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელმძღვანელები მწვრთნელს სასწრაფოდ შედეგს სთხოვენ. ჰო, „ბაიერნს" ყოველთვის საუკეთესო შემადგენლობა ჰყავს და ერთი შეხედვით, ასეთ გუნდში მუშაობა ნებისმიერი მწვრთნელისთვის ადვილი უნდა იყოს, მაგრამ ყველას როდი შეუძლია ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება. „ბაიერნისთვის" ოტმარ ჰიტცფელდი ზედგამოჭრილი მწვრთნელი იყო... ერთხელ, „ნიურნბერგში" წაგების შემდეგ ჰიტცფელდმა თავის კაბინეტში მიხმო. მან მშვიდად, მაგრამ საფუძვლიანად გამაკრიტიკა. ამის შემდეგ მოტივაცია მომემატა და უკეთ ავთამაშდი. ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტი ჩანს, მაგრამ დამერწმუნეთ, ასეთ დეტალებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ჰიტცფელდს ნებისმიერი ტიპის ფეხბურთელისგან მაქსიმუმის მიღება შეუძლია.

**- რატომ ვერ გაამართლა იურგენ კლინსმანმა?**

- წარმატებული სეზონის შემდეგ „ბაიერნს" მოტივაცია მოაკლდა. გეხსომებათ, კლინსმანამდე ჩვენ დუბლი გავახერხეთ, გავხდით გერმანიის ჩემპიონები და მოვიგეთ გერმანიის თასიც. იურგენი ძალიან ბევრს მუშაობდა, მაგრამ გადამწყვეტი ზომების მიღება არ შეეძლო. წაგებული მატჩების შემდეგ ახალს არაფერს იგონებდა.

**- „ინტერის" მწვრთნელ ჟოზე მოურინიოზე რას იტყვით?**

- ჟოზე ყველაზე მაგარი მოტივატორია იმ მწვრთნელებს შორის, რომლებიც ოდესმე მყოლია. მის ვარჯიშებში მონაწილეობა დიდი სიამოვნებაა, მაგრამ თუ გუნდი ცუდად ითამაშებს, მერე მოურინიოსთან ახლოს დგომას მტერსაც კი არ ვუსურვებ. „ინტერში" ყველაზე მეტად გუნდური სულისკვეთება მომწონს. ის ვარსკვლავებიც კი, რომლებიც სათადარიგოთა სკამზე სხედან, ძალიან მშვიდად არიან.

**- რით განსხვავდება „ინტერი" „ბაიერნისგან"?**

- აქ ჩემთვის ყველაფერი ახალია. დიდი ხანი არ არის, რაც მიუნხენი დავტოვე, ამიტომაც „ბაიერნში" გატარებული შესანიშნავი წლები ჯერაც კარგად მახსოვს. ძალიან სერიოზულად ვფიქრობდი იმაზე, რომ კარიერა მიუნხენში დამესრულებინა, მაგრამ ასე არ მოხდა. იტალიაში სულ სხვანაირი საფეხბურთო კულტურაა. მაგალითად, ფანები გაცილებით ემოციურები არიან. ჩემთვის, როგორც ბრაზილიელისთვის, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ იტალიაში თბილი კლიმატია.

**- რას ფიქრობთ, რამდენად შორს წავა ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონატზე?**

- 2002 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი და მინდა, რომ ეს თასი კიდევ ერთხელ ავწიო...

**- გერმანიის ნაკრებზე რას ფიქრობთ?**

- როგორც ყოველთვის, გერმანიასაც ძალიან კარგი გუნდი ეყოლება და ტიტულისთვის იბრძოლებს.

**გოტფრიდ ლენცი**

კრივი

# AIBA-ს პრეზიდენტი თანადგომას და მსოფლიოს ჩემპიონატს გვპირდება

11 ნოემბერს თბილისს მსოფლიო კრივის საერთაშორისო ასოციაციის (AIBA) პრეზიდენტი, ტაივანელი დოქტორი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი **ჩინგ-კუო ვუ** მეუღლესთან ერთად ეწვია. მისი ვიზიტი სამდღიანია. საპატიო სტუმარი ჩვენს სპორტულ ობიექტებსა და ღირსშესანიშნაობებს ეცნობა. იგი უკვე შეხვდა საქართველოს პრეზიდენტ **მიხეილ სააკაშვილს** და პარლამენტის თავმჯდომარე **დავით ბაქრაძეს**.

გუშინ კი საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტში პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც ჩინგ-კუო ვუსთან ერთად, მასმედიის წინაშე ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი**, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური** და პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი ასანიძე** წარდგნენ.



ინგ-კუო ვუ

ვაჟა დანელიას ფოტო

სტუმარი მასმედიას გია ნაცვლიშვილმა წარუდგინა და შესავალი სიტყვის შემდეგ ჩინგ-კუო ვუს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ორდენი გადასცა.

- ბატონი პრეზიდენტის ვიზიტით ყველანი მოხარულები ვართ. ქართული კრივი ეტაპობრივად ვითარდება და მისი ჩამობრძანება და მხარდაჭერა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. საკუთარი თვალით ვიხილე ქართველი მოკრივეების გამოსვლა მილანის მსოფლიოს ჩემპიონატზე და აღფრთოვანებული დავრჩი მათი შემართებით. ჩვენი კრივის ფედერაცია ბატონი **პეტრე ცისკარიშვილის** ხელმძღვანელობით მაქსიმუმს აკეთებს იმისთვის, რომ ამ სახეობაში პროგრესს მივაღწიოთ. გაწეული შრომისთვის დიდ მადლობას ვუხდი ჩვენი ფედერაციის ყველა ხელმძღვანელსა და თანამშრომელს, მწვრთნელებსა და მოკრივეებს.

სტუმარი დილმის დარბაზს ეწვია, დაესწრო ბავშვთა ვარჯიშს, დაათვალიერა თბილისი და ნანახით ძალიან მოიხიბლა. რაც მთავარია, ბატონი ჩინგ-კუო ვუ ჩვენი ხელისუფლების უმაღლეს პირებს შეხვდა. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან მას ფორმალური კი არა, საქმიანი და კონკრეტული საუბარი ჰქონდა, რომელიც ჩვენს მომავალ პარტნიორობას ეხებოდა.

AIBA-ს პრეზიდენტმა თბილისის სპორტის სასახლეც დაათვალიერა. მას ჩვენი სურვილი გავაცანით – გვინდა, საქართველოს დედაქალაქმა მსოფლიო დონის საკრივო ტურნირებს უმასპინძლოს, რაც ძალიან დიდი ხანია, აღარ მომხდარა. ეს ქართული კრივის პოპულარიზაციასაც შეუწყობს ხელს და ქართველ მოკრივეებსაც შინაურ კედლებში ოლიმპიური ლიცენზიების მოპოვება უფრო გაუადვილდებათ. ჩამობრძანებისთვის კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი ბატონ ჩინგ-კუო ვუს და მჯერა, ჩვენი თანამშრომლობა მნიშვნელოვან შედეგებს გამოიღებს - აღნიშნა თავის გამოსვლაში გია ნაცვლიშვილმა.

*ჩინგ-კუო ვუ:* ჩემი და ჩემი მეუღლის საქართველოში მოწვევისა და შესანიშნავი მასპინძლობისთვის დიდ მადლობას ვუხდი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და კრივის ფედერაციის ხელმძღვანელობას. კარგად ვიცი, რომ თქვენი ქვეყანა დიდი სპორტული ტრადიციებითა და წარმატებებით გამოირჩევა. ამის დასადასტურებლად ის ფაქტიც გამოდგება, რომ პეკინის ოლიმპიადაზე ევროპულ ქვეყნებს შორის საქართველომ მედლების ხარისხით და საერთო რაოდენობით მე-17 შედეგი აჩვენა. ისიც ვიცი, რომ კრივი საქართველოში ერთ-ერთი პოპულარული სახეობაა. ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართულმა დელეგაციამ ბრინჯაოს მედალ მოიპოვა, რაც საკმაოდ დიდი წარმატებაა. მაგრამ ეს ქართული კრივის მაქსიმუმი არაა. თქვენს მოკრივეებს გაცილებით მეტი შეუძლიათ და ხელშეწყობის შემთხვევაში ამას აუცილებლად დაამტკიცებენ.

საქართველოს პრეზიდენტთან ერთად ჩვენი სამომავლო თანამშრომლობის დეტალები განვიხილე. ნათლად ვხედავ საიმისო პერსპექტივას, რომ მომავალ ოლიმპიადაზე ქართველმა მოკრივეებმა სხვადასხვა სინჯის, მათ შორის ოქროს მედალი მოიპოვონ. ჩემი ვიზიტის შემდეგ AIBA ქართულ მხარესთან უფრო მჭიდროდ ითანამშრომლებს. შესაძლებლობების ფარგლებში, უფრო დიდ და აქტიურ დახმარებას გაგიწევთ.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ჯილდო კი ჩემთვის უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა, რაც თქვენ მიმართ უფრო მეტ ყურადღებასა და პატივისცემას მავალდებულებს. შეგიძლიათ, ჩემი თანადგომის იმედი გქონდეთ. ამ ხანმოკლე ვიზიტის განმავლობაში უამრავი დადებითი ემოცია მივიღე. აღფრთოვანებული ვარ თქვენი ქვეყნით, სულგრძელი და სტუმართმოყვარე ქართველი ხალხით.

დიდი სურვილი მაქვს, უახლოეს მომავალში საქართველოში უმაღლესი რანგის საერთაშორისო ტურნირები, მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონატი ჩავატაროთ.

*გიორგი ასანიძე:* - დიდი მადლობა ჩვენს სტუმარს ჩამობრძანებისთვის. დარწმუნებული ვარ, მისი ვიზიტი ქართული კრივის განვითარებას ხელს შეუწყობს. გვაქვს ერთობლივი პროექტები, მათ შორის მაღალი რანგის საერთაშორისო შეჯიბრებების საქართველოში ჩატარების იდეაც. ახლოვდება ლონდონის ოლიმპიური თამაშები და დარწმუნებული ვარ, იქ ჩვენი მოკრივეები ღირსეულად იასპარეზებენ. ლონდონის ლიცენზიისთვის ბრძოლა 4-5 ქართველ მოკრივეს შეუძლია. პირობას ვდებ, ამ სახეობასა და მთლიანად ქართულ სპორტს სახელმწიფო გვერდში მაქსიმალურად დაუდგება.

*დავით ნამგალაური:* - მივესალმები ჩვენს სტუმარს, მისი ჩამობრძანება დიდი ბიძგი იქნება ქართული კრივის განვითარებისთვის. ამ სახეობასთან მიმართებაში სახელმწიფო პროგრამას ვახორციელებთ. პროგრამის ფარგლებში ქართულ კრივში დავაბრუნეთ წარსულში სახელოვანი სპორტსმენები, მათ შორის **რამაზ ფალიანი,** რომლის ხელმძღვანელობითაც საქართველოს ნაკრებმა მოკლე დროში მიაღწია ხელშესახებ პროგრესს. ვზრუნავთ ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. ჩამოვიტანეთ უმაღლესი ხარისხის მსოფლიო სტანდარტების ათი რინგი, რომელიც თბილისსა და რეგიონებში განაწილდა, საიდანაც საქართველოს ნაკრებში არაერთი ძლიერი მოკრივე ხვდება. ჩვენი შრომა მსოფლიოს ჩემპიონატზე დაფასდა, ახლა კი უახლოეს მიზნად ლონდონის ოლიმპიადაზე წარმატება გვაქვს დასახული. ძალიან გვინდა, ოლიმპიურ თამაშებზე ქართული დროშა ჩვენი მოკრივეების პატივსაცემადაც აფრიალდეს და ამისთვის მაქსიმალურად ვიშრომებთ.

პრესკონფერენციის დასკვნით ნაწილში AIBA-სა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტებმა შეკითხვებს უპასუხეს.

**- საქართველოში კონკრეტულად რომელი საერთაშორისო ტურნირების ჩატარებაა მოსალოდნელი?**

*გია ნაცვლიშვილი:* - შესაძლოა, მომავალი წლის აპრილში მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატს ვუმასპინძლოთ. მთავარია, ქართულმა მხარემ შეძლოს ამისთვის საჭირო ფინანსების მოძიება, თორემ AIBA-ს მხრიდან თანხმობა, ფაქტობრივად, მიღებული გვაქვს.

- უსამართლო მსაჯობა კრივის ერთ-ერთი უმთავრესი სენია. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად რა კეთდება?

*გია ნაცვლიშვილი:* - პირდაპირ ვიტყვი, რომ ბატონი ჩინგ-კუო ვუს გაპრეზიდენტებამდე AIBA-სა და მთლიანად კრივის სამყაროში კორუფცია ყვაოდა. ამ ადამიანის წყალობით კი მსაჯობა საგრძნობლად გამოსწორდა. მილანის მსოფლიოს ჩემპიონატზე პირადად გახლდით და მერწმუნეთ, მსაჯების შეცდომები თუ ტენდენციურობა მინიმუმამდე იყო შემცირებული. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ჩვენი და AIBA-ს თანამშრომლობის პროგრამა ქართველი მსაჯების მომზადებასაც მოიცავს.

*ჩინგ-კუო ვუ:* - საერთოდ, კრივი სუბიექტური სპორტია და სხვადასხვა მსაჯმა ესა თუ ის ეპიზოდი შესაძლოა, სხვადასხვანაირად განსაჯოს. თუმცა ზოგჯერ მხოლოდ უნებლიე შეცდომებს კი არა, წინასწარ განზრახულ ტენდენციურობასაც ვაწყდებით. ამ პრობლემას აქტიურად ვებრძვით და წარმატებითაც, მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. თუ მსაჯები მოწოდების სიმაღლეზე არ დადგებიან, კრივი გულშემატკივართა პატივისცემასა და პოპულარობას დაკარგავს.

თებერვალში მსაჯებისთვის სპეციალურ აკადემიას გავხსნით, სადაც მათ გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას მივხედავთ. ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე მსაჯები თავიანთი ქვეყნების მოკრივეებთან ერთად ჩამოდიან, რაც გაუმართლებელია. მსაჯები მოკრივეებისგან იზოლირებულნი უნდა იყვნენ. მსოფლიოს ჩემპიონატებზე ერთი მსაჯი ხშირად ეუბნება მეორეს, მე შენი თანამემამულე მოკრივის სასარგებლოდ ვიმსაჯებ და სანაცვლოდ შენ ჩემიანს დაუჭირე მხარიო. მართალია, მსგავსი ფაქტები მინიმუმამდე შევამცირეთ, მაგრამ ეს სენი ბოლომდე უნდა დავძლიოთ.

- თუ გაამართლა რაუნდების რაოდენობის სამამდე შემცირებამ და კიდევ ხომ არ იგეგმება ცვლილებები რეგლამენტში?

*ჩინგ-კუო ვუ:* - გადაწყვეტილებებს ცხელ გულზე არასოდეს ვიღებთ, ასე რომ, სანამ ოთხი ორწუთიანი რაუნდიდან სამ-სამწუთიან რაუნდზე გადავიდოდით, ეროვნულ ფედერაციებსაც დავეკითხეთ. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეს იდეა მათგან მოდიოდა და ამიტომაც წინასწარ ვიცოდით, ახალი სისტემა რომ გაამართლებდა. აქედან გამომდინარე, უახლოეს პერიოდში ცვლილებებს არ ვგეგმავთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სპორტული ცეკვები



მარცხნიდან: გია გალდავა, თენგიზ გაჩეჩილაძე და ბორის ოდიკაძე

# სილამაზის მეჯლისი ძიუდოს აკადემიაში

## საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა სპორტული ცეკვები სპორტის სახეობად აღიარა

დიახ, შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზი სამი დღე სპორტული ცეკვების მოყვარულებს დაეთმობა. 13 ქვეყნის წარმომადგენლები მეთოთხმეტედ იასპარეზებენ საერთაშორისო ტურნირში — „ოქროს საწმისი-2009". გულშემატკივრები ლათინურამერიკულ და ევროპულ ცეკვებს იხილავენ როგორც მოყვარული, ისე პროფესიონალი მოცეკვავეების შესრულებით. უმაღლესი რეიტინგის მქონენი კი აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატის მედლებს გაითამაშებენ ლათინურამერიკულ ცეკვებში.

ტურნირის ორგანიზატორები არიან საქართველოს სპორტული ცეკვების ეროვნული ფედერაცია, ცეკვების საკონკურსო სახეობათა კონფედერაცია, პროფესიულ მოცეკვავეთა ლიგა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი.

შეჯიბრების გამართვასთან დაკავშირებით გუშინ სპორტის დეპარტამენტში პრესკონფერენცია გაიმართა. სპორტული ცეკვების ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **თენგიზ გაჩეჩილაძემ** დამსწრეთ უამბო იმ დიდ მნიშვნელობაზე, რომელსაც ბოლო დროს სპორტულ ცეკვებს ანიჭებენ მთელ მსოფლიოში.

— „ოქროს საწმისის" ტურნირს მეთოთხმეტედ ვატარებთ და ვცდილობთ, საერთაშორისო სტანდარტებს არ ჩამოვრჩეთ, — თქვა მან. — დასტურად ჩვენი მოცეკვავეების წარმატებების ჩამოთვლაც კმარა. მაღალი შედეგების შენარჩუნებაში გვეხმარება დიდი კონკურენცია, რომელსაც სხვადასხვა რეგიონის მოცეკვავეები ქმნიან. მჯერა, რომ ამ შეჯიბრებაზეც უცხოელებს იოლად არაფერს დავუთმობთ.

**ბორის ოდიკაძე,** ისრაელის სპორტული ცეკვების ფედერაციის პრეზიდენტი: — ზუსტად 30 წლის წინათ მეუღლესთან ერთად პირველად ვიასპარეზე „ოქროს საწმისის" ტურნირზე. მაშინ საქართველოში ვცხოვრობდი. თუმცა ისრაელში წასვლის შემდეგაც ხშირად ჩამოვდივარ თბილისში, რომ ახლობლები მოვინახულო, შეგირდები ჩამოვიყვანო შეჯიბრებებზე. ამჟამად მსაჯად ვარ მოწვეული. როგორც ბატონმა თენგიზმა ბრძანა, უცხოელთა საუკეთესო მოცეკვავე წყვილებს სულ უფრო მეტ მეტოქეობას უწევენ ქართველი სპორტსმენები. ისრაელში გამართულ შეჯიბრებებზე მათ არაერთხელ დაუკავებიათ საპრიზო ადგილები, გაუმარჯვიათ კიდეც. დეკემბერში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებს ვუმასპინძლებთ. აქედანვე ვეპატიჟებით ქართველ მოცეკვავეებს. იმედია, იქაც გვასახელებენ.

**ნუგზარ რუხაძე,** ცეკვების საკონკურსო სახეობათა კონფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი: — მაოცებს გაჩეჩილაძეების ოჯახის ენთუზიაზმი. ბატონი თენგიზი მეუღლესთან და შვილებთან ერთად უანგაროდ ემსახურება მოზარდი და უფროსი თაობის ჯანმრთელობას, იმ დიდ საქმეს, რომელსაც სულისა და სხეულის სილამაზე ჰქვია. ფედერაციას ხომ, ფაქტობრივად, დაფინანსება არა აქვს, მაგრამ კეთილი ადამიანების დახმარებით გრანდიოზული ღონისძიებების მოწყობას ახერხებს.

**გია გალდავა,** სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე: — საინტერესოა ის ფაქტი, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა სპორტული ცეკვები სპორტის სახეობად აღიარა. ამიტომ მართლაც მისასალმებელია ის ენთუზიაზმი, რასაც თენგიზ გაჩეჩილაძე იჩენს ამ სახეობის პოპულარიზაციისა და განვითარებისთვის. რაც მთავარია, მასობრიობასთან ერთად იგი ორიენტირებულია მაღალ შედეგებზე და ხშირად წარმატებებსაც აღწევს. მახსოვს, პირველად რომ ვეწვიე სპორტული ცეკვების შეჯიბრებას, სილამაზის მეჯლისს მთელი ოთხი საათი თვალი ვერ მოვწყვიტე. დარწმუნებული ვარ, ვინც ამ დღეებში ეწვევა ძიუდოს აკადემიის დარბაზს, ნამდვილად არ ინანებს.

**ივანე კანდელაკი,** პროფესიონალ მოცეკვავეთა ლიგის პრეზიდენტი: — „ოქროს საწმისის" ეგიდით წლეულს პირველად გაიმართება პროფესიონალ მოცეკვავეთა შეჯიბრება. სხვადასხვა ქვეყნიდან გვეწვევიან მაღალი რეიტინგის წყვილები. კვარცხლბეკზე ასასვლელად ლათინურამერიკულ ცეკვებში გამოვლენ მოსკოველები — ვასილი მარჩენკოვი და ირინა სკრიპნიჩენკო, უკრაინის ჩემპიონები — მაქსიმ ლიტიუშკინი და კატერინა იოვიკი, რომლებიც შარშანაც მონაწილეობდნენ ჩვენს ტურნირში; ისრაელიდან შიმრიელ დავიდოვი და ოლგა ჩუპილოვა გვეწვივნენ. მათ მეტოქეობას გაუწევენ მასპინძლები — ლევან ახვლედიანი და მარი ბეჟიაშვილი, გიორგი გაჩეჩილაძე და სალომე ჭაჭუა, გენადი ცინკევიჩი და მზია ორველაშვილი, რაფაელ ანანიკიანი და მეგი ჯაყელი... ასე რომ, საინტერესო პაექრობების მოწმენი გავხდებით.

შეჯიბრებები 14 და 15 ნოემბერს 10, 15 და 19 საათზე დაიწყება.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა



კალათბურთი



უტევს გიორგი შერმადინი

# შონ კემპი და გიორგი შერმადინი ერთად ახსენეს

ევროლიგაზე მადრიდის "რეალთან" დამარცხების შემდეგ ბერძნულმა "პანათინაიკოსმა" რეაბილიტირება პოლონეთში მოახერხა და "პროკომს" 75:65 აჯობა.

**გიორგი შერმადინმა** 14 წუთი ითამაშა, 8 ქულა და 5 მოხსნა მოაგროვა. მან 5-დან 4 ორქულიანი გამოიყენა, 4 მოხსნა მეტოქის ფარზე მიითვალა.

"პანათინაიკოსის" მხრიდან 10-ქულიანი ბარიერი გადალახეს **ნიკოლა პეკოვიჩმა** და **დრიუ ნიკოლამ.** ორივემ 17-17 ქულა ჩააგდო.

ევროლიგის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებულ მიმოხილვაში გიორგი შერმადინი ოთხჯერ იყო ნახსენები:

"...პირველი პერიოდის ბოლოს დიამანტიდისის სამქულიანისა და შერმადინის ფარქვეშიდან ჩაგდებულის შემდეგ "მწვანეები" 23:10 დაწინაურდნენ.

...მეორე პერიოდის ბოლოს დაწყებული სტუმართა გაქცევა მესამის დასაწყისში გიორგი შერმადინმა დააგვირგვინა – 48:33. მესამე ათწუთეულის ბოლო ქულაც ქართველი ცენტრის ანგარიშზე იყო – 63:44.

...მეოთხე პერიოდში შერმადინის ორქულიანს პროკომელმა ვუდსმა ორიანითვე უპასუხა და სხვაობა 15 ქულამდე შემცირდა (56:71). ამის შემდეგ პოლონელებმა ჩამორჩენის ათ ქულამდე დაყვანა მოახერხეს, თუმცა მიმდინარე ევროლიგაზე მესამე მარცხს მაინც ვერ გადაურჩნენ."

ამის საპირისპიროდ, სამი მოგება და ერთი წაგება აქვს "პანათინაიკოსს", რომელიც D ჯგუფს მადრიდის "რეალთან" ერთად ლიდერობს.

მომდევნო ტურში, 25 ნოემბერს "მწვანეები" გერმანულ "ოლდენბურგს" მიიღებენ.

■ ■ ■

ევროლიგაზე გიორგი შერმადინის თამაშს გამოეხმაურა ამერიკული გამოცემა "სლემი", რომელშიც ვკითხულობთ:

"ევროლიგის მიმდინარე გათამაშებისას თვალში მოგხვდებათ ტანმაღალი ქართველი ბიჭი, რომელსაც დიდი ნაბიჯები და საოცარი ჩატენები აქვს. გიორგი შერმადინი ჯერ შონ კემპი არ არის, მაგრამ აშკარად ეტყობა, რომ გაცილებით მოძრავია და ბურთთანაც "თბილი დამოკიდებულება" აქვს.

მას გაუმართლა: თუ ვინმეს სურს თავისი შესაძლებლობები მსოფლიოს დაანახვოს, ამისთვის საუკეთესო ვარიანტი "პანათინაიკოსია". შერმადინი ამ სეზონში სწორედ ამ ბერძნული კლუბის ღირსებას იცავს.

გამოცდილი მეფარე მაიკ ბატისტის არყოფნაში ქართველი ცენტრი იოლად მოერგო გუნდის შემადგენლობას და ნიკოლა პეკოვიჩს ღირსეულად ცვლის.

ევროლიგის პირველ ტურში, "მილანთან" შერმადინმა 12 წუთში 2 ქულა ჩააგდო, მეორეში ("ხიმკისთან") – 11 წუთში 10 ქულა, მესამეში ("რეალთან") – 10 წუთში 6 ქულა, ხოლო ბოლოს ("პროკომთან") – 14 წუთში 8 ქულა.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თუ "პანათინაიკოსი" მომდევნო ეტაპის საგზურს ნაადრევად გაინაღდებს, ბოლო ტურებში შერმადინს სერიოზული სათამაშო დრო ერგება. მისი მონაგარის ხილვა მაშინ უფრო საინტერესო იქნება."

ვაჟა სიმონიშვილი

ინტერვიუ დავით უსტიაშვილთან

# მოვუმატებთ

**ოქტომბერში "ბათუმის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე დავით უსტიაშვილი დაინიშნა. ლოგიკურია, თუ საქართველოს ჩემპიონი და ნაკრების მწვრთნელი მიიწვიეს, აჭარლები სერიოზულ მიზნებს ისახავენ.**

**მართალია, გუნდში ჯერ 10 კალათბურთელია, თუმცა მათ უმეტესობას სუპერლიგაში თამაშის გამოცდილება აქვს და ქვეყნის ჩემპიონობაც არაერთხელ მოუპოვებია.**

**გუნდის ამჟამინდელ მდგომარეობასა და სამომავლო მიზნებზე დავით უსტიაშვილს ვესაუბრეთ.**

- ბათუმელი კალათბურთელები სეზონისთვის ინდივიდუალურად ემზადებოდნენ, თუმცა რამდენიმე ახალი მოთამაშე დავიმატეთ და სრული შემადგენლობით 26 ოქტომბრის შემდეგ ვვარჯიშობთ.

**- ბოლოს ვინ დაგემატათ?**

- ბესიკ ლეჟავა და პლასიდე როდუმტა. ბესო შარშან "ენერჯის" ღირსებას იცავდა, ხოლო როდუმტა "ნტდ-თბილისში" იყო.

**- სუპერლიგის განაცხადში 10 კაცი გყავთ...**

- მოკლე ხანში ეს შემადგენლობა შევკრიბეთ. დღეში ორჯერადი ვარჯიშები გვაქვს და ნელ-ნელა თამაშს ვაუმჯობესებთ.

**- უახლოეს მომავალში ვინმეს დამატებას ხომ არ აპირებთ?**

- არა. იანვრამდე არავის დავიმატებთ. შემდეგ ვნახოთ. ვეცდებით, ამ შემადგენლობით ბრძოლისუნარიანი კოლექტივი ჩამოვაყალიბოთ.

**- სუპერლიგაში რა მიზნებს ისახავთ?**

- მთავარი კონკურენტუნარიანი გუნდის შექმნაა. ცხადია, პლეი ოფში გასვლისთვისაც ვიბრძოლებთ.

**- ბათუმის შემადგენლობა მეტ-ნაკლებად თანაბრადაა დაბალანსებული...**

- გვყავს კარგი მეფარეები, უკანახაზელები და ფორვარდები. ახლა ჩვენთვის მთავარია სათამაშო პრაქტიკა...

**- ბათუმელი ახალგაზრდების დამატებასაც არ აპირებთ?**

- გუნდში უკვე ირიცხება რამდენიმე ადგილობრივი ახალგაზრდა. ჭაბუკთა ნაკრების წევრი თენიეშვილი კი "სამედიცინო/აკადემიას" ღირსებას იცავს.

**- პირველ ტურში "აკადემიას" თამაშს თუ დაესწარით?**

- ვნახე და ძალიან მომეწონა. ახალგაზრდები დიდი ენთუიაზმით თამაშობდნენ და "აგრარულსაც" თანაბრად ეჭიდავნენ. დარწმუნებული ვარ, ნელ-ნელა თამაშს გააუმჯობესებენ, სითამამეც მოემატებათ და სიურპრიზებსაც შემოგვთავაზებენ.

**- 2002 წელს თქვენც "აკადემიას" წვრთნიდით...**

- მაშინ პირველ ტურში კარგად ვეთამაშეთ მომავალ ჩემპიონ "დინამოს". გაზაფხულზე სანიკიძე, საყვარელიძე და გამყრელიძე დაგვემატნენ და "დინამო" დავამარცხეთ კიდეც.

ვაჟა სიმონიშვილი








ქართველი NBA-ში

# ვუდსონს ზაზასთვის დრო ენანება

სამდღიანი შესვენების შემდეგ "ატლანტა ჰოქსი" მოედანს დაუბრუნდა და ნიუ იორკში 114:101 გაიმარჯვა. საინტერესოა, რომ **ზაზა ფაჩულიას** თანაგუნდელებმა NBA-ს მიმდინარე სეზონში 8 მატჩი ჩაატარეს და აქედან ხუთში 110-ზე მეტი ქულა ჩააგდეს. რადგან გამარჯვებები ვახსენეთ, აქვე გეტყვით – "ატლანტას" 6 მატჩი აქვს მოგებული და სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონის სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა. იგი მხოლოდ "მაიამი ჰიტს" ჩამორჩება (6 მოგება 1 მარცხი).

ვიდრე მატჩის ოქმში ჩავიხედავდით, მიმოხილვას გადავხედეთ, სადაც შესავალში იყო მოხსენიებული "ქორების" სასტარტო ცენტრი **ალ ჰორფორდი** – 25 ქულა ჩააგდო და მატჩის სნაიპერი გახდაო. ლოგიკურად ვიფიქრეთ, რომ ზაზას მწვრთნელი სათამაშო დროით არ გაანებივრებდა, თუმცა მხოლოდ 5 წუთს თუ ათამაშებდა, არ გვეგონა. არადა, ამ დროში ქართველმა ცენტრმა ერთადერთი ორქულიანი კალათში მოათავსა და ორი მოხსნა მიითვალა... შეცდომაც მხოლოდ ერთი ჰქონდა. თუმცა მწვრთნელ **მაიკ ვუდსონს** ფაჩულიასთვის დრო დაენანა და მეორე ტაიმის შემდეგ მოედანზე აღარ შეუყვანია.

"ატლანტა ჰოქსი" მომდევნო შეხვედრაში აღმოსავლეთის კონფერენციის ერთ-ერთ გრანდ "ბოსტონ სელტიკსს" დაუპირისპირდება. მატჩი 13 ნოემბერს ბოსტონში გაიმართება.

**ნიუ იორკი-ატლანტა 101:114**

ზაზა ფაჩულია: 5 წუთი, 2 ქულა, 2 მოხსნა, 1 შეცდომა

| II პერიოდი | |
|---|---|
| 10:27 | ორქულიანი: 2ქ (27:29) |
| 08:02 | შეცდომა: 1 |
| 07:41 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 07:21 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 07:05 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |

ვაჟა სიმონიშვილი

ჩოგბურთი



ანა ტატიშვილი

# ტატიშვილი წინ მიიწევს

**ანა ტატიშვილმა** (181) ერთეულთა თანრიგშიც მოგებით დაიწყო ფინიქსის საერთაშორისო ტურნირი (50 ათასი $). მან ორსეტიან, დაძაბულ ბრძოლაში 32 წლის **ლინდსეი ლი-უოტერსი** (192) დაამარცხა - 7:6 (4), 7:6 (5). მერვედფინალში ტატიშვილის მეტოქე მე-7 ნომრად განთესილი ამერიკელი **მედისონ ბრენგლია** (155). თანატოლები მესამედ ეთამაშებიან ერთმანეთს - შარშან სან-დიეგოში ამერიკელმა იმარჯვა, წლეულს კანზას სიტიში - ქართველმა. წყვილთა ბადის მეოთხედფინალში ანა ტატიშვილი და კანადელი **მარი-ივ პელეტიე** (426) კოლუმბიელ **კატალინა კასტანიოსა** (219) და ამერიკელ **ანჯელა ჰეინესს** (161) ხვდებიან. შეგახსენებთ, რომ ტატიშვილისა და პელეტიეს წყვილი ფინიქსში მე-2 ნომრად განთესეს.

21 წლის **სოფიო ქვაცაბაიამ** (493) ვერ გაიმეორა წინა კვირის მიღწევა მალიორკაში, პირველ ტურნირში მან ნახევარფინალში გააღწია, ახლა კი მერვედფინალში დამარცხდა მე-4 ნომრად განთესილ ესპანელ **სანდრა სოლერ-სოლასთან** (350) - 1:6, 3:6. მალიორკაში ტურნირის საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარია.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჭადრაკი

# ახალგაზრდებმა საათები ჩართეს




გუშინ ანტალიაში დაიწყო 8-18 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობა, რომელშიც საქართველოს (დელეგაციის ხელმძღვანელი დავით გურგენიძე) 28 წარმომადგენელი მონაწილეობს.

გაცნობებთ პირველ ტურში ქარველ მოჭადრაკეთა შეხვედრების შედეგებს:

8-წლიანები: ლუკა ობოლაძე-ჰამზაჰ ამიერი 0,5:0,5, დაჩი დოლვანი-ალექს სტეპანჩინი 1:0, დავით კამკია-იუანჩენ ჟანი 1:0; ფრანთი ბანსი-ელენე კოსტავა 1:0, გვანცა მარგველაშვილი-ალინა ბეშუკოვა 1:0.

10-წლიანები: ჯონი გოგოხია-შაჰ ჰეთული 0:1, არკადი ვასილიევი-ირაკლი ახვლედიანი 1:0; ანა ვასენინა-ნინო ჯალალონია 1:0, ნინო დახუნდარიძე-მელის თემელი 1:0, კატიარინა შჩეპკინა-თეა ჭოლაძე 0:1.

12-წლიანები: შტეფან თლეილი-ნინო ხომერიკი 0:1.

14-წლიანები: ირაკლი ბერაძე-შანაკა მუუნასინგე 1:0, ნანი უნაფქოშვილი-აითოლუნ გურკანი 1:0, ანა კუჭავა-ალექსანდრა ბოტესი 1:0, ლიკა კობეშავიძე-მარია ჰალამოვა 1:0, ანა შამათავაირემ ოზკეი 1:0.

16-წლიანები: ზურაბ ჯავახაძე-ალექსანდრ პონომარენკო 1:0, გიორგი ნიკოლაშვილი-დივეკ სურუჯალი 1:0; ნაზი პაიკიძე-მონიკა სტოიკოვსკა 1:0, ზოია არნატსკაია-მერი არაბიძე 0:1, მარიამ სულამანიძე-ბჰარატრი 1:0, მარიამ დანელია-ელვან ასანი 1:0, რუჩა რუჯარი-დეა ჯახველაძე 1:0.

18-წლიანები: დავით ბენიძე-მაარტენ ლარმუსაუ 1:0; სოფიკო გურამიშვილი-აისელ ბახტიარლი 0:1, ქეთი წაწალაშვილი-მარიანა ჰაუგი 1:0.

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ესპანეთის ტურნირი ჭაბუკებში

# ყაზახეთი ესპანეთმა ჩაანაცვლა

ხვალ, 14 ნოემბერს ესპანური გალისიის პროვინციის პატარა ქალაქი ტეის ვიგო ახალგაზრდა ბერძენ-რომაელთა შორის სან იგნასიოს თასის გათამაშებას უმასპინძლებს. ესპანეთის, საფრანგეთის, იტალიის და სხვა ქვეყნების მოზარდ ფალავანთა გვერდით იქ ექვსი ქართველი ფალავანიც იჭიდავებს, თუმცა ჩვენებს ჭაბუკები მიჰყავთ: **დემეტრე ხურცია, ფირუზ წულუკიძე** (ორივე - 60), **ლაშა გობაძე, რობერტ ქობლიაშვილი** (76), **ლაშა შალიკაშვილი, ნუკრი ფერსელიძე** (84).

უფროსთა ტურნირში უმცროსების გამოყვანა იმიტომ გადაწყვიტეს, რომ მათ ყაზახეთში დაგეგმილი ტურნირი ჩაეშალათ. თურმე ნუ იტყვით და, კონკურენციის ბინძური მეთოდები იქ საქართველოზე კიდევ უფრო შორს ყოფილა წასული. ჰოდა, იმ ყაზახურ შეჯიბრებასაც რესტორნების მეპატრონე მავანი ბიზნესმენი აფინანსებდა, მაგრამ ცოტა ხნის წინ რამდენიმე რესტორანი გადაუწვეს და საშვილიშვილო ვალში ჩავარდნილმა ტურნირის ჩატარებაც იუარა. ჩვენებმაც სათადარიგო ვარიანტები მოიძიეს და ესპანური შეჯიბრება შეარჩიეს. ეს ნაკრები გაისად, აგვისტოში ახალგაზრდობის პირველ მსოფლიოს თამაშებში უნდა გამოვიდეს და სათანადო კანდიდატის შერჩევა ძალზე მნიშვნელოვანია. მით უფრო, იქ ყოველ ქვეყანაზე თითო კვოტაა დაშვებული. ამიტომ გასაგებია, **ვაჟა კრაველიშვილი** შესარჩევ ეტაპს ასე ადრიანად რატომ იწყებს. თანაც, ამ ნაკრებში თაობათა ცვლა მოხდა და ბევრ ლიდერს გამოეთხოვა.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო

# ამაგი და ხსოვნა

გორის ძიუდოს დარბაზი თითქმის ყოველ კვირა შეჯიბრების მასპინძელია. ქალაქის ღია პირველობებმა სისტემატური ხასიათი მიიღო. გორელები პერიოდულად საერთაშორისო ტურნირებსაც მასპინძლობენ და გურამ პაპიტაშვილის სახელობის ძიუდოს დარბაზში ხალხმრავლობა ჩვეულებრივ ამბად იქცა. 11 ნოემბერს სპორტის გორელი მეცენატის **ამური სამადალაშვილის** ხსოვნის ტურნირი ჩატარდა ახალგაზრდებს შორის. სამადალაშვილი სიჭაბუკეში თავისუფალ ჭიდაობაში თავადაც ოსტატდებოდა. შემდგომში სპორტის და სპორტსმენთა ერთგული თანამდგომი გახდა. სწორედ გორის ძიუდოს მადლიერმა მესვეურებმა, შიდა ქართლის ძიუდოს ფედერაციასთან (პრეზიდენტი **ბორის გოგიჩაიშვილი**) ერთად დააარსეს მისი ხსოვნის ტურნირი. საასპარეზოდ გორს ეწვივნენ თბილისის სამი, ქუთაისის ორი, კასპის, ქარელის, მცხეთის და ზუგდიდის ძიუდოს სკოლების ალსაზრდელთა გუნდები, გორი ჭიდაობის კომპლექსური და ცენტრალური სასპორტო სკოლებით იყო წარმომადგენილი. შეჯიბრებას ესწრებოდნენ ძიუდოს ამაგდარი სპეციალისტი, ტურნირის დაფუძნების ერთ-ერთი ინიციატორი **გურამ პაპიტაშვილი**, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელი **რამაზ ჩოჩიშვილი**, ჩვენი ქვეყნის ქალთა ნაკრების თავკაცი **გია თენაძე** და საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **თემურ ხუბულური**, რომელიც ბოლო ხანს ყველა წარმომადგენლობით შეჯიბრებას ესწრება და უშუალოდ აკვირდება პერსპექტიულ ახალგაზრდებს.

პირველობისთვის რვა წონით კატეგორიაში 160 სპორტსმენი იბრძოდა.

**კვარცხლბეკი**

55 კგ: 1. გიგა ხორბალაძე (გორი), 2. ზაურ ნონაშვილი (ქარელი), 3. ვასილ ზაალიშვილი (გორი) და ცოტნე მულაშვილი (თბილისი).

60 კგ: 1. ლაშა გიუნაშვილი, 2. გიორგი ჩილინდრიშვილი, 3. დავით თარაშვილი (სამივე - გორი) და გიორგი ახალკაციშვილი (თბილისი).

66 კგ: 1. ოთარ არჩუაძე (გორი), 2. ზეზვა არაბული (თბილისი), 3. ირაკლი ლომიძე (გორი) და გოჩა გულბათაშვილი (მცხეთა).

73 კგ: 1. მიხეილ ჩოხელი (თბილისი), 2. გიორგი ჩხიკვაძე, 3. ნიკა გოგინაშვილი და გიორგი პაპუნაშვილი (სამივე - გორი).

81 კგ; 1. ნიკოლოზ შაქარაშვილი (კასპი), 2. ვლადიმერ ბექური, 3. არჩილ უსატარაშვილი (ორივე - თბილისი) და ამირან იანვარაშვილი (კასპი).

90 კგ; 1. გიორგი ცნობილაძე (ქუთაისი), 2. ონისე ბულაძე, 3. გიორგი ქავთარაძე (ორივე - თბილისი) და იოსებ გუზიტაშვილი (გორი).

100 კგ: 1. ელგუჯა ბიბილაშვილი (ქუთაისი), 2. გიგა მამაგულაშვილი, 3. სოსო ჯოხაძე (ორივე - თბილისი) და კობა ტატულაშვილი (კასპი).

+ 100 კგ: 1. გიორგი სულხანიშვილი, 2. თორნიკე იჩქითი (ორივე - თბილისი), 3. ჯიმშერ გეჯაძე და გიორგი დეისაძე (ორივე - კასპი).

არაოფიციალურ ჩათვლაში გუნდური პირველი ადგილი გორელებს ხვდათ. საუკეთესო ძიუდოისტად დაასახელეს **ოთარ არჩუაძე**.

ტურნირი ტრადიციული გახდება და ყოველწლიურად ივლისის პირველ კვირაში გაიმართება.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ავტორის ფოტო



რაგბი

საქართველო A - უკრაინა





# გადახალისებული შემადგენლობით

დღეს ეროვნულ სტადიონზე საქართველოს A ნაკრები თავის მეორე შეხვედრას გამართავს. მეტოქე ამჯერად უკრაინის ეროვნული ნაკრები იქნება. თამაში 18 საათზე დაიწყება.

მწვრთნელებმა **ლევან მაისაშვილმა** და **ნიკოლოზ ჭავჭავაძემ** უკრაინელებთან მატჩისთვის გუნდის ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება განახორციელეს. შერკინების კვაჭის პოზიციაზე **ირაკლი ჭყონიას** (ლელო) ნაცვლად **ჯაბა ბრეგვაძე** (ვისოლი ყოჩები) ითამაშებს. მეორე ხაზში **დიმა პავლოვის** (ფიჟაკი) ადგილს უნივერსიტეტელი **ილია სურგულაძე** დაიკავებს.

მესამე ხაზში რვა ნომრის პოზიციაზე **ზვიად მაისურაძე** (ლოკომოტივი) საფრანგეთიდან ჩამოსულმა **ბესო უდესიანმა** (სენტ ეტიენი) შეცვალა. ძირითადი ცხრა ნომერი ამჯერად **გიორგი კაჭარავა** (ლელო) იქნება, რადგან **ბიძინა სამხარაძეს** (ფარული) ტიმ ლეინმა ეროვნულ ნაკრებში უხმო.

ცვლილებაა უკანა ხაზშიც: გარემარბი **სანდრო ნიჟარაძე** (ვისოლი ყოჩები) მისმა თანაკლუბელმა **ირაკლი გეგენავამ** შეცვალა. ტრავმირებული **მამუკა ნინიძის** (ბათუმი XV) ნაცვლად **გიორგი ჯიმშელაძე** ითამაშებს.

უკრაინელები თბილისში გუშინ დილით ჩამოვიდნენ და თან ერთი ქართველი, ბორჯღალოსანთა მგეზავის, **ლაშა მალაღურაძის** ძმა **ჯაბა** იახლეს, რომელიც შერკინების მესამეხაზელია. გუნდის ძირითად ბირთვს ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონის, ხარკოვის „ოლომპის" მორაგბეები შეადგენენ.

უკრაინის ნაკრები ერთა თასის მეორე დივიზიონის ლიდერია. მას ექვსი შეხვედრიდან ხუთი მოგება აქვს და მეორეადგილოსან პოლონეთს ოთხი ქულით უსწრებს.

მიმდინარე გათამაშებაში უკრაინელები, საქართველოს A ნაკრების ამასწინდელ მეტოქეს, პოლონეთის ნაკრებს ორჯერ დაუპირისპირდნენ და ორივეჯერ დაამარცხეს: სტუმრად მინიმალური სხვაობით - 13:12 და შინ - 19:12.

საქართველო A: 15. ირაკლი ყიასაშვილი, 14. ირაკლი ჩხიკვაძე, 13. გიგა კორკელია, 12. გიორგი ჯიმშელაძე, 11. ირაკლი გეგენავა, 10. ლაშა ხმალაძე, 9. გიორგი კაჭარავა.

1. კარლენ ასეიშვილი, 2. ჯაბა ბრეგვაძე, 3. ვასილ კაკოვინი, 4. ილია სურგულაძე, 5. კახაბერ უჩავა, 6. ლაშა თავართქილაძე, 7. ვიქტორ კოლელიშვილი, 8. ბესო უდესიანი.

16. ირაკლი ჭყონია, 17. გიორგი ნაცარაშვილი, 18. შოთა საყვარელიძე, 19. ზვიად მაისურაძე, 20. ირაკლი ლვინჯილია, 21. სანდრო ნიჟარაძე, 22. დავით ლოსაბერიძე.

უკრაინა: 15. მაქსიმ ტიურიკოვი, 14. ვადიმ მისიკი, 13. სერგეი გარკავი, 12. ვადიმ კოლიშკინი, 11. ოლეგ კოსერევი 10. სეგეი ცერკოვნი, 9. მაქსიმ კრავჩენკო.

1. სეგეი სუხიხი, 2. ნიკოლაი კირსანოვი, 3. ოლეგ ლიტვინენკო, 4. ალექსანდრ ცაპენკო, 5. ვიაჩესლავ კრასილნიკი, 6. ჯაბა მალაღურაძე, 7. ალექსანდრ ლომაკინი, 8. ანდრეი მელნიკოვი.

16. ალექსანდრ ზიაბლოვი, 17. დიმიტრი მუხინი, 18. ოლეგ ვაცენკო, 19. იგორ სნისარენკო, 20. ალექსანდრ მიშინევი, 21. ნაზარ ზოზულია, 22. სერგეი იანჩი.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ინტერვიუ რიჩი დიქსონთან

# სად გადის ქართული რაგბის წინსვლის ზღვარი?

**რაგბის ცნობილი შოტლანდიელი სპეციალისტი რიჩი დიქსონი უკვე მეორე თვეა, რაგბის კავშირის მოწვევით საქართველოში იმყოფება. ახალგაზრდა ქართველ სპეციალისტთა ჯგუფთან ერთად ის განვითარების პროგრამის შექმნაზე მუშაობს. ერთი თვის წინ დიქსონთან ინტერვიუ უკვე შემოგთავაზეთ. მაშინ შოტლანდიელი დაგვპირდა, საქმიანობის ყოველ ახალ ეტაპზე გადასვლისას დაწვრილებით ინფორმაციას მოგვაწვდიდა. რიჩიმ დანაპირები შეასრულა.**

- ოქტომბერში სამი კვირით დავტოვე საქართველო, - გვიამბობს რიჩი დიქსონი - თუმცა ჩემთან ერთად მომუშავე ჯგუფს მუშაობა არ შეუწყვეტია. ჯგუფის წევრებს გარკვეული დავალება მივეცი და რომ დავბრუნდი, მათ მიერ ჩატარებული სამუშაოს ხარისხით კმაყოფილი დავრჩი.

ახლა ვმუშაობთ განვითარების პროგრამის ძირითად, საბაზო ნაწილზე, რომელიც მოიცავს რვიდან თორმეტ წლამდე, თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე და თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე ბავშვებთან მუშაობის მეთოდიკას.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ბოლოს ევროპული სარაგბო ქვეყნების შემდეგ საქართველო იქნება პირველი, რომელსაც ასეთი სრულყოფილი განვითარების პროგრამა ექნება, სადაც დეტალურად იქნება გათვალისწინებული ყველა არსებული ნიუანსი.

**- კონკრეტულად რა დავალება მიეცით ჯგუფის წევრებს?**

- ვთხოვე, ჩამოეყალიბებინათ მოსაზრებები, რა გზით, როგორი ფორმით მივაწოდოთ ეს პროგრამა მწვრთნელებს. მე მივეცი ძირითადი მიმართულება, ქართულ რეალობას კი ეს ყოველივე მათ უნდა მოარგონ. ცხადია, იმავეს გაკეთება მეც შემეძლო ჩემი გამოცდილების ხარჯზე, მაგრამ უმჯობესია, მათ დაინახონ პრობლემა, მათ შეძლონ პროგრამის შემუშავება. როგორც უკვე გითხარით, შედეგით კმაყოფილი დავრჩი.

**- თქვენ საქართველოს რეგიონებშიც იმოგზაურეთ და ნახეთ იქ არსებული მდგომარეობა. პრობლემები რეგიონებს მეტი აქვს, ვიდრე თბილისს. უწინარესად რა უნდა გაკეთდეს, რომ მდგომარეობა გამოსწორდეს?**

- დიახ, ჩვენ ყველგან ვიყავით. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ქართული რაგბი ერთი მთლიანი ორგანიზმია და ეს პროგრამაც, რომელზეც ვმუშაობთ, ყველასთვის იქნება განკუთვნილი. როგორც კი პროგრამა მზად გვექნება, აუცილებლად შევხვდებით რეგიონებში მომუშავე მწვრთნელებს და პირადად ავუხსნით ყველაფერს. მნიშვნელოვანია, რომ ყველა მაქსიმალურად დაგვეხმაროს პრობლემების არსში ჩაწვდომაში, რათა მისი აღმოფხვრა მაქსიმალურად შევძლოთ.

შესაძლებელია, ბევრს სხვა მოსაზრებები ჰქონდეს, მაგრამ ჩვენ პროგრამაზე იმიტომ ვმუშაობთ, რომ ქართული რაგბის განვითარება გვინდა. ამიტომ მწვრთნელებს მუშაობაში ბევრი რამის შეცვლა მოუწევთ, ახლებურად უნდა დაიწყონ საქმიანობა. თუ რამეს კარგად აკეთებდნენ, უკეთესად უნდა გააკეთონ, რასაც ვერ აკეთებდნენ, იმის გასაკეთებლად სხვა მეთოდები უნდა გამოიყენონ. ძალიან კარგი იქნება, თუ ყველა მიხვდება, რომ ეს პროგრამა მათთვის, მათი წინსვლისთვის გაკეთდა.

**- როდის იქნება მზად განვითარების ეს პროგრამა?**

- ქართული რაგბის 50 წლის საიუბილეო დღეების შემდეგ საქართველოდან ორი კვირით გავემგზავრები. 30 ნოემბერს დავბრუნდები და ამ დროისთვის როგორც საბაზისო, ისე დამხმარე მასალებიც, მეთოდიკაც მზად იქნება. მერე პრეზენტაციაც მალე მოეწყობა.

**- თქვენ საქართველოს A ნაკრებისა და პოლონეთის ეროვნული გუნდის მატჩიც ნახეთ. როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე ჩვენმა გუნდმა?**

- აშკარად ეტყობოდათ, რომ დასაწყისში ბიჭები ნერვიულობდნენ. ნათელი იყო, რომ ერთად ამ შემადგენლობით პირველად თამაშობდნენ. მერე, როცა ნერვები მოიწესრიგეს, საკმაოდ კარგად ამოქმედდნენ. კარგი იყო, რომ მეტოქის დძლევას გუნდურად, ყველა ერთად ცდილობდა და არა ცალ-ცალკე, ინდივიდუალურად.

დავინახე, რომ ცდილობდნენ მაღალი კლასის რაგბი ეთამაშათ, მაგრამ ყოველთვის არ გამოსდიოდათ. სწორედ ამას ემსახურება ჩვენი ჯგუფის საქმიანობაც. ავამაღლოთ მორაგბეების ინდივიდუალური ოსტატობა, ბავშვობიდანვე განვავითაროთ მათი სარაგბო უნარ-ჩვევები. პორტუგალიაში საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალში იტალიასთან სწორედ იმიტომ წააგო, რომ მოთამაშეების მეტ ნაწილს დაბალი ინდივიდუალური ოსტატობა ჰქონდა.

ერთ მაგალითს მოვიყვან: 2007 წლის მსოფლიო თასზე, თამაშის მსვლელობისას, მთელი მსოფლიო დარწმუნებული იყო, რომ საქართველოს ნაკრები ირლანდიას მოუგებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. დასკვნა ასეთია: ირლანდიის ნაკრებმა იცოდა, ის თამაში როგორ არ წაეგო, საქართველოს ნაკრებმა კი არ იცოდა, როგორ მოეგო. სწორედ ესაა ჩვენი მიზანი, ვასწავლოთ ქართველ მორაგბეებს, როგორ დაამარცხონ ბოლოს სარაგბო ქვეყნების გუნდები.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ქართულ რაგბის დიდი მომავალი აქვს. თუ შევძლებთ სწორი მიმართულებით ვიაროთ, საინტერესოა, სადამდე მივალთ, ამასთან, არავინ იცის, სად გადის ქართული რაგბის წინსვლის ზღვარი.

**ბესიკ ჯანგავაძე**

www.sport.gov.ge

კრივი




# პატრონი დაბრუნდება

ამერიკელი მძიმეწონოსანი **კრის არეოლა**, რომელიც ცოტა ხნის წინ სუპერმძიმე წონაში WBC-ის ვერსიით ტიტულის მთავარი პრეტენდენტი იყო, თავის მორიგ ბრძოლას 5 დეკემბერს გამართავს. მისი მოწინაალმდეგე იქნება კიდევ ერთი ამერიკელი **ბრაიან მინტო**, მეტსახელად „ურჩხული" (34 მოგება - 2 წაგება). მათი ბრძოლა ნიუ ჯერსის შტატის ქალაქ ბორდვოლკ ჰოლში ჩატარდება. 5 დეკემბერს აქ დიდი საკრივო შოუა დაგეგმილი, რომლის მთავარი შეხვედრა **პოლ უილიამსსა** და **სერხიო მარტინესს** შორის გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ არეოლამ თავისი ბოლო ბრძოლა 26 სექტემბერს, WBC-ის ტიტულის მფლობელ **ვიტალი კლიჩკოს** წინაალმდეგ გამართა და ტექნიკური ნოკაუტით დამარცხდა. წაგების შემდეგ 28 წლის ამერიკელმა მსაჯის მიმართ უხამსი ფრაზები გამოიყენა, რის გამოც დროებით გაძევებულ იქნა WBC-ის რეიტინგიდან. არეოლას პროფესიულ რინგზე 28 ბრძოლიდან 27 აქვს მოგებული, მათ შორის 24 - ნოკაუტით.

რაც შეეხება კრისის მეტოქეს, 34 წლის მინტოს, ბოლოს მან 14 ივლისს იჩხუბა და ნოკაუტში გაგზავნა **დონელ ჰოლმსი**.

■ ■ ■

ცნობილმა ბრიტანელმა მოკრივემ, მსოფლიოს ექსჩემპიონმა **რიკი ჰატონმა** განაცხადა, რომ სავარაუდოდ პროფესიულ კარიერას გააგრძელებს.

*„ბოლო დროს რამდენიმე საკრივო ორთაბრძოლას დავესწარი და უნდა ვაღიარო, რომ მომენატრა რინგზე გასვლა. ალბათ, დავბრუნდები რინგზე. იანვარში დასვენება მაქვს დაგეგმილი, შემდეგ კი კარიერის გაგრძელებაზე დავფიქრდები"*, - ამბობს ბრიტანელი მებრძოლი, რომელსაც შარშან ფილიპინელ **მენი პაკიაოსთან** წაგების შემდეგ აღარ უჩხუბია.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ტორონტო ყველაზე მდიდარია

„ტორონტო მეიპლ ლივზი" ზედიზედ მეოთხედ გავიდა პირველ ადგილზე ჟურნალ „ფორბსის" მიერ შედგენილ რეიტინგში. „ტორონტო" ჰოკეის ეროვნულ ლიგაში კვლავაც ყველაზე მდიდარ კლუბად არის მიჩნეული.

ავტორიტეტული გამოცემის შეფასებით, „მეიპლ ლივზის" ღირებულება 470 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ეს გუნდი ხუთი პროცენტით გაძვირდა. 2008-09 წლების სეზონში „ტორონტოს" შემოსავალმა 168 მილიონი დოლარი შეადგინა, აქედან სუფთა მოგება კი 78,9 მილიონს უდრის.

„ფორბსის" ვერსიით NHL-ის ყველაზე ძვირად ღირებული კლუბების საუკეთესო ხუთეულში აგრეთვე მოხვდნენ: „ნიუ იორკ რეინჯერსი" (416 მილიონი), „მონრეალ კანადიენსი" (339 მილიონი), „დეტროიტ რედ უინგზი" (337 მილიონი) და „ფილადელფია ფლაიერზი" (273 მილიონი).

სტენლის თასის მფლობელმა „პიტსბურგ პინგვინზმა" ამ რეიტინგში მხოლოდ მე-11 ადგილი დაიკავა. „ფორბსმა" ეს გუნდი 222 მილიონად შეაფასა.

ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბის საშუალო ღირებულება 223 მილიონ დოლარს შეადგენს, ხოლო 2008-09 წლებში მისი ყოველწლიური სუფთა მოგება 6.2 მილიონს უტოლდება.

**ბაფალო-ედმონტონი 3:1**

1:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 სტეფორდი-5 (ვანეკი-3, ტიმ კონოლი-10), 2:0 მონტადორი-1 (ტიმ კონოლი-11, სეკერა-1), 2:1 ო'სალივანი-3 (ჰემსკი-13, ვიშნოვსკი-7), 3:1 ჰეხტი-2.

**ნიუ ჯერსი-ანაჰაიმი 3:1**

1:0, 2:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ლანგენბრუნერი-3 (ე. გრინი-5, პარიზე-11), 1:1 პერი-12 (რაიანი-5, გეტცლაფი-15), 2:1 კლარკსონი-5 (ე. გრინი-6), 3:1 პარიზე-8 (ლანგენბრუნერი-10, კ. უაიტი-2).

**ვაშინგტონი-აილენდერსი 5:4 (ბ)**

2:3, 2:0: 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 სიომინი-8 (ბ. მორისონი-8), 1:1 მოულსონი-8 (შტრაიტი-6), 1:2 შტრაიტი-3 (ქერვე-2, შრემპი-2), 1:3 ბერგენჰაიმი-2, 2:3 ფლიშმანი-6 (ბექსტრიომი-18, ნუბლი-10), 3:3 სიომინი-9 (მ. გრინი-12), 4:3 ფერი-2 (კ. კლარკი-6, მ. გრინი-13), 4:4 ჰანტერი-2 (ტავარესი-9, ნილსენი-4).

**ბულიტები გაიტანეს:** ტამბელინი (აილენდერსი), სიომინი (ვაშინგტონი), კ. კლარკი (ვაშინგტონი).

**კაროლინა-ლოს ანჯელესი 2:5**

0:1, 1:1, 1:3

**გოლები:** 0:1 რ. სმიტი-9 (დ. ბრაუნი-11, კოპიტარი-15), 0:2 სტოლი-5 (რ. ჯონსი-1, სიმონდსი-6), 1:2 ტ. რუუტუ-3 (ბრინდამორი-5, სამსონოვი-5), 2:2 ტ. რუუტუ-4 (რეი უიტნი-5, ალბერტსი-2), 2:3 რ. ჯონსი-1 (ჯასტინ უილიამსი-10, ფროლოვი-10), 2:4 სიმონდსი-5 (ფროლოვი-11, ჰანფუში-4), 2:5 ჯასტინ უილიამსი-5 (რ. სმიტი-13, კოპიტარი-16).

**კოლამბუსი-დეტროიტი 1:9**

0:4, 1:2, 0:3

**გოლები:** 0:1 კლირი-3 (ზეტერბერგი-10), 0:2 დაციუკი-3, 0:3 დრეიპერი-3 (ლებდა-1), 0:4 კრონვალი-3 (კლირი-5), 1:4 ნეში-12 (უმბერგერი-7, კლესლა-3), 1:5 ბერტუცი-3 (დაციუკი-11, ჰოლმსტრიომი-3), 1:6 ლეინო-3 (ზეტერბერგი-11, ლიდსტრიომი-5), 1:7 კრონვალი-4 (რაფალსკი-7, ბერტუცი-5), 1:8 აბდელკადერი-2 (ივსი-3), 1:9 აბდელკადერი-3 (მეი-1, კრონვალი-5).

**ჩიკაგო-კოლორადო 3:2 (ბ)**

1:1, 0:1, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 კამისკი-2 (პენსიკი-2, მაკლეოდი-4), 1:1 პ. კეინი-5 (შარპი-9, ტეუვზი-5), 1:2 ვოლსკი-9, 2:2 ბარკერი-4 (ფრეზერი-3, სოპელი-1).

**ბულიტები გაიტანეს:** ტეუვზი (ჩიკაგო), სვატოსი (კოლორადო), შარპი (ჩიკაგო).

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ფინიქს სანზი: შაქის გარეშე უკეთესია

**„ფინიქს სანზს" ნეშისა და სტაუდმაიერის წყვილით ასე კარგად სეზონი არასოდეს დაუწყია. ელვინ ჯენტრის აღდგენითი სამუშაოები, ამარეს ბოლო საკონტრაქტო წელი, უბერებელი სტივ ნეში და გრანტ ჰილი, ჩენინგ ფრაის მიერ ნაპოვნი შანსი - ასეთია დღევანდელი „ფინიქსი", რომელიც დასავლეთ კონფერენციას ლიდერობს.**

**შაკილ ო'ნილის** გარეშე „ფინიქსი" გაცილებით მსუბუქი გახდა როგორც პირდაპირი, ასევე ფინანსური თვალსაზრისითაც. შაკისგან გათავისუფლებულმა **სტივ ნეშმა** და **ამარე სტაუდმაიერმა** მოქმედების მეტი თავისუფლება მიიღეს. სეზონის წინ განხორციელებული ტრეიდით **სტივ კერმა** ავანსად ბოლო ათწლეულის ყველაზე „სულელი" გენერალური მენეჯერის სტატუსი მოიპოვა. თუმცა ასეთი შთამბეჭდავი სტარტის შემდეგ, შაკილის „კლივლენდში" გაშვება, შესაძლოა, ერთ-ერთ ყველაზე ჭკვიანურ გადაწყვეტილებად მოინათლოს.

**სტივ ნეში.** ნეში ისე ათამაშდა, როგორც მას ეკადრება. ის გარღვევებზე მიდის, გრძელ და მოკლე პასებს აკეთებს, სამქულიანებს აგდებს, თამაშის ტემპს აკონტროლებს - კანადელი „ფინიქსის" შეტევაზე ტოტალურ კონტროლს ახორციელებს. ნეში დაბერდა, მაგრამ ის გენიალურია. დაცვაში კანადელი ძველებურად ჭკვიანი და სუსტია.

**ამარე სტაუდმაიერი.** რა თქმა უნდა, ოპერაციის შემდეგ ჩვეული კონდიციების საბოლოოდ აღდგენა და გუნდთან ხელახალი შერწყმა გარკვეულ დროს საჭიროებს. ამარე ჯერჯერობით ცოტას ისვრის (9.8 მცდელობა თამაშში - მეექვსე შედეგი გუნდში), არასაკმარისად აგრესიულია ფარქვეშ ბრძოლაში, ნაკლებად ცდილობს დაცვაში მეტოქეთა ტყორცნების ბლოკირებას. მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ ამარე და სტივი ერთ ტალღაზე არიან.

თუმცა ერთ-ერთ ბოლო მატჩში ხუთი შეცდომა და არც ერთი შედეგიანი პასი იმაზე მიანიშნებს, რომ ამარე თავისი ახალი კონტრაქტისთვის უფრო მონდომებით თამაშობს, ვიდრე გუნდისთვის.

**ჩენინგ ფრაი.** ამ კალათბურთელის კარიერა არასწორად ვითარდებოდა, ამაზე ციფრებიც კარგად მეტყველებს: 12 ქულა პირველ სეზონში, 9 - მეორეში, 6 - მესამეში და 4 - მეოთხეში. პირველი სეზონი ყველაზე წარმატებული იყო მის კარიერაში. „პორტლენდში" ფრაის ინერტულობაში სდებდნენ ბრალს, არ მოსწონდათ მისი პერიმეტრზე თამაშისკენ მიდრეკილება და არასაკმარისი მობილიზება. „ფინიქსში" ყველა ეს ნაკლი ღირსებად იქცა. დღევანდელი ფრაი „მიილო-ისროლას" ტიპის კალათბურთელად ჩამოყალიბდა. ეს როლი მას ზუსტად შეეფერება, რადგან გუნდში ნეშის დონის გამთამაშებელი ჰყავს. ჩენინგს არ შეუძლია თამაშის წაყვანა, პასების დარიგება, ფარქვეშ შესვლა, მაგრამ მან თავისი გუნდი იპოვა. „სანზი" ამ კალათბურთელისგან მაქსიმუმს იღებს და ჩენინგიც იმდენს იძლევა, რამდენიც შეუძლია. მთელი ზაფხული ის სამქულიანებზე მუშაობდა და ახლა პერიმეტრიდან ზუსტი ტყორცნების საშუალო მაჩვენებელი 0.3-დან ოთხამდე გაიზარდა, საშუალო შედეგიანობამ კი შარშანდელთან შედარებით თითქმის ოთხჯერ იმატა.

ცხადია, რომ სამქულიანების 50 პროცენტის სიზუსტით ჩაგდებასა და უფრო ათლეტური და ძლიერი ოპონენტების წინააღმდეგ პერსონალურების გარეშე თამაშს, ფრაი მთელი სეზონი ვერ მოახერხებს და ვერც ასეთ მაღალ შედეგიანობას შეინარჩუნებს. მაგრამ ამ ბიჭმა საკუთარი თავი იპოვა და აუცილებლად დიდ სარგებლობას მოუტანს „ფინიქსს".

**გრანტ ჰილი.** ფრაის ნაკლებაგრესიულობის გამო (ჩენინგის მსგავს მოთამაშეებს მხოლოდ გაბარიტების გამო უწოდებენ ცენტრს), „ფინიქსის" ვეტერანს ხშირად უშვებენ ფარქვეშ სათამაშოდ და სწორადაც იქცევიან! დღეს ჰილი ლიდერობს თავის გუნდში მოხსნების რაოდენობით (საშუალოდ 10.3). გამოცდილი ფორვარდი შეტევაში უბურთოდ უნარიანად მოძრაობს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, როცა გუნდში სტივ ნეშის მსგავსი გამთამაშებელი გყავს. ჰილს ყოველთვის შეუძლია „აფეთქება", როგორც ეს „გოლდენ სტეიტთან" მატჩში გააკეთა. სწორედ ამისთვის უყვართ ის „ფინიქსში".

**ჯარედ დადლი.** დღეს ეს კალათბურთელი საუკეთესო პერსონალური მცველია „სანზში". ამ სეზონში მისი როლი გაიზარდა. ის შესანიშნავად იცავს თავს ბურთიანი მოწინაალმდეგის წინააღმდეგ, კარგად ეხმარება პარტნიორს ბლოკის დაყენებაში და ისევ თავის მოთამაშეს უბრუნდება. ამასთან ერთად, ის შესანიშნავად გარბის კონტრშეტევაში („სანზის" საკალათბურთო ფილოსოფიის გათვალისწინებით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი თვისებაა) და შორიდან სროლა შეუძლია.

**რობინ ლოპესი** და **ლუის ამუნდსენი.** მათი სამუშაო - დაცვა, მოხსნა და დაფარება. ისინი სათადარიგოთა სკამიდან უმატებენ ენერგიას გუნდის თამაშს. თანაც ისეთი განსხვავებული ცენტრების მორიგეობით გამოყენება, როგორებიც არიან ფრაი, ამუნდსენი და ლოპესი, ნებისმიერ გუნდს დაცვის გადაწყობას აიძულებს.

**ირლ კლარკი.** ჯერ რთულია ამ კალათბურთელზე ლაპარაკი. კოლეჯში ის პერიმეტრზე თამაშს ანიჭებდა უპირატესობას, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში კი ჯერ შორიდან არ უსვრია, სამაგიეროდ მოხსნებისკენ მიდრეკილება გამოავლინა, რაც ასე სჭირდება „ფინიქსს". გარდა ამისა, ეხერხება დაცვაში თამაში.

**გორან დრაგიჩი.** ჩემპიონატის სტარტზე გორანმა საკმარისად ბევრი სათამაშო დრო მიიღო. და ერთადერთი, რაც სლოვენიელმა გააკეთა, ეს იყო ქულების დაგროვება მაშინ, როცა მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. მისგან მომავალშიც ამას მოითხოვენ, მეტი ჯერ მაინც არ შეუძლია.

**პროგნოზი.** „ფინიქსის" შეტევაში, რა თქმა უნდა, ნეში დომინირებს. ლიგის ყველაზე მორბენალ გუნდს საკმაოდ კარგი დაცვა ჰყავს. დაცვაში ეფექტური მოქმედების მხრივ, ეს გუნდი ლიგაში მე-12 ადგილს იკავებს.

საერთო ჯამში, როცა ყველა „თავის" ბურთს აგდებს, ნეში მონოდების სიმაღლეზეა, ამარე აგრესიულად თამაშობს - „ფინიქსი" თითქმის დაუმარცხებელი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს. თავად განსაჯეთ, დღეისთვის ამ გუნდს ცხრიდან მხოლოდ ერთი წაგება აქვს.

**ინდიანა-გ. სტეიტი 108:94**

32:28, 32:19, 20:23, 24:24

ი: გრეინჯერი (31+16 მოხსნა), ჰიბერტი (16+9 მოხსნა), უოტსონი (16), ჰენსბრო (11+8 მოხსნა), რაში (11+7 მოხსნა), ჯონსი (10+4 დაფარება), ჯონსი (4+9 მოხსნა).

გ-ს: მაგეტი (21), რენდოლფი (17+13 მოხსნა), ელისი (16+9 მოხსნა), აზუბუიკე (10).

**ტორონტო-ჩიკაგო 99:89**

27:25, 26:35, 24:18, 22:11

ტ: ბოში (28+11 მოხსნა), კალდერონი (18+6 პასი), ბარნიანი (16), თურქოგლუ (11+8 მოხსნა), დეროზანი (9+9 მოხსნა).

ჩ: დენგი (18+8 მოხსნა), გიბსონი (18), როუზი (14+6 პასი), ნოა (12+11 მოხსნა), ჰაინრიხი (11).

**ბოსტონი-იუტა 105:86**

28:23, 26:21, 30:18, 21:24

ბ: გარნეტი (18), ალენი (15), რონდო (14+11 პასი), პირსი (13+6 პასი), რ. უოლასი (12), პერკინსი (19+8 მოხსნა), დენიელსი (10).

ი: უილიამსი (13+7 მოხსნა), ბრიუერი (13), კირილენკო (12), ბუზერი (10), მილსეპი (9+13 მოხსნა).

**დეტროიტი-შარლოტი 98:75**

20:22, 32:19, 29:12, 17:22

დ: ვილანუევა (30), გორდონი (22+8 პასი), სტაკი (16+7 პასი), ბინუმი (16), ბ. უოლასი (0+9 მოხსნა).

შ: მოჰამედი (13+8 მოხსნა), ჯ. უოლასი (12), მიურეი (11), ფელტონი (10).

**ნიუ ჯერსი-ფილადელფია 79:82**

21:22, 19:21, 18:17, 21:22

ნ-ჯ: ლოპესი (23+14 მოხსნა), ჰესელი (13), ელსტონი (11), სიმონსი (11), უილიამსი (10+12 მოხსნა).

ფ: იანგი (20), სპეიტსი (19+9 მოხსნა), უილიამსი (10+7 პასი), იგუოდალა (9+9 მოხსნა+6 პასი).

**ნიუ იორკი-ატლანტა 101:114**

25:23, 29:24, 23:37, 24:30

ნ-ი: ჰარინგტონი (23+12 მოხსნა), ჰიუზი (14+8 პასი), დაგლასი (23), ჩენდლერი (14), გალინარი (12+7 მოხსნა).

ა: ჰორფორდი (25+9 მოხსნა), სმიტი (22+12 მოხსნა), ბიბი (19+9 პასი), ჯონსონი (19+7 მოხსნა), ევანსი (12), კროუფორდი (11).

**მილუოკი-დენვერი 108:102**

27:27, 26:20, 28:25, 27:30

მ: ჯენინგსი (32+9 პასი), ბოგუტი (23+10 მოხსნა+4 დაფარება), ილიასოვა (17+8 მოხსნა), მბა ა მუტე (10+9 მოხსნა).

დ: ენტონი (32+10 მოხსნა), ბილაპსი (19), სმიტი (18), ნენე (16+7 მოხსნა).

**მინესოტა-პორტლენდი 84:107**

23:18, 19:32, 19:35, 23:22

მ: ფლინი (15), ჯეფერსონი (14), პავლოვიჩი (13), სეშენსი (10).

პ: ოდენი (18+11 მოხსნა), უებსტერი (16), ფერნანდესი (15), როი (14), ოლდრიჯი (11), მილერი (9+10 პასი), პრჟიბილა (3+11 მოხსნა+4 დაფარება).

**ორლანდო-კლივლენდი 93:102**

28:35, 23:31, 17:22, 25:14

ო: კარტერი (29), ნელსონი (19), ჰოვარდი (11+7 მოხსნა), რედიკი (10).

კ: ჯეიმსი (36+8 მოხსნა), უილიამსი (28+6 პასი), ო'ნილი (10).

**ჰიუსტონი-მემფისი 104:79**

20:17, 23:21, 31:19, 30:22

ჰ: სკოლა (22+15 მოხსნა), ლენდრი (20+4 დაფარება), არიზა (17+7 პასი), ბადინგერი (15), ლოური (8+8 მოხსნა+10 პასი).

მ: მაიო (19), გეი (18), რენდოლფი (18+10 მოხსნა), ჰანტერი (6+10 მოხსნა).

**სან ანტონიო-დალასი 92:83**

21:21, 30:17, 28:26, 13:19

ს-ა: ჯეფერსონი (29+7 მოხსნა), ბოგანზი (13), ჯინობილი (13), ბონერი (11+9 მოხსნა), ჰილი (11+7 მოხსნა), მაკდაესი (9+9 მოხსნა).

დ: ნოვიცკი (29+12 მოხსნა), ტერი (19), მერიონი (11+9 მოხსნა), კიდი (5+9 პასი).

**კლიპერსი-ოკლაჰომა 79:83**

22:22, 26:21, 21:23, 10:17

კ: კამანი (20+11 მოხსნა), დევისი (17+7 მოხსნა+9 პასი), ტორნტონი (15+9 მოხსნა), კემბი (8+8 მოხსნა).

ო: დურანტი (30+10 მოხსნა), გრინი (13), ოლი (11), კრისტიჩი (10).

**ფინიქსი-ნიუ ორლეანი 124:104**

40:29, 35:27, 26:21, 23:27

ფ: სტაუდმაიერი (21), ჰილი (18), დრაგიჩი (14+7 მოხსნა+7 პასი), რიჩარდსონი (13), ფრაი (13), ნეში (12+10 პასი), ბარბოზა (11), დადლი (11).

ნ-ო: პოლი (25+6 პასი), ოკაფორი (13), პოუსი (11), უესტი (10), კოლისონი (10).

# ლიგას ჯუჯა დაუბრუნდა

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას უბრუნდება მსოფლიოში ყველაზე დაბალი მოქმედი კალათბურთელი **ირლ ბოიკინსი**, რომლის სიმაღლე 165 სანტიმეტრია. ამ კალათბურთელმა თავისუფალი აგენტის სტატუსით კონტრაქტი გააფორმა „ვაშინგტონ უიზარდსთან". ბოიკინსი უნდა დაეხმაროს გუნდს, რომელმაც ტრავმების გამო რამდენიმე კალათბურთელი დაკარგა. ამჟამად „უიზარდსს" სამი მცველი აკლია - **რენდი ფოიე, ჯავარის კრიტერტონი** და **მაიკლ ჯეიმსი**. გარდა ამისა, უახლოეს მატჩებში კითხვის ნიშნის ქვეშ დგას **ანტუან ჯეიმისონის, მაიკ მილერისა** და **გილბერტ არენასის** თამაში.

33 წლის ბოიკინსმა შარშანდელი სეზონი იტალიის „ვირტუსში" გაატარა, მანამდე კი ათი წელი NBA-ში ითამაშა. ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 520 მატჩი გამართა და საშუალოდ 9.4 ქულა და 3.4 შედეგიანი პასი დააგროვა. ყველაზე კარგი სტატისტიკა მას „დენვერ ნაგეტსში" თამაშის დროს ჰქონდა, როცა საშუალოდ 10 ქულით ეხმარებოდა გუნდს.

ბოიკინსი, რომლის წონა 63 კილოგრამია, ადრე NBA-ის ისტორიაში ყველაზე მსუბუქ კალათბურთელად ითვლებოდა (60.3 კგ), ხოლო ლიგის არსებობის განმავლობაში მასზე ტანდაბალი კალათბურთელი მხოლოდ **მაგსი ბოგზი** იყო, რომლის სიმაღლე 160 სანტიმეტრი გახლდათ.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩოგბურთი. პარიზის მასტერსი

# როჯერი დარბაზში ვერ თამაშობს



პარიზის მასტერსზე მეორე წრიდან ჩაებნენ ბრძოლაში რეიტინგის ლიდერები და ამ ეტაპზე მთავარი ფავორიტი სენსაციურად გამოეთიშა ტურნირს. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **როჯერ ფედერერმა** მაყურებელთა შორის გადაინაცვლა მას შემდეგ, რაც სამ სეტში დამარცხდა ფრანგ **ჟულიან ბენეტოსთან**.

პირველ პარტიაში ფედერერის კატასტროფას თითქოს არაფერი მოასწავებდა. შვეიცარიელმა მეოთხე გეიმში ბრეიკი გააკეთა, ხოლო თავის მოწოდებაზე ერთი შანსიც არ დაუტოვა მეტოქეს და პარტია 6:3 მოიგო.

მეორე სეტში არც ერთ ჩოგბურთელს ბრეიკ-პოინტი არ ჰქონია და შესაბამისად, ყველაფერი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა, სადაც მასპინძელმა ორი მინი-ბრეიკი გააკეთა, თავის მოწოდებაზე ყველა ქულა აიღო და 7:4 გაიმარჯვა. სეტებს შორის ანგარიში გათანაბრდა.

ამ შეხვედრაში გადამწყვეტი აღმოჩნდა მესამე სეტის მესამე გეიმი, როცა ბენეტომ მეტოქის მოწოდება აიღო. ფედერერი ბევრს ეცადა ანგარიშის გათანაბრებას, რამდენიმე ბრეიკ-პოინტიც ჰქონდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და ჟულიენმა კარიერაში პირველად დაამარცხა შვეიცარიელი ჩოგბურთელი.

*„დაუჯერებელია. ამაზე მხოლოდ ოცნება თუ შემეძლო. არასოდეს დამავიწყდება ეს მატჩი და ის ემოციები, რომელიც კორტზე განვიცადე. არ მახსოვს ჩემს კარიერაში მატჩი, რომელშიც ამდენი ფიზიკური და ფსიქოლოგიური რესურსი დავხარჯე კონცენტრაციის შესანარჩუნებლად“*, - განაცხადა მატჩის შემდეგ ბენეტომ.

რაც შეეხება ფედერერს, ამ სეზონში მას დარბაზებში თამაში მაინცდამაინც არ გამოსდის. „დიდი სლემის“ ტურნირების 15-გზის ჩემპიონმა დახურულ არენაზე შვიდი ტურნირი ითამაშა და მეოთხედფინალზე შორს ვერც ერთში ვერ გავიდა.

კინაღამ ფედერერის გზას გაუყვა **რაფაელ ნადალი**. თანამემამულე **ნიკოლას ალმაგროსთან** შეხვედრაში მსოფლიოს მეორე ჩოგანმა პირველი სეტი 3:6 წააგო. რაფა ვერც მეორე პარტიაში ბრწყინავდა და ალმაგროს ამ სეტის მსვლელობისას 5 მატჩ-პოინტი ჰქონდა. ნადალი მხოლოდ გადამწყვეტ მომენტებში ფხიზლდებოდა და სწორედ ამის ხარჯზე არა მარტო გაათანაბრა ანგარიში, არამედ მატჩის მოგებაც მოახერხა.

მეორე სეტი რაფაელმა ტაი-ბრეიკზე მოიგო, მესამეში კვლავ ბეწვის ხიდზე გაიარა, როცა 1:3 ჩამორჩა, მაგრამ კიდევ ერთხელ გამოავლინა მებრძოლი ხასიათი და 3 საათისა და 14 წუთი ბრძოლის შემდეგ მერვედფინალის საგზური მოიპოვა. მომდევნო ეტაპზე ნადალის მეტოქე კიდევ ერთი ესპანელი **ტომი რობრედო** იქნება.

ბრძოლას აგრძელებს ამერიკის ღია პირველობის ჩემპიონი, არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტრო**, რომელსაც გუშინ მეტად საპატიო მისია დაეკისრა - სწორედ მან გაამგზავრა პენსიაში რუსი **მარატ საფინი**, ვისთვისაც პარიზის მასტერსი ბოლო ტურნირი იყო კარიერაში.

საფინის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ურთულეს მატჩში მან ერთი სეტი აართვა მეტოქეს, მაგრამ ახალგაზრდა არგენტინელის კლასმა მაინც თავისი გაიტანა და დელ პოტრომ პირველი და მესამე სეტი ერთნაირი ანგარიშით - 6:4 მოიგო.

საფინმა კარიერა 15 ტიტულით დაასრულა, მათ შორის ორი „დიდი სლემის“ ტურნირებზე მოიპოვა - 2000 წელს მოიგო ავსტრალიის ღია პირველობა და 2005 წელს - ამერიკის ჩემპიონატი. თუმცა კარიერის ბოლო წლებში საფინი ბევრი ვერაფრით გამოირჩეოდა და ბოლო ოთხი სეზონია ერთი ტურნირიც არ მოუგია.

ბოლო მეთექვსმეტედფინალი გვიან ღამით დასრულდა. **ენდი მიურეიმ** 21 ეისი ჩააწოდა ამერიკელი **ჯეიმს ბლეიკის** წინააღმდეგ და შეხვედრა სამ სეტში მოიგო - 6:3, 6:7(5), 7:6 (4). აღსანიშნავია, რომ ბოლო ორ სეტში ვერც ერთმა ჩოგბურთელმა ვერ შეძლო ბრეიკის გაკეთება.

# სიოდერლინგი ზლატანს გაეჯიბრება



შვედი ჩოგბურთელი **რობინ სიოდერლინგი** 2009 წლის შედეგების მიხედვით ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენის ტიტულზე აცხადებს პრეტენზიას. ნომინაციაში - „წლის სპორტსმენი“, როლან გაროსის ფინალისტის კონკურენტები იქნებიან: „ბარსელონას“ ფეხბურთელი **ზლატან იბრაჰმოვიჩი**, ველომრბოლი **გუსტავ ლარსონი** და გოლფისტი **ჰენრიკ სტენსონი**. დაჯილდოების ცერემონია 2010 წლის 18 იანვარს გაიმართება.

ამ სეზონში, რომელიც ჯერჯერობით საუკეთესოა 25 წლის ჩოგბურთელის კარიერაში, სიოდერლინგმა ATP-ის ერთი ტურნირი მოიგო ბაშტადში, აგრეთვე საფრანგეთის ღია პირველობის ფინალში გაალწია, სადაც მსოფლიოს პირველ ჩოგანთან **როჯერ ფედერერთან** დამარცხდა. წელსვე რობინმა ATP-ის კლასიფიკაციის საუკეთესო ათეულში შეაღწია, რაც მის კარიერაში საუკეთესო შედეგია.

სიოდერლინგი ამჟამად პარიზის მასტერსზე გამოდის და წლის შემაჯამებელი ტურნირის ერთადერთ ვაკანტურ საგზურზე აცხადებს პრეტენზიას. რობინმა გუშინ მერვედფინალში ამ საგზურისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტი - რუსი **ნიკოლაი დავიდენკო** დაამარცხა. იმისთვის, რომ სკანდინაველმა ლონდონში გამგზავრების უფლება მიიღოს, მას პარიზში ფინალში გასვლა ესაჭიროება.

ცურვა



# სტოკჰოლმმა ათი რეკორდი იხილა

სტოკჰოლმში გამართული მსოფლიოს თასის ეტაპის გმირი გახდა ჩინელი მოცურავე **ჟინ ჟაო**, რომელმაც ორი დღის განმავლობაში მსოფლიოს სამი რეკორდი დაამყარა. 25-მეტრიან აუზში აზიელმა თავიდან 100 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში აჩვენა ყველა დროის საუკეთესო დრო. ჩინელმა დისტანცია 58,40 წამში დაფარა, რაც 11 მეასედი წამით ნაკლები აღმოჩნდა შვედი **ტერეზა ალშამარის** წინა რეკორდზე.

ამის შემდეგ, ჟაომ ზედიზედ ორჯერ (კვალიფიკაციასა და ფინალში) პირველობა არავის დაუთმო 50 მეტრზე ზურგზე ცურვაში და თან ორჯერვე განაახლა მსოფლიოს რეკორდი.

საერთოდ, მსოფლიოს თასის ამ ეტაპზე ორი დღის განმავლობაში კიდევ შვიდი რეკორდი დამყარდა. მათი ავტორები გახდნენ ალშამარი (50 მეტრი ბატერფლაი), ჩინელი **ჟიგე ლიუ** (200 მეტრი ბატერფლაი), ამერიკელელები **ჯესიკა ჰარდი** (50 მეტრი ბრასი) და **პიტერ მარშალი** (50 მეტრი გულაღმა), ბრაზილიელი **კაიო ალმეიდა** (200 მეტრი ბატერფლაი), ავსტრალიელი **ფელისიტი გალვესი** (100 მეტრი ბატერფლაი) და ფრანგი **ფრედერიკ ბუსკე** (50 მეტრი თავისუფალი).

ჩვენ უკვე ვწერდით სტოკჰოლმის ეტაპზე **მაიკლ ფელპსის** სუსტი გამოსვლის შესახებ. 100 მეტრზე თავისუფალი სტილითა და ბატერფლაით ცურვაში ამერიკელი ფინალში ვერ გავიდა. ბოლოს ის 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში გამოდიოდა და ვერც აქ შეძლო პირველობის მოპოვება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **იტალიის თასი** | |
| **III რაუნდი** | |
| სიენა-გროსეტო | 2:0 |
| **ესპანეთის თასი** | |
| **1/16 ფინალი** | |
| ალმერია-ერკულესი | 0:1 (1:2) |
| **ნორვეგია** | |
| **პლეი ოფი** | |
| კონგსვინგერი-სარპსბორგი | 3:1 |
| **ჩეხეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი. I მატჩი** | |
| სპარტა-ბუდეიოვიცე | 1:0 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| ლეტუვოს რიტასი-პარტიზანი | 78:56 |
| ოლიმპიაკოსი-ეფესი | 105:90 |
| მილანი-ხიმკი | 68:72 |
| რომა-მაკაბი | 90:92 (ო) |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-ავტომობილისტი | 4:4 |
| ბარისი-მეტალურგი (მ) | 7:1 |
| ს. იულიაევი-ტრაქტორი | 5:0 |
| ლადა-დინამო (მნ) | 3:3 |
| აკ ბარსი-დინამო (რ) | 1:3 |
| ნეფტეხიმიკი-დინამო (მ) | 1:3 |
| **ავსტრია** | |
| ზალცბურგი-ლინცი | 3:5 |
| **გერმანია** | |
| დიუსელდორფი-ფრანქფურტი | 1:1 |
| **ნორვეგია** | |
| ლორენსკოგი-სტორჰამარი | 4:3 |
| მანგლერუდი-ვოლერენგა | 1:1 |
| სპარტა-ლილეჰამერი | 6:4 |
| ფრისკ ასკერი-სტიორნენი | 3:3 |
| **სლოვაკეთი** | |
| სკალიცა-სლოვანი | 3:5 |
| **ფინეთი** | |
| კიეკო-ლუკო | 3:3 |
| ჰპკ-იუვიასკიულა | 1:4 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიბერეცი-კლადნო | 8:1 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ლინჩოპინგი | 2:2 |
| ბრიუნასი-ტიმრა | 4:1 |
| როგლე-სიოდერტალე | 1:4 |
| ფერიესტადი-მოდო | 4:1 |
| ჰ371-ფრიოლუნდა | 2:2 |
| იურგორდენი-ლულეა | 6:3 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. პარიზი** | |
| დავიდენკო-სიოდერლინგი | 3:6, 6:3, 4:6 |
| ჯოკოვიჩი-ჰაასი | 6:2, 6:2 |
| ცონგა-სიმონი | 6:2, 6:3 |
| ვერდასკო-ჩილიჩი | 6:3, 3:6, 4:6 |
| მონფილსი-ბენეტო | 6:4, 6:3 |
| მიურეი-შტეპანეკი | 6:1, 3:6, 4:6 |
| ნადალი-რობრედო | 6:3, 3:6, 7:5 |

TV პროგრამა

**13 ნოემბერი. პარასკევი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:45 კალათბურთი. ევროლიგა. IV ტური. ოლიმპიაკოსი-ეფეს პილსენი.
11:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბაფალო-ედმონტონი.
13:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ბლექბერნი.
15:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ბორუსია (დ).
16:45 კალათბურთი. ევროლიგა. IV ტური. მარუსი-კახა ლაბორალი.
18:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
18:55 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:05 სპორტული სამყარო.
19:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ოტავა.
21:20 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:30 კალათბურთი. ევროლიგა. IV ტურის მიმოხილვა.
22:00 100% დინამო.
22:30 სპორტკლუბი.
23:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
00:15 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
00:20 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. 1/2 ფინალი. რივერ პლეიტი-ლდუ.
02:10 კალათბურთი. ევროლიგა. IV ტური. ოლიმპიაკოსი-ეფეს პილსენი.
03:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ბორუსია (დ).
05:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ატალანტა-იუვენტუსი.
07:20 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.

**SPORT 2 (უკრაინა)**

08:30 ცურვა. მსოფლიოს თასი. სტოკჰოლმი. შვედეთი.
10:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. არსენალი-ალკმაარი.
12:20 კალათბურთი. ევროლიგა. IV ტური. ოლიმპიაკოსი-ეფეს პილსენი.
14:15 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბაფალო-ედმონტონი.
16:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/4 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
21:00 ჰოკეი. NHL.
21:35 საჰაერო რბოლები. Red Bull 2009. ბარსელონა, ესპანეთი.
22:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/4 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
02:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ოტავა.
04:20 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
05:15 კალათბურთი. ევროლიგა. IV ტური. მარუსი-კახა ლაბორალი.
07:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შალკე.

**EUROSPORT**

11:30 ფეხბურთი. სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩები.
12:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/2 ფინალი. ნიგერია.
14:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/2 ფინალი. ნიგერია.
15:30 ფეხბურთი. სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩები.
16:30 ბოულინგი. შოტლანდიის ღია პირველობა. VI დღე. პერტი.
17:45 ბოულინგი. შოტლანდიის ღია პირველობა. VII დღე. პერტი (LIVE).
20:30 ფეხბურთი. სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩები.
21:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:00 ბოულინგი. PBA-ის ტური. აშშ.
23:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ჩემპიონთა ლიგა. ესპანეთი.
00:00 პროფესიული კრივი. საშუალო წონა. ს. ჯღამარდაშვილი (საქართველო)-ა. კოძოევი (რუსეთი). საფრანგეთი (LIVE).
02:00 პოკერი. საფრანგეთი.
03:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
03:10 ექსტრემალური სპორტი.
03:25 ფეხბურთი. სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩები.

მძლეოსნობა

# ელენას ჩემპიონი კონკურენტები

ორი დღის წინ, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ წლის საუკეთესო მამაკაცი მძლეოსნის ტიტულის მაძიებლები დაასახელა. გუშინ კი ცნობილი გახდა ამავე ნომინაციაში ქალი პრეტენდენტების სია.

წლის საუკეთესო მძლეოსნის სტატუსზე პრეტენზიას აცხადებენ: რუსი ჭოკით მხტომელი, ამ პრიზის შარშანდელი ლაურეატი **ელენა ისინბაევა**, 400 მეტრზე მორბენალი **სანია რიჩარდსი** (აშშ), ბირთვისმკვრელი **ვალერი ვილი** (ახალი ზელანდია), სიმაღლეზე მხტომელი **ბლანკა ვლასიჩი** (ხორვატია) და უროს მტყორცნელი **იანიტა ვლოდარიჩიკი** (პოლონეთი).

აღსანიშნავია, რომ ისინბაევას გარდა, ყველა მათგანმა წელს ბერლინში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა.

FM 107.9
საქართველოს ხმა
ყოველ შაბათ-კვირას 15:00-22:00
რადიო „საქართველოს ხმის“ (FM 107.9) პირდაპირ ეთერში ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები და ანალიზი, სტუდიის სტუმარი, სატელეფონო ზარები, ვიქტორინა და პრიზები - გადაცემაში „სპორტ ონლაინ“ დონ ვდოსა და ირაკლისთან ერთად.
გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერია სპორტული გაზეთი „ლელო“

ფორმულა 1

## ბატონს ხელფასს არ უმატებენ

„ბრაუნ გრან-პრის“ შეფმა **როს ბრაუნმა** აღიარა, რომ წლევანდელ ჩემპიონს **ჯენსონ ბატონს** ხელფასის გაზრდაზე უარი უთხრა. ბრიტანელი პილოტი წლიური ჯამაგირის სახით 6 მილიონ ფუნტს ითხოვდა. ამის სანაცვლოდ, გუნდმა ჯენსონს პირადი სპონსორების მოზიდვის ნება დართო.

„ჩვენ შეგვიძლია ბატონს მეტი თავისუფლება მივანიჭოთ და სავარაუდოდ, ასეც მოვიქცევით. აქამდე ჯენსონს საკუთარ სპონსორებთან კონტრაქტების გაფორმებაზე გარკვეული უფლებები ჰქონდა, მაგრამ მას ჩვენი ვალდებულებების გათვალისწინებაც უნევდა. თუ ის ახალი კონტრაქტის გაფორმებას გადაწყვეტს, შეუზღუდავად შეეძლება პირადი სპონსორების მოზიდვა“, - ამბობს ბრაუნი.



გამორიცხული არ არის, რომ ბატონი არ დათანხმდება „ბრაუნ გრან-პრიში“ ძველ ხელფასზე გამოსვლას და განაახლებს მოლაპარაკებებს „მაკლარენთან“.




კრივი

## ტაისონი ისევ დაიჭირეს

ლეგენდარული ამერიკელი მძიმეწონოსანი **მაიკ ტაისონი** მორიგ შარში გაეხვია. მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი ლოს ანჯელესის საერთაშორისო აეროპორტში პოლიციამ დააკავა.

ამჯერად მოკრივის დაპატიმრების მიზეზი რეპორტიორთან ჩხუბი გახლავთ. ინციდენტი აეროპორტის ერთ-ერთ სალაროსთან მოხდა. როგორც პაპარაცის ჩვენებიდან ვიგებთ, ტაისონმა მას სახეში მუშტი გაარტყა, რის შემდეგაც ფოტოაპარატი წაართვა და გადაღებული მასალის განადგურება მოინდომა.

ფოტოგრაფის სიტყვებით, „რკინის მაიკის“ დარტყმის შემდეგ დაეცა და იატაკს თავი დაარტყა. მოგვიანებით რეპორტიორი ერთ-ერთ ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს.



პოლიციამ მოკრივისგან მომხდარის სრულიად განსხვავებული ვერსია მოისმინა. გაზეთ „ლოს ანჯელეს თაიმსის“ ცნობით, ტაისონმა პოლიციელებს განუცხადა, რომ პირველად მას ფოტოგრაფმა დაარტყა, რადგან მას ამ გზით კონფლიქტის პროვოცირება სურდა. ყოფილი მოკრივის **ტემი ბრუკის** სიტყვებით, ჟურნალისტი თავიდანვე აგრესიულად იყო განწყობილი, ტაისონი კი, რომელიც მეუღლესა და 10 თვის შვილთან ერთად მოგზაურობს, თავდაცვის მიზნით მოქმედებდა. ინციდენტის ორივე მონაწილე ერთმანეთისთვის სასამართლოში ჩივილს აპირებს.

ტაისონი აეროპორტიდან პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს, მოგვიანებით კი 20 ათასი დოლარის გადახდის შემდეგ თავდებით გაათავისუფლეს. პოლიციის წარმომადგენლის **აარონ მაკრეინის** თქმით, ტაისონი მორჩილად პასუხობდა შეკითხვებს და სამართალდამცავებისთვის პრობლემები არ შეუქმნია.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

